ვალიტრა მედია

ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

27 ივლისი ოთხშაბათი 2011

№ 174 (13471) ფასი 80 თეთრი

კინაღამ 2:0 ქართველებმა ბიბლიოთეკა და... 1:1

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ორპირი ქარი ეროვნულზე

რა გაპირებთ...

2

გოგუა დინამოში

რუსეთიდან წამოსული და დინამო თითქმის შეთანხმდნენ

გოგიტა გოგუა გუშინ ეროვნულ სტადიონზე "ზესტაფონი"-"შტურმის" მატჩს დაესწო, თუმცა საქართველოში ამის გამო არ ჩამოსულა. "ლელოსთვის" ცნობილი გახდა, რომ საკმაოდ რეალურია 27 წლის ნახევარმცველის თბილისის "დინამოში" ტრანსფერი.

შეგახსენებთ: ახლახან მან ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგა" დატოვა, ოფიციალური ვერსიით - კლუბის ხელმძღვანელობასთან უთანხმოების გამო. სანამ ამ ამბავს ნათელი მოეფინება, ვფიქრობთ, გოგუას "დინამოსთან" კავშირმა უფრო უნდა დაგვაინტერესოს.

როგორც გოგიტა პრივატულ საუბრებში ამბობს, კლუბის ხელმძღვანელობას დღეს შეხვდება. შევიტყვეთ ისიც, რომ გოგუამ "დინამოსთან" წინასწარ შეთანხმებას უკვე მიაღწია.

მერაბ მამულაშვილი

6

ბასტა ბატისტა!

არგენტინას მწვრთნელი აღარ ჰყავს

10

ეროვნული ნაკრების ჯვარედინი

ეროვნული ნაკრების ჯვარედინი 10
ბასტა ბატისტა! 6
ორპირი ქარი ეროვნულზე 2
გოგუა დინამოში

ქართული ფეხბურთი

● ჩემპიონთა ლიგა. მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ასე თუ ვითამაშეთ, 50/50-ზეც 50/50-ზეა

არადა...

26.07. თბილისი. ბ. პაიჭაძე.
25 000 მაყურებელი

ზესტაფონი	1
შტურმი	1

1:0 გელაშვილი (74), 1:1 ვოლფი (78)

ზესტაფონი	შტურმი
4-4-2	4-4-1-1
რ. კვასხვაძე	გრატცაი
ალადაშვილი	ერენრაიხი
კოგახიძე	ნოიჰოლდი
გ. ონიანი	ბურგშტალერი
ელიავა	ფოფზაძე
აფციაური	ვოლფი
დაუშვილი	ს. ფოდა
ძარია	ვებერი
გრიგალაშვილი	კაინცი
დვალი	მურატოვიჩი
გელაშვილი	კინასტი
მწვრთნელი	მწვრთნელი
გ. გეგუჩაძე	ფ. ფოდა

ზესტაფონი

57. დაუშვილი – **გორგიაშვილი**
82. ალადაშვილი – **ბენაშვილი**
88. ელიავა – **ჭანკოტაძე**

სათადარიგოები: მამალაძე, ბაბუნაშვილი, წინამძღვრიშვილი, ლომია

შტურმი

82. კინასტი – **ჰაასი**
83. ს. ფოდა – **კოხი**
90. კაინცი – **შტანგლი**

სათადარიგოები: **კავლინა, დუდიჩი, ბოდული, ვაინბერგერი**

გაფრთხილება: **ვებერი (11), ალადაშვილი (22), აფციაური (59)**

არბიტრი: **ა. კაკოსი (საბერძნეთი)**

76-ე წუთი მიმდინარეობდა, ორი წუთით ადრე მთელი საფეხბურთო საქართველოსთვის დიდი სიხარულის მომტანი **ნიკოლოზ გელაშვილი** "შტურმის" მეკარეს რომ გასცდა და ცარიელ კარს ააცილა. დაუწერელი საფეხბურთო კანონიც უმალ ამოქმედდა, **გიორგი ონიანმა** ბურთი **პატრიკ ვოლფს** "ჩაბარა" და "ზესტაფონი", რომელსაც ჩინებული შანსი ჰქონდა, ავსტრიაში 2:0-ით წასულიყო, 1:1-ს დასჯერდა, რაც ევროთასების საშინაო მატჩისთვის არასახარბიელო ანგარიშია.

აი, ასეთი უიღბლო გამოდგა გუშინდელი საღამო საქართველოს ჩემპიონისთვის. არადა, შეხვედრის უდიდესი ნაწილი "ზესტაფონის" უპირატესობით მიმდინარეობდა და თამაშის სცენარიდან გამომდინარე, გამარჯვებასთანაც ახლოს იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, ნამდვილი საფეხბურთო ზეიმი, რომელიც ზესტაფონელმა, თბილისელმა და, საერთოდ, ქართველმა ქომაგებმა გუშინ ეროვნულ სტადიონზე მოაწყვეს, ნანატრი შედეგით ვერ დაგვირგვინდა.

ქართველებს ავსტრიული დაცვითი ზღუდეების გადალახვა უჭირდათ, მაგრამ ბურთს ფლობდნენ და დროდადრო ხიფათსაც ქმნიდნენ. "ზესტაფონი" სათამაშო და ტერიტორიულ უპირატესობას შეხვედრის დებიუტიდანვე დაეუფლა და პირველ ტაიმში სტუმრები ჩვენს საჯარიმომდე, ფაქტობრივად, არც მოსულან. დაწინაურებასთან ძალიან ახლოს "ზესტაფონიც" არ ყოფილა, მაგრამ იმის იმედი კი გაგვიჩინა, რომ განმეორებითი დაპირისპირებისთვის გარკვეულ ფორას დაიბევებდა. შესვენებამდე ყველაზე გამოსარჩევი **შოთა გრიგალაშვილის** შორეული დარტყმა იყო, რომელიც "შტურმის" მეკარემ კუთხურზე მოიგერია.

რაკი შორეული დარტყმა და კუთხური ვახსენეთ, აქვე უნდა ვთქვათ, რომ ამ ორ კომპონენტში "ზესტაფონმა" უკეთესის სურვილი დატოვა. გრიგალაშვილის გარდა, მეკარის საჯარიმოს გარედან შეწუხება, ფაქტობრივად, ვერავინ გაბედა, კუთხური კი "ზესტაფონს" 6 ჰქონდა და აქედან მხოლოდ ერთი მოაწოდა, დანარჩენი ხუთი კი გაითამაშა და სტანდარტული მდგომარეობის ამგვარი შესრულებით თამაში ერთხელაც ვერ გაამწვავა. გასაგებია, რომ ტანმაღალ და ჯანიან შტურმელებთან "მეორე სართულზე" ბრძოლა იოლი არ იქნებოდა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ კუთხურების გათამაშების შემდეგ საქმე აქამდეც კი არ მისულა.

რასაკვირველია, "ზესტაფონის" თამაშში დადებითიც ბევრი იყო, გუნდმა მოედანზე თავი დადო და სწორედ ამიტომ გვწყდება გული, გუშინ სანახევროდ შევსებული ეროვნული სტადიონი ზეიმის მომსწრე რომ ვერ გახდა.

მეორე ტაიმი პირველზე შინაარსიანი გამოდგა. დაახლოებით მე-60 წუთიდან "ზესტაფონმა" კიდევ უფრო მძლავრად შეუტია და იმავდროულად, წინა ხაზზე "შტურმიც" გააქტიურდა. 67-ე წუთზე გრიგალაშვილმა საჯარიმოს გარედან ბურთი ძელს გაარტყა, ნანატრი გოლი კი 74-ეზე გავიდა. ავსტრიულმა დაცვამ ერთადერთი სერიოზული შეცდომა დაუშვა, **კახა ალადაშვილის** პასით გელაშვილი **გრატცაისთან** პირისპირ აღმოჩნდა და საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირისთვის, მომდევნო სავალალო ეპიზოდისგან განსხვავებით, მიზანს არ უმტყუნია.

სულ მალე კი ყველაფერი თავდაყირა დადგა, მატჩის ბოლო წუთები ნერვული და ქაოტური გამოდგა, "ზესტაფონი" შოკიდან მეტ-ნაკლებად გამოვიდა და დიდი ძალებით შეუტია, "შტურმმაც" დრო იხელთა და არც ის იყო გამორიცხული, მეორე გოლით ქართველები უმძიმეს დღეში ჩაეგდო. ბერძენმა არბიტრმა, რომელმაც საკუთარი მოვალეობა რიგიანად შეასრულა, გოლზე დაგეშილ სტუმარ-მასპინძელს ძირითადი დროის შემდეგ კიდევ სამი წუთი აცადა და საფინალოდ ჩასტვინა.

გია გეგუჩაძის გუნდი გრაცში უშანსოდ მაინც არ გაემგზავრება, მაგრამ ასეთი იმედგაცრუება ძალიან ძნელი მოსანელებელია გულშემატკივრისთვისაც და, მით უფრო, "ზესტაფონის" წევრებისთვისაც. უკანდასახევი გზა მოჭრილია – ჩვენი ჩემპიონები, განსაკუთრებით კი უხეში შეცდომის დამშვები ფეხბურთელები, შოკიდან უნდა გამოვიდნენ, "ზესტაფონმა" შემტევი ფეხბურთი უნდა ითამაშოს და მინიმუმ ერთი გოლი იქაც უნდა გაიტანოს. ვიყოთ ობიექტურები: გუშინდელმა საღამომ "შტურმი" წყვილის აშკარა ფავორიტად აქცია, მაგრამ **ფრანკო ფოდას** დაუმარცხებელი გუნდი ნამდვილად არ ჰყავს და ეგებ, "ზესტაფონის" მონდომებამ ავსტრიაში უფრო მეტი ქნას. და, რაღა თქმა უნდა, იღბლის წყალობაც ძალიან გვჭირდება. თუ რას ნიშნავს ფორტუნას კეთილი თვალი ორი მეტ-ნაკლებად თანაბარი დონის მოწინააღმდეგის ჭიდილში, ეს გუშინდელი მატჩის მონაწილეებმა საკუთარ თავზე გამოსცადეს.

მატჩის შემდეგ

ყველაფერი გრაცში გადაწყდება

გია გეგუჩაძის მატჩისშემდგომი პრესკონფერენცია არცთუ ხანმოკლე გამოდგა. "ზესტაფონის" თავკაცი, ბუნებრივია, უხასიათოდ იყო, მაგრამ განმეორებით შეხვედრაშიც ბრძოლას შეგვპირდა.

- ჩემი გუნდი თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში საგრძნობ უპირატესობას ფლობდა, მაგრამ, სამწუხაროდ, უხეში შეცდომები დავუშვით და ასეთი შედეგი მივიღეთ. დღეს "ზესტაფონი" მეტოქეზე უკეთ გამოიყურებოდა, "შტურმმა" გოლის გატანა მხოლოდ ჩვენი შეცდომით შეძლო. ამ წყვილში ჯერ არაფერია გადაწყვეტილი, შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის ბოლომდე ვიბრძოლებთ.

- გელაშვილის მიერ გაფუჭებული მომენტი, ალბათ, გადამწყვეტი გამოდგა.

- ეს გოლი ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანი იქნებოდა.

- ხომ არ ფიქრობთ, რომ დღეს "ზესტაფონმა" ნაკლები ჟინითა და მუხტით ითამაშა, ვიდრე "დაჩიასთან" საშინაო მატჩში?

- "შტურმი" "დაჩიაზე" ერთი თავით მაღლა მდგომი გუნდია, განწყობა კი "ზესტაფონს" არც დღეს აკლდა, მაგრამ ძალიან ძნელია კონტრშეტევებზე მომართული გუნდის წინააღმდეგ თამაში. როცა მეტოქე ამ კომპონენტში ძლიერია, აქვს შანსი, სასურველ შედეგს ძალების მაქსიმალური დაზოგვით მიაღწიოს და, სამწუხაროდ, "შტურმს" ეს გამოუვიდა. აქვე იმასაც ვიტყვი, რომ აუტანელმა სიცხემ დიდი ენერგია წაგვართვა.

- შემდეგ რაუნდში გასვლის შანსებს როგორ აფასებთ?

- კვლავინდებურად 50/50-ზე.

- შეცვლით რამეს გუნდის შემადგენლობაში ან თამაშის სტილში?

- შესაძლოა, ასეც მოხდეს. საჭიროა სიტუაციის დეტალურად გაანალიზება, დაფიქრება, ლაპარაკი ფეხბურთელებთან. "ზესტაფონს" მეტი შეუძლია.

მთავარი 90 წუთი წინაა

ფრანკო ფოდასთვის შედეგი, რასაკვირველია, მისაღები აღმოჩნდა. მისი პრესკონფერენცია "ზესტაფონის" ქებით დაიწყო.

- საკმაოდ ძლიერ და ორგანიზებულ გუნდს ვეთამაშეთ. პირველ ტაიმში გაგვიჭირდა, შესვენებისას კი ბიჭებს ვუთხარი, რომ სათამაშო დისციპლინა შეენარჩუნებინათ და ტემპი გაეზარდათ. ცხადია, არ უარვყოფ, რომ გაგვიმართლა, მაგრამ მატჩის შედეგი მაინც კანონზომიერი იყო. სასიამოვნოა, რომ შეხვედრის ბოლოს ორივე გუნდმა შეუტია. თბილისში დადებით შედეგს მივაღწიეთ, მაგრამ შინ მძიმე 90 წუთი გველის და ამ ბარიერის გადასალახავად დიდი ბრძოლა დაგვჭირდება.

- როგორი იქნებოდა "შტურმის" შანსი, "ზესტაფონს" 2:0 რომ მოეგო?

- იმედებს ვერც ეს ანგარიში გადაგვიწურავდა.

- ავსტრიაში უფრო შემტევ ფეხბურთს ითამაშებთ?

- ჩვენი სტილი ანგარიშის შენარჩუნებაზე თამაში არ არის. ერთ კვირაში დისკვალიფიცირებული და ტრავმირებული ფეხბურთელები დაგვიბრუნდებიან და უფრო ძლიერები ვიქნებით.

- გიორგი ფოფხაძის თამაშს როგორ აფასებთ?

- მისთვის იოლი მატჩი არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ ურიგოდ არ უთამაშია.

ლევან ჯანეზაშვილი

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ელფოსტა: **lelohtd@gmail.com;** ინდექსი **66435** INDEX. რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ლეგიონერი

საბა კვირკველიას დებიუტი ჩემპიონთა ლიგაში

საბა, შენ იცი, საბა!

კვირკველიას სალიგო დებიუტი

19 წლის **საბა კვირკველიას** კარიერა ბოლო დღეებია, ელვის სისწრაფით შეიცვალა - „რუბინის“ სარეზერვო შემადგენლობის ცენტრალური მცველი **ყურბან ბერდიევმა** ძირითად გუნდში გადაიყვანა. ესპანელი **სესარ ნავასის** არყოფნის გამო, ჩვენებურს თამაშის შანსი მიეცა და ის ჯერ რუსეთის თასზე გამოჩნდა, შემდეგ - პრემიერლიგაში, ყველაფერი კი გუშინ კიევში კვირკველიას ჩემპიონთალიგური დებიუტით დაგვირგვინდა. ბერდიევი ასეთ მნიშვნელოვან მატჩში ენდო ქართველ მცველს და 90 წუთი ათამაშა კიევის „დინამოს“ წინააღმდეგ შეხვედრაში, რომელიც „რუბინმა“ 2:0 მოიგო და, ფაქტობრივად, გაინაღდა პლეი ოფის საგზური. სხვათა შორის, როგორც თასზე, ისე ჩემპიონატსა და ჩემპიონთა ლიგაზეც, კვირკველიას გუნდს გოლი არ გაუშვია - სამივე თამაშში „რუბინმა“ მშრალად შეინახა კარი და ეს ჩვენებურის დამსახურებაცაა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ინტერვიუ

ჩვენი ფეხბურთი შვეიცარიულად

ყაველაშვილი უგუნდოთა ნაკრების კონსულტანტია!

"ჩვენი ფეხბურთის" დამფუძნებელი ლევან ყიფიანი საბერძნეთში ფიფ-პროს მიერ გამართულ კონფერენციას დაესწრო და იქაური ამბები მოგვითხრო.

- ფიფ-პრო ფეხბურთელთა ინტერესების დამცველი საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომლის წევრიც 50 ათასი ფეხბურთელია. მას ფიფა აღიარებს და პარტნიორული ურთიერთობაც აქვს, რადგან თანამედროვე ფეხბურთში მოთამაშეთა უფლებების დაცვა აქტუალური თემაა.

"ჩვენი ფეხბურთი" ამ ორგანიზაციასთან უკვე მეორე წელია, თანამშრომლობს. ახლახან ფიფ-პრომ სპეციალური პროგრამა შეიმუშავა, რომლის მიზანიც ორგანიზაციაში ახალი ქვეყნების ჩართვაა. ცოტა ხნის წინ სალონიკში გამართულ კონფერენციაზე აღმოსავლეთევროპელები შევიკრიბეთ, პლუს საბერძნეთის, კვიპროსისა და მალტის წარმომადგენლები. მთავარი მოთხოვნაა, ორგანიზაცია იყოს დამოუკიდებელი და დაიცვას ფეხბურთელთა ინტერესები. იგულისხმება კონტრაქტის პირობების დაცვა, დროული შესრულება და ბევრი სხვა რამ, რაც საქართველოშიც პრობლემურია. ჩვენი პროფილის გაერთიანებებმა უნდა იბრძოლონ არაერთი მანკიერი მოვლენის წინააღმდეგ — რასიზმის, ჩაწყობილი თამაშების, სტადიონებზე ძალადობის...

სექტემბერში აღმოსავლეთევროპელებისთვის მორიგი კონფერენცია ჰოლანდიის ქალაქ პოოპდორფში გაიმართება, სადაც ფიფა-პროს შტაბბინაა.

- ამ მიმართულებით თქვენი ორგანიზაცია საქართველოში რას აკეთებს?

- "ჩვენი ფეხბურთის" დამფუძნებლები ვართ მიშა ყაველაშვილი, გოჩა ჯამარაული და მე. სხვათა შორის, მიშა იყო ერთერთი პირველი მოთამაშე, რომელიც შვეიცარიულ ორგანიზაციაში განევრდა და იქიდან სურდა მსგავსი გაერთიანების საქართველოში დაფუძნება. თავდაპირველად სწორედ შვეიცარიელებთან ვთანამშრომლობდით, რომლის პრეზიდენტიც ცნობილი ადვოკატი ლუსიენ ვილინიაა.

ჩვენი ძირითადი მიმართულება იურიდიულ საკითხებში ფეხბურთელთა და გუნდების დახმარებაა. სექტემბერში მოთამაშეთა განევრებას დავიწყებთ, რომლებსაც ფიფ-პროს სახით სერიოზული დამცველი ეყოლებათ. ხშირად იქმნება კურიოზული ვითარება – ფეხბურთელები და გუნდები საკუთარი საკითხების გადაწყვეტაში არ მონაწილეობენ, მათი უფლებები ხშირად არც არის გათვალისწინებული. ფეხბურთელებს აქვთ კონტრაქტები, მაგრამ ხდება ხოლმე, როდესაც მათ შუა სეზონში გუნდიდან უმიზეზოდ ითხოვენ ან დროულად არ უხდიან ხელფასს, არად აგდებენ საერთაშორისო ვალდებულებებს. ამ ამბებს ევროპელები ვერ იჯერებენ, არადა, ეს ჩვენი საფეხბურთო ყოფის სერიოზული ხარვეზებია.

მიხეილ ყაველაშვილი (მარცხნივ) და ლევან ყიფიანი

ცხადია, პრობლემები მხოლოდ საქართველოში არ არის და ამიტომ თანამშრომლობენ ფიფა, ფიფ-პრო და ევროკავშირი.

მალე საქართველოში ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელები გვესტუმრებიან და საჭირბოროტო საკითხებზე სემინარებს ჩაგვიტარებენ.

ერთ საინტერესო სიახლესაც გეტყვით: ჩვენი აქტიურობის შედეგად ქართველი მოთამაშეები მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის გამოკითხვაში მიიღებენ მონაწილეობას.

- როგორ?

- 2010 წელს ფიფამ და ფიფ-პრომ ერთად გამოავლინეს საუკეთესო და ის ლიონელ მესი გახდა, გამოკითხვაში ორგანიზაციაში გაწევრებული ქვეყნების მოთამაშეები მონაწილეობდნენ, წლეულს კი საქართველოში გამოკითხვას ორგანიზებას "ჩვენი ფეხბურთი" გაუწევს, ფეხბურთელებს კითხვარებს მივაწვდით და შედეგებს ორგანიზაციას გავუგზავნით.

- ადრე ამბობდით, ფეხბურთელთა უფლებების დამცველი ორგანიზაციები უგუნდო მოთამაშეებსაც ეხმარებიანო.

- ეხმარებიან გუნდების მოძებნაში, შეკრებების მოწყობაში, ფორმის შენარჩუნებაში, ფიფ-პრო კი უგუნდოთა სანაკრებო ტურნირებს ატარებს. სხვათა შორის, წლევანდელ ტურნირში მეორე ადგილი შვეიცარიელი უგუნდოების ნაკრებმა დაიკავა, რომლის კონსულტანტიც ყაველაშვილია.

- ყაველაშვილმა მწვრთნელობა დაიწყო?

- წლეულს მიიწვიეს, რადგან მიშას შვეიცარიაში ავტორიტეტი აქვს და იციან მისი საქმიანობის შესახებ. მისმა გუნდმა იტალიასთან და საფრანგეთთან მოიგო, მხოლოდ ესანეთთან წააგო და მეორე ადგილი დაიკავა. ტურნირის შემდეგ კი რამდენიმე მოთამაშე კლუბებში მიიწვიეს.

ასე რომ, საქართველოში არაერთი მიმართულებით გვაქვს სამუშაო და ბევრი სასიკეთო საქმის გაკეთებაც შეგვიძლია. ვურთიერთობთ ფეხბურთის ფედერაციასთან, რათა მან თავის სუბიექტად გვაღიაროს. სამწუხაროდ, წინა ფედერაციამ ეს არ ისურვა.

მერაბ მამულაშვილი

ალიარება

თემურ ქეცბაია: სახე სახელიანი

გუშინ საგამომცემლო სახლმა „სახე(ლ)ებმა“ „ქორთიად მერიოტში“ დააჯილდოვა სხვადასხვა საქმეში თავგამოჩენილი ქართველები. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო იყო ნომინაცია „წლის მწვრთნელი“. ძნელი მისახვედრი არ იყო, ვის ერგებოდა ეს ჯილდო - რა თქმა უნდა, საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრების მწვრთნელ **თემურ ქეცბაიას,** რომელსაც პრიზი საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტმა **ელგუჯა ბერიშვილმა** გადასცა.

გია ტუხაშვილი

U19

გამარჯვებით დავიწყეთ

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა ჩრდილოირლანდიურ საერთაშორისო ტურნირ Molk Cup-ზე პირველი მატჩი ჩაატარა და ბელფასტის სტადიონ "რიადაზე" მექსიკის საკმაოდ ძლიერ ნაკრებს 2:1 მოუგო.

ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, ანგარიში 25-ე წუთზე **ალექსანდრე რეხვიაშვილმა** გახსნა ზუსტი საჯარიმო დარტყმით. პირველ ტაიმში მეტი გოლი აღარ გასულა.

65-ე წუთზე რეხვიაშვილმა მეორედაც გაიტანა, მატჩის დამატებულ წუთებზე კი მექსიკელებმა ერთი ბურთის გაქვითვა შეძლეს.

გუშინვე ტურნირის შარშანდელმა გამარჯვებულმა აშშ–მ 2:0 სძლია ისრაელს, მასპინძლებმა კი დანიელებთან 1:1 ითამაშეს.

გიორგი დევდარიანის გუნდი მომდევნო შეხვედრას დღეს მასპინძლებთან გამართავს და იმედია, ფინალში გავა.

მატჩების დაწყებამდე ტურნირის საზეიმო გახსნა გაიმართა და დიდი მსვლელობა-აღლუმიც მოეწყო ქალაქის ქუჩებში. აღსანიშნავია, რომ ტურნირს წამყვანი ბრიტანული მედიასაშუალებები აქტიურად აშუქებენ.

ლევან ჯანეზაშვილი

მეტოქეები

ფრანგების განრიგი ცნობილია

"რენი" თბილისში დღეს, 15 საათზე ჩარტერული ავიარეისით ჩამოფრინდება, საღამოს კი ეროვნულ სტადიონზე დატვირთული პროგრამაა. 18 საათსა და 15 წუთზე რუსთავის "მეტალურგის" მთავარი მწვრთნელის, **არმაზ ჯელაძის** პრესკონფერენცია გაიმართება, ნახევარ საათში კი ჩვენების ვარჯიში დაიწყება.

ამის შემდეგ ფრანგების ჯერი დადგება. "რენის" თავკაცი **ფრედერიკ ანტონეტი** ქართული მედიის წინაშე 19 საათსა და 45 წუთზე წარდგება, მისი გუნდის ვარჯიში კი 20 საათსა და 15 წუთზეა დაგეგმილი.

შეგახსენებთ, ევროპის ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩი "მეტალურგსა" და "რენს" შორის ხვალ ეროვნულ სტადიონზე 21 საათზე დაიწყება.

ლევან ჯანეზაშვილი

ჩვენ კი რაღა, მაგრამ მაინც...

8 აგვისტოს დუბლინში ხორვატიის ნაკრები ირლანდიას ამხანაგურად ეთამაშება. მართალია, ჩვენს ეროვნულ გუნდს ხორვატებთან ორივე შესარჩევი მატჩი მოთავებული აქვს, მაგრამ **სლავენ ბილიჩის** რჩეულების სია მაინც საინტერესო უნდა იყოს.

მეკარეები: **ვედრან რუნიე** (უკლუბო), **სტიპე პლეტიკოშა** (უკლუბო), **დანიელ სუბაშიჩი** (ჰაიდუკი);

მცველები: **ვედრან ჩორლუკა** (ტოტენჰემი, ინგლისი), **დარიო სრნა** (შახტარი, უკრაინა), **იოსიპ შიმუნიჩი** (ჰოფენჰაიმი, გერმანია), **დეიან ლოვრენი** (ლიონი, საფრანგეთი), **გორდონ შილდენფელდი** (აინტრახტი, გერმანია), **ივან სტრინიჩი** (დნიპრო, უკრაინა), **შიმე ვრსალკო** (დინამო, ზაგრები);

ნახევარმცველები: **ლუკა მოდრიჩი** (ტოტენჰემი, ინგლისი), **დანიელ პრანიჩი** (ბაიერნი, გერმანია), **ოგინენ ვუკოვეიჩი** (დინამო, უკრაინა), **ტომისლავ დუიმოვიჩი** (დინამო, რუსეთი), **მილან ბადელი** (დინამო, ზაგრები), **ივო ილიჩევიჩი** (კაიზერსლაუტერნი, გერმანია), **ივან პერიშიჩი** (დორტმუნდი, გერმანია);

თავდამსხმელები: **ედუარდო** (შახტარი, უკრაინა), **მლადენ პეტრიჩი** (ჰამბურგი, გერმანია). **ივიცა ოლიჩი** (ბაიერნი, გერმანია), **ნიკოლა კალინიჩი** (ბლექბერნი, ინგლისი), **ნიკიცა იელავიჩი** (რეინჯერსი, შოტლანდია), **მარიო მანჯუკიჩი** (ვოლფსბურგი, გერმანია).

ყველაზე ღირსშესანიშნავი ამბავი ნაკრებში ივიცა ოლიჩის დაბრუნებაა, რომელსაც მძიმე ტრავმის გამო თითქმის მთელი შარშანდელი სეზონი გაუცდა.

ლევან ჯანეზაშვილი

სამზადისი

ქუთაისელებმა ჰაიფელებს აჯობეს

სლოვენიურ შეკრებაზე მყოფმა "ტორპედომ" პირველი საკონტროლო მატჩი ჩაატარა და გაიმარჯვა – ქუთათურებმა ჰაიფის "ჰაპოელს" 1:0 სძლიეს, გამარჯვების გოლი კი 68-ე წუთზე **თენგიზ ჩიკვილაძის** პასით **გიორგი მეგრელაძემ** გაიტანა.

"ტორპედომ" ამ შემადგენლობით ითამაშა: მიგინეიშვილი, სეთურიძე (77. დ. კირკიტაძე), ს. თოდუა, ქემოკლიძე, დ. ფოფხაძე, დოლიძე (77. იოსელიანი), გურული, ჩიკვილაძე (70. ჩხარტიშვილი), თარხნიშვილი, დ. ბოლქვაძე (75. კუხიანიძე), რ. გოცირიძე (57. მეგრელაძე).

ლევან ჯანეზაშვილი

ქართული ფეხბურთი

● დინამო

რეიკიავიკი საშობლოში დაუმარცხებელია

უკვე გაცნობეთ, რომ თბილისის "დინამო" 18 ფეხბურთელით შორეული რეიკიავიკისკენ სტამბოლისა და ლონდონის გავლით გაემგზავრა. **ალექს გარსიას** გუნდის იქაური ყოფის შესახებ ცნობებს ხვალ მოგანვდით, მანამდე კი „დინამოს" მეტოქეზე.

"რეიკიავიკი" ისლანდიის ჩემპიონატში, რომელიც გაზაფხული-შემოდგომის სისტემით ტარდება, დამაჯერებელ ასპარეზობას განაგრძობს. 11 ტურის შემდეგ დედაქალაქელებს 8 გამარჯვება და 3 ფრე აქვთ. გასულ ტურში "რეიკიავიკმა" შინ "ბრეიდაბლიკი" 4:0 გაანადგურა. გოლები **ბალდვინსონის, ფრიდრეიგსონის, ჰაუკსონისა** და **ფინბოგასონის** ანგარიშზეა.

"დინამოს" მოწინააღმდეგემ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: **ჰალდორსონი, ფრიდრეიგსონი, გუდმუნდურ გუნარსონი (75. გუნარ გუნარსონი), გ. სიგურდარსონი, არნარსონი (75. ე. იონსონი), გუდიონსონი (ბიორნ იონსონი, 57), ბ. სიგურდარსონი, ჰაუკსონი, ფინბოგასონი, ლუდვიკსონი, ბალდვინსონი.**

ლევან ჯანეზაშვილი

● ევროისტორია

ქართული ფეხბურთის ფლაგმანი

დამოუკიდებელი საქართველოს სახელით ქართულ გუნდებიდან პირველი ევროტურნირებზე თბილისის „დინამო" წარდგა — 1993 წელს უეფამ მხოლოდ ერთი ადგილი „გვიწყალობა" და ჩემპიონთა ლიგაზე ასპარეზობის უფლება თბილისელებს მისცა. სამწუხაროდ, ჩრდილოირლანდიურ „ლინფილდთან" ის ორრაუნდიანი დაპირისპირება ქართული ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთ სამარცხვინო ლაქად დარჩება: ეს ეტაპი კი დავძლიეთ, მაგრამ თბილისური მატჩის თურქმა მსაჯებმა უეფაში უსტარი აფრინეს — ქრთამი მოგვცესო — და „დინამოს" დისკვალიფიკაცია მიესაჯა. ჯერ ლაპარაკი იყო ორწლიან იზოლაციაზე, მაგრამ დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ „დინამო" მომდევნო წელსვე დაუშვეს ევროტურნირზე, ოღონდ, ზედიზედ სამი წლის განმავლობაში საქართველოს ჩემპიონს მხოლოდ უეფას თასზე უნდა ეთამაშა. საერთოდაც, 1995 წლამდე ქართული გუნდებიდან ევროტურნირებზე მარტო თბილისის „დინამო" ასპარეზობდა და მხოლოდ ამის მერე გავიდნენ ევროპაში ბათუმის „დინამო" და „სამტრედია", ქუთაისის „ტორპედო" და ზესტაფონის „მარგვეთი", ფოთის „კოლხეთი" და თბილისის „მერანი-91", თბილისის „ლოკომოტივი" და თბილისის „ვიტ ჯორჯია", ბოლნისის „სიონი" და „თბილისი", თბილისის „ამერი" და რუსთავის „ოლიმპი", გორის „დილა" და „ზესტაფონი", წლეულს კი ევროდებიუტი „გაგრას" ჰქონდა...

თბილისის „დინამოს", როგორც საქართველოს ყველაზე ტიტულიან გუნდს, ჩვენი სხვა გუნდებისგან განსხვავებით, სხვა მიღწევებითაც შეუძლია იამაყოს. ბოლოს და ბოლოს, ერთადერთი გუნდია, პირველი ჩემპიონატიდან მოყოლებული დღემდე, უმაღლესი ლიგა რომ არ დაუტოვებია. ეგ კი არა, „დინამო" ასევე ერთადერთია, ჩემპიონატი... მესამე ადგილზე ქვემოთ რომ არ დაუმთავრებია! ჰოდა, რა გასაკვირია, რომ 1993 წლიდან მოყოლებული, თბილისის „დინამო" ყოველ წელს ასპარეზობს ევროტურნირებზე და ერთი-ორჯერ მართლაც ჩინებული შედეგი ჰქონდა. განვლილი 18 წლის განმავლობაში „დინამოს" მიერ ჩატარებულ ყველა ევრომატჩს რომ შევეხოთ, ეს დიდ დროს წაიღებს. რა თქმა უნდა, იყო მწარე დამარცხებანიც: „ლევერკუზენთან" (1:6), „ბოავიშტასთან" (0:5), „რაპიდთან" (0:5), „ტიროლთან" (1:5), „ბრაგასთან" (0:4), „სპორტინგთან" (0:4); თუმცა, არცთუ ცოტა იყო ისეთი შეხვედრებიც, „დინამო" მეტოქეებს დიდი ანგარიშით რომ უგებდა: „კრუზეიდერსთან" (5:1), „კილიკიასთან" (5:1), „გრევენმახერთან" (4:0). და აი, ერთი კვირის წინ „დინამომ" ევროტურნირებზე სარეკორდო გამარჯვება მოიპოვა: **ალექს გარსიას** ხელმძღვანელობით უელსურ „ლანელის" 5:0 მოუგო!

„დინამოსთვის" ევროტურნირების მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი უცხო ხილი ნამდვილად არ არის, თუმცა დღემდე მხოლოდ ორჯერ მოხდა, „დინამომ" ევროტურნირის სამი საკვალიფიკაციო ეტაპის გავლა რომ მოახერხა. პირველად ეს 1996 წელს იყო, როცა **დავით ყიფიანის** ხელმძღვანელობით „დინამომ" გზიდან ჩამოიცილა ლუქსემბურგის „გრევენმახერი", ნორვეგიის „მოლდე" და მოსკოვის „ტორპედო", თუმცა ამის შემდეგ „ბოავიშტასთან" ვერაფერს გახდა...

ყველაზე წარმატებული ევროსეზონი კი 2004 წელს გვქონდა: ბელარუსული „ბატეს", ჩეხური „სლავიასა" და პოლონური „ვისლას" ძლევით „დინამომ" უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე მონაწილეობის უფლება მოიპოვა! ხვდებით, ალბათ, რომ მხოლოდ დამოუკიდებელი საქართველოს სახელით ასპარეზობის პერიოდს ვგულისხმობთ, თორემ მეორე და მესამე საკვალიფიკაციო ეტაპების გავლა კი არ გვიჭირდა, ევროტურნირების ნახევარფინალსა და ფინალშიც გვითამაშია — ბოლოს და ბოლოს, 1981 წელს თასების მფლობელთა თასიც მოვიპოვეთ!..

გია ტუხაშვილი

ევროპის ლიგა

სასიამოვნო მოულოდნელობა

სახელწოდების შეცვლამ რუსთავის გუნდზე აშკარად სასიკეთოდ იმოქმედა: კლუბის ისტორიაში პირველად „მეტალურგმა" (ყოფილმა „ოლიმპმა") ევროტურნირებზე ორი ეტაპი გადალახა! ვიდრე გუნდს „ოლიმპი"ერქვა, უმეტეს შემთხვევაში პირველსავე ეტაპზე ეთიშებოდა ევროტურნირებს (მხოლოდ ერთხელ მიაღწია მეორე საკვალიფიკაციო რაუნდამდე), ახლა კი, **თორნიკე მაისურაძისა** და **არმაზ ჯელაძის** დამოძღვრილმა გუნდმა კლუბის ისტორიაში საუკეთესო შედეგი აჩვენა. „მეტალურგის" წლევანდელი ევროასპარეზობა ყოველმხრივ წარმატებულად უნდა შეფასდეს, და ეს იმის მიუხედავად, თუ როგორ დამთავრდება რუსთაველთა გუნდისა და ფრანგული „რენის" დაპირისპირება. ამ წყვილში უდავო ფავორიტი რომ ფრანგული კლუბია, ვფიქრობთ, საკამათო არავისთვისაა, თუმცა გვჯერა, რომ „მეტალურგი" ღირსეულად ითამაშებს ბევრად უფრო ძლიერი მეტოქის წინააღმდეგ - ყოველ შემთხვევაში, რუსთაველები ყოველგვარი ფსიქოლოგიური წნეხისგან თავისუფლები იქნებიან - „რენთან" დამარცხების შემთხვევაში მწვრთნელი-ფეხბურთელები ვინ უნდა დაძრახოს...

წლევანდელ ევროტურნირზე „მეტალურგის" წარმატებული თამაში მართლაც სასიამოვნო მოულოდნელობად უნდა მივიჩნიოთ; თანაც, რუსთაველებმა ხომ ქართული გუნდებისთვის დამახასიათებელი ერთი უსიამოვნო „ტრადიციაც" დაარღვიეს: წლევანდლამდე ჩვენი კლუბები ევროტურნირებზე ვერაფრით ახერხებდნენ... ყაზახური გუნდების ძლევას. და აი, „მეტალურგმა" პავლოდარის „ირტიშის" გამოგდებით ქართულ-ყაზახური დაპირისპირების სტატისტიკაც შეცვალა! ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, თავად რუსთაველებს ორჯერ სწორედ ყაზახურმა გუნდებმა გადაუღობეს გზა მომდევნო ეტაპისკენ.

ყაზახური სინდრომი

რუსთაველების ევროდებიუტი 2007 წელს შედგა, მაგრამ საქართველოს ჩემპიონმა ყაზახურ „ასტანასთან" ვერაფერი გააწყო: საშინაო ფრეს საგარეო 0:3 მოჰყვა...

„ოლიმპი" ევროტურნირებს ორი წლის შემდეგ დაუბრუნდა და ყველა დარწმუნებული ვიყავით, რომ **ვარლამ კილასონიას** გუნდი ევროპის ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპს წარმატებით დაძლევდა. ასეც მოხდა: „ოლიმპმა" ორივე მატჩში უპრობლემოდ აჯობა ფარერების ბ-36-ს. აი, მომდევნო ეტაპზე კი „ოლიმპს" ერთობ სერიოზული მეტოქე შეხვდა: პოლონეთის ერთ-ერთი უძლიერესი კლუბი ვარშავის „ლეგია"! თუმცა „ოლიმპის" ქომაგებს იმის იმედი ჰქონდათ, რომ ევროტურნირების უდიდესი გამოცდილების მქონე პოლონელების წინააღმდეგ თავიანთ „საიდუმლო იარაღს" აამოქმედებდნენ — „ლეგიასთან" პირველ მატჩამდე ერთი თუ ორი დღით ადრე რუსთავის გუნდში ხომ ერთდროულად ხუთი ბრაზილიელი (**აკინო, ფრაგა, ჟონატასი, ჟერონიმო, ჩოკო**) ჩაირიცხა! სამწუხაროდ, „ლეგიამ" ორივე მატჩი მოუგო „ოლიმპს", მაგრამ არავინ იცის, როგორ განვითარდებოდა მოვლენები, იმავე აკინოსა თუ ფრაგას ახალ პარტნიორებთან შესათამაშებლად ოდნავ მეტი დრო რომ ჰქონდათ. თან არც ის დაგვავიწყდეს, რომ ვარშავულ მატჩში ანდერსონ აკინომ პენალტი ვერ გამოიყენა, არადა, ამ ბრაზილიელის შესაძლებლობებში ქართველი ქომაგი მალე დარწმუნდა — საქართველოს 2009-10 წლების ჩემპიონატში აკინო საუკეთესო ფეხბურთელიც გახდა და საუკეთესო ბომბარდირიც, ახლა კი წარმატებით თამაშობს ბრაზილიის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში და „კურიტიბას" ერთ-ერთი ლიდერიც გახლავთ...

2007 წლისა არ იყოს, რუსთაველებისთვის ჩემპიონთა ლიგის შარშანდელი გათამაშებაც წარუმატებელი გამოდგა, ან რომელ წარმატებაზე შეიძლებოდა ფიქრი, როცა ევროტურნირის წინ საქართველოს ჩემპიონი გუნდიდან სხვადასხვა მიზეზით... 16 ფეხბურთელი წავიდა! ამიტომაც არავის გაჰკვირვება, როცა ყაზახურმა „აქტობემ" ორი მატჩის ჯამში დაჯაბნა საქართველოს ჩემპიონი. სამაგიეროდ, წლეულს სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა: გუნდმა, ფაქტობრივად, შეინარჩუნა ძირითადი ბირთვი (ერთიორი ფეხბურთელიც დაიმატა) და შედეგიც ვნახეთ. ყოველ შემთხვევაში, ბევრი მართლაც ვერ იფიქრებდა, სახელნოდებაშეცვლილი რუსთავის გუნდი ევროტურნირების ორ საკვალიფიკაციო ეტაპს თუ გადალახავდა...

გია ტუხაშვილი

მეტალურგი ევროტურნირებზე

2007 წელი

ჩემპიონთა ლიგა. I საკვალიფიკაციო ეტაპი

ოლიმპი-ასტანა (ყაზახეთი) 0:0

ასტანა-ოლიმპი 3:0

გოლები: კუჩმა, ტლეხუგოვი, ჟალმაგომბეტოვი

2009 წელი

ევროპის ლიგა. I საკვალიფიკაციო ეტაპი

ოლიმპი-ბ-36 (ფარერები) 2:0

გოლები: გ. მეგრელაძე-2

ბ-36-ოლიმპი 0:2

გოლები: სირბილაძე, ხუბუა

II საკვალიფიკაციო ეტაპი

ლეგია (პოლონ.)-ოლიმპი 3:0

გოლები: პალუხოვსკი, კიულბოვიჩი, შალახოვსკი

ოლიმპი-ლეგია 0:1

გოლი: შალახოვსკი

2010 წელი

ჩემპიონთა ლიგა. II საკვალიფიკაციო ეტაპი

აქტობე (ყაზახეთი)-ოლიმპი 2:0

გოლები: სმაკოვი-2

ოლიმპი-აქტობე 1:1

გოლები: რეხვიაშვილი; ტლეშევი

2011 წელი

ევროპის ლიგა. I საკვალიფიკაციო ეტაპი

ბანანცი (სლოვენია)-მეტალურგი 0:1

გოლი: ქობალია

მეტალურგი-ბანანცი 1:1

გოლები: გ. მიქაბერიძე; დუ ბალა

II საკვალიფიკაციო ეტაპი

მეტალურგი-ირტიში (ყაზახეთი) 1:1

გოლები: ა. კვახაძე; დასკალოვი

ირტიში-მეტალურგი 0:2

გოლები: ქობალია, მოდებაძე

შენიშვნა: 2011 წლის ზაფხულამდე რუსთავის გუნდი „ოლიმპის" სახელით ასპარეზობდა.

● სპორტის უჩინარი მსახურნი

მევლუდ მიმინოშვილი: ვის როგორ შეგვიძლია ვემსახუროთ ქართულ ფეხბურთს

თავის დროზე მას არა მხოლოდ საბჭოთა კავშირისა და ევროპის, არამედ მთელი მსოფლიოს საფეხბურთო სამყარო იცნობდა. უმსაჯია ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების შესარჩევი მატჩები, ევროთასების შეხვედრები, 99-ჯერ გასულა მოედანზე სსრ კავშირის (1979-1988 წ.წ.) ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის თამაშების, ერთხელაც ხალხთა სპარტაკიადის ფინალის (1983) გასაძღოლად, ექვსჯერ დასახელდა სსრ კავშირის მსაჯთა საუკეთესო ათეულში; 1990 წელს საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის 9 მატჩს მსაჯობდა — ასეთია საერთაშორისო კატეგორიის მსაჯის **მევლუდ მიმინოშვილის** ღვაწლი ფეხბურთში.

უკვე 20 წელიწადზე მეტია, რაც ჩამოშორდა აქტიურ საფეხბურთო ცხოვრებას, მაგრამ დღეს უკვე 70 წლის მიღწეული ვეტერანი, 1990-იანი წლიდან მოყოლებული, კვლავ ენერგიულად ემსახურება ქართულ ფეხბურთს, ემსახურება ისე, როგორც შეუძლია და რისი ძალაც შესწევს. თუ ჯანმრთელობა ხელს არ შეუშლის, ადამიანს ყოველთვის და ნებისმიერ ასაკში შეუძლია აკეთოს სასარგებლო საქმე და სწორედ ამის სანიმუშო მაგალითს იძლევა ბატონი მევლუდი. მის ავტორიტეტს ყოველთვის სცემდნენ პატივს და როცა ჯერ ავჭალაში, სადაც ცხოვრობს და მერე აბაშის რაიონის მშობლიურ სოფელ სუჯუნაში, საფეხბურთო სტადიონის მონყობა გადაწყვიტა, ყველა ამოუდგა მხარში. აბაშის რაიონის გამგებლის **გურამ გუნავას** ინიციატივით კი ამ რაიონის ცენტრალურ სტადიონს მევლუდ მიმინოშვილის სახელი მიენიჭა.

ვეტერანი ხშირად სტუმრობს ავჭალაში და სუჯუნაში ფეხბურთში მომეცადინე ბავშვებს. მასაც სწამს, რომ ბავშვთა ფეხბურთია დიდი ფეხბურთის საფუძველთა საფუძველი და კმაყოფილებას გამოხატავს ამ მიმართულებით საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დღევანდელი ხელმძღვანელებისა და ხელისუფლების ერთობლივი ძალისხმევის გამო.

„საქართველოში ფეხბურთის განვითარებაზე ყველამ უნდა იზრუნოს და ამაში ქართული ფეხბურთის ვეტერანებმაც უნდა შეიტანონ თავიანთი წვლილი. თაობათა მემკვიდრეობითობა არ უნდა გაწყდეს" — ამბობს ბატონი მევლუდი.

თენგიზ თომაშვილი

● მანჩესტერ სიტი

აზრზე მოდი, ბიჭო!

„მანჩესტერ სიტის“ ჰოლანდიელმა ნახევარმცველმა, 26 წლის **ნაიჯელ დე იონგმა**, რომელიც თავდადებითა და უხეშობით გახლავთ ცნობილი, 20 წლის აფრო-იტალიელ თანაგუნდელ **მარიო ბალოტელის** შეუძახა, გონს მოეგე, თორემ დიდ ნიჭს გაფლანგავო. მიზეზი ძნელი მისახვედრი არ არის. გუშინ მოგახსენეთ: „ლოს ანჯელეს გელექსიცა“ და „სიტის“ ამხანაგურ შეხვედრაში ბალოტელი მეკარესთან პირისპირ გავიდა, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ ბურთი ბადეში მარტივად შეეგდო, კარისკენ ზურგით შეტრიალდა, ქუსლით დაარტყა და ააცილა. ამის დანახვაზე მწვრთნელმა, **რობერტო მანჩინიმ** მოთმინება დაკარგა და მიუხედავად იმისა, რომ მატჩის 30-ე წუთი იყო, ფერადკანიანი თანამემამულე შეცვალა. დე იონგმა მომხდარს კომენტარი გაუკეთა:

„ასეთი საქციელის ყურება გულდასაწყვეტია. ბალოტელიმ თავი ხელში უნდა აიყვანოს, თორემ დიდ ნიჭს გაფლანგავს. უცნაური ხასიათის ხალხი ადრეც მინახავს, მაგრამ რასაც მარიო აკეთებს, მეტისმეტია. მთელი გუნდი მზად ვართ დავეხმაროთ, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ყველას თავისი ცხოვრება აქვს. ერთადერთი ადამიანი, ვისაც ამის შეცვლა შეუძლია თავად მარიოა. ის ვარჯიშზე ყოველ დღე დანიშნულ დროს მოდის, არ იგვიანებს და არ აცდენს, მაგრამ მისი ქცევა გამოხდომებით არის სავსე. ახლა დროა მიხვდეს, რომ ეს გამოხდომები ხელს უშლის. ის არც გუნდს მოსწონს და არც ხელმძღვანელობას“.

საინტერესო ამბის მოწმენი გახდნენ ორშაბათს მოქალაქეები და ჩასაფრებული პაპარაცები. „სიტი“ ამერიკიდან ინგლისს დაბრუნდა. აეროპორტში რობერტო მანჩინის მანქანამ მიაკითხა, მაგრამ მწვრთნელმა მასში ბალოტელი ჩასვა, თავად კი ტაქსით გაემგზავრა. ასე მანჩინის გული საგულეს ექნებოდა, რადგან მძღოლი შერეკილს ნამდვილად შინ მიიყვანდა.

დე იონგმა კი დასძინა: *„ბალოტელი ძალიან ნიჭიერი ფეხბურთელია. მას ყველა თვისება აქვს საიმისოდ, რომ მსოფლიო კლასის ფეხბურთელი გახდეს. ყველა ყოველთვის მის უარყოფით თვისებებზე ლაპარაკობს, მაგრამ, როგორც ფეხბურთელი, ის განსაკუთრებულია. ჩვენ სეზონისწინა პერიოდში ორნახევარი კვირის განმავლობაში ლაზათიანად ვივარჯიშეთ და ბალოტელიმ, როგორც წვრთნის ასევე ამხანაგური შეხვედრების დროს, ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა“.*

● ბელსი

საღ არის სხვა ჟოზე?



„ბელსის“ მეკარე, 29 წლის **პეტრ ჩეხი** ამბობს, რომ კლუბის მეპატრონე, **რომან აბრამოვიჩი** მწვრთნელებს იმიტომ ცვლის, რომ **ჟოზე მოურინიოს** ვერც ერთი მათგანი ვერ შეედრება. მას მერე, რაც „ლურჯების“ სათავეში **ანდრე ვილაშ-ბოაში** მივიდა, ჩეხ გოლკიპერს ასეთი სტატისტიკა დაუგროვდა: ოთხ წელიწადზე ნაკლებში ის უკვე მეექვსე მწვრთნელს ეცნობა. ჩეხი იმედოვნებს, რომ ახალი თავკაცი მაინც აღმოჩნდება იმ დონის, რა დონისაც მოურინიო გახლდათ, რომელმაც დასავლეთლონდონელებს ზედიზედ ორჯერ ინგლისის ჩემპიონის ტიტული და ერთხელაც ფეხბურთის ასოციაციის თასი მოაპოვებინა.

მეკარემ თქვა: *„ექვსი მწვრთნელი გამოვიცვალე და ერთადერთი ჟოზე იყო, სამწელიწადნახევარი რომ იმუშავა. დანარჩენებს მალე ათავისუფლებდნენ. „ჩელსის“ დამოკიდებულება ასეთია: როდესაც კლუბის ხელმძღვანელობა ხედავს, რომ ამა თუ იმ მწვრთნელის ხელში პერსპექტივა აღარ არსებობს, მას ხსნის. რაც შეეხებოდათ თავად მწვრთნელებს, თითოეულს თავისი ფილოსოფია ჰქონდა. ზოგმა გაამართლა, ზოგმა ვერა, ჟოზემ კი თამასა იმ სიმაღლეზე დააყენა, რომ ყველა ამ სიმაღლეზე გადახტომას ცდილობს და ვერ ახერხებს.*

ბევრ გუნდს აქვს უფლება, სეზონი ტიტულის გარეშე დაამთავროს, მაგრამ თქვას, რომ კმაყოფილია. „ჩელსიში“ ასეთი რამ გამორიცხულია. გასულ სეზონში ვერაფერი მოვიგეთ, რამაც გული დაგვწყვიტა, მაგრამ ახალ სეზონშიც რომ მოგვეცაროს ხელი, ეს უკვე დიდი დარტყმა იქნება.

იმედი მაქვს, ანდრე გუნდს მრავალი წლის განმავლობაში შემორჩება. მას აუცილებლად დაეხმარება ის, რომ ადრე, ჟოზესთან ერთად აქ მუშაობდა, თუმცა ისიც ფაქტია, რომ მას მერე „ჩელსიში“ ბევრი რამ შეიცვალა. ჯერჯერობით, ორიოდ კვირაა, რაც ის ჩვენთან მუშაობს და ყველაფერი კარგად მიდის. მას თავისი იდეები აქვს, თუმცა „ჩელსი“ ყოველთვის გამოირჩეოდა ძლიერი დაცვით, რომელზეც შემდეგ მთელი გუნდია აწყობილი. სეზონისწინა შეკრებაზე ოთხი ამხანაგური შეხვედრა გავმართეთ და გოლი არ გაგვიშვია, რაც კარგის ნიშანია. გამოცდილება და მაღალი კლასიც ზურგს გვიმაგრებს, თუმცა არც ახალგაზრდები გვაკლია. ერთი სიტყვით, იმედი მაქვს, რომ კარგ შედეგებს მივაღწევთ“.

● ტოტენჰემ ჰოთსპური

კრაუჩი ცხრიანში გაპარტყეს

„ტოტენჰემმა“ **პიტერ კრაუჩი** 9 მილიონი ფუნტი დააფასა. 30 წლის, 201 სანტიმეტრი სიმაღლის თავდამსხმელის ფასი „ნიუკასლ იუნაიტედს“ აინტერესებდა, მაგრამ „დეზების“ მწვრთნელისგან, **ჰარი რედნაპისგან** პასუხად მიიღო, რომ ჩრდილოლონდონელებს იმ თანხის ამოღება უნდათ, რომელიც კრაუჩის სანაცვლოდ ორი წლის „პორტსმუთს“ გადაუხადეს. „კაჭკაჭებს“ ვეტერანში ასეთი თანხის გადახდა, სავარაუდოდ, არ მოუნდებათ. თან, კრაუჩი ოთხწლიან კონტრაქტს ითხოვს. ერთი სიტყვით, მწვრთნელ **ალან პერდიუს** კარგად მოუწევს დაფიქრება.

ფორვარდის შეძენა ძალიან უნდოდა „სანდერლენდსაც“ და ზაფხულის დასაწყისში კრაუჩის სანაცვლოდ ფულს პლუს **ასამოა გიანს** იძლეოდა, მაგრამ შემდეგ **სტივ ბრუსმა** ვუნდერკინდად შერაცხილი **კონორ უიკჰემი** დაიმატა და „ტოტენჰემის“ ვეტერანზე ფიქრს თავი დაანება. კრაუჩი ძალიან მოუხდებოდა „სტოკის“ კბილებმოცვეთილ თავდასხმასაც — ფეხბურთელის ფასით ამ გუნდის მწვრთნელი **ტონი პულისიც** იყო დაინტერესებული. მეტიც, ერთი ხანობა ამბობდნენ, რომ პიტერ კრაუჩი ჭაბუკობისდრონიდელ გუნდში, „ქუინზ პარკ რეინჯერსში“ გადავიდოდა, თუმცა დასავლეთლონდონელების თავკაცმა, **ნილ უორნოკმა** განაცხადა, რომ „რეინჯერსი“ ამდენს ვერ გადაიხდის.

კრაუჩმა კარიერა „ტოტენჰემ ჰოთსპურში“ დაიწყო, თუმცა სიყმაწვილეში „უაით ჰართ ლეინზე“ ერთი თამაშიც კი არ ჩაუტარებია. მას სხვადასხვა გუნდში აქირავებდნენ. შემდეგ ის „ქუინზ პარკში“ გადავიდა, რასაც კიდევ ექვსი გუნდი, მათ შორის „ლივერპული“ მოჰყვა და ბოლოს ფორვარდი კვლავ „სფურზში“ დაბრუნდა. ახალდაბრუნებულმა კრაუჩმა „ტოტენჰემს“ დიდი საქმე გაუკეთა, სხვა წამყვან ფეხბურთელებთან ერთად, ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელი ადგილი მოაპოვებინა. სწორედ მან გაიტანა „მანჩესტერ სიტის“ კარში ის გოლი, რომელმაც „დეზებს“ მეოთხე ადგილი მოუტანა. შემდეგ, თავდამსხმელმა ჩემპიონთა ლიგაში გამოიჩინა თავი, მნიშვნელოვანი გოლები გაიტანა, მაგრამ რამდენადაც კარგად თამაშობდა საერთაშორისო შეხვედრებში, იმდენად გაუფერულდა პრემიერლიგაში - გასულ სეზონში, ინგლისის ჩემპიონატში მხოლოდ სამი გოლი გაიტანა. შესაბამისად, „უაით ჰართ ლეინზე“ ეგრეთ წოდებული „ბუუს“ დამძახებელი ბიჭების საკბილოდაც იქცა, ხოლო, როდესაც „სანტიაგო ბერნაბეუზე“, „რეალთან“ შეხვედრაში, ორი ფეთიანი უხეშობის გამო წითელი ბარათი მიიღო, „სფურზის“ ფანებმა ანტიგმირად გამოაცხადეს.

● ლივერპული

ლუკასი მიდისო?



24 წლის ბრაზილიელი ვარსკვლავი **ლუკასი** შესაძლოა „ლივერპულიდან“ წავიდეს. ეს ამბავი ინგლისურმა ტაბლოიდებმა მერსისაიდული კლუბის მავანი თანამშრომლებისგან შეიტყვეს. არადა, საოცარია, ლუკასი ხომ გასულ სეზონში „წითლების“ საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს, რაც იმას ნიშნავს, რომ, წესით, „ენფილდ როუდზე“ თავს შესანიშნავად უნდა გრძნობდეს.

დღეისათვის „ლივერპულის“ ნახევარდაცვაში დიდი ხალხმრავლობაა. მოგეხსენებათ, ამ ზაფხულს **კენი დალგლიშმა** სწორედ მოედნის შუაში გამოსადეგი ფეხბურთელები იყიდა. **სტიუარტ დაუნინგი** „ასტონ ვილასგან“ შეიძინა, **ჯორდან ჰენდერსონი** „სანდერლენდისგან“, ხოლო **ჩარლი ადამი** „ბლექპულისგან“. ამ სამეულს „ენფილდზე“ დახვდებიან **სტივენ ჯერარდი, ჯო კოული, რაულ მეირელეში, ალბერტო აკვილანი, კრისტიან პოულსენი, მაქსი როდრიგესი, ჯონჯო შილვი, ჯეი სპირინგი** და **მილან იოვანოვიჩი.** ასეთ ვითარებაში ლუკასმა სათადარიგოთა სკამზე დაჯდომის საშიშროება დაინახა და გაცლა ამჯობინა. შეგახსენებთ, რომ ლუკასი „ლივერპულში“ 2007 წელს **რაფა ბენიტესმა** მიიყვანა.

მერსისაიდელთა მავანმა თანამშრომელმა გაზეთებს უთხრა: *„ლუკასმა ხომ ახალ კონტრაქტს სულ ახლახან, მარტში მოაწერა ხელი და ფანებმა გასული სეზონის საუკეთესო ფეხბურთელადაც დაასახელეს. ხმამ, თითქოს ის გუნდიდან წასვლას აპირებს, შესაძლოა დიდი შოკი გამოიწვიოს, მით უფრო რომ ლაპარაკია კაც ზე, რომელიც „ლივერპულის“ ერთ-ერთ წამყვან ფეხბურთელად ითვლება“.*

● ნიუკასლი

ასი ათასით დააჯარიმეს



„ნიუკასლ იუნაიტედმა“ თავისი 25 წლის ესპანელი მცველი **ხოსე ენრიკე,** არც მეტი არც ნაკლები, 100 ათასი ფუნტით დააჯარიმა. მიზეზი: ენრიკემ „კაჭკაჭების“ მეპატრონე **მაიკ ეშლი** „ტვიტერში“ გააკრიტიკა. ალბათ, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ ფეხბურთელს „სენტ ჯეიმსი'ზ“ პარკიდან წასვლა უნდა და კონფლიქტიც ამან გამოიწვია. აქ აუცილებლად უნდა ითქვას, რომ მწვრთნელი **ალან პერდიუ** მდგომარეობიდან იოლად გამოძვრომას აპირებდა და უნდოდა ესპანელის დატუქსვით დაკმაყოფილებულიყო, მაგრამ ეშლი ისე გაბრაზდა, რომ ფეხბურთელისთვის ორი კვირის ხელფასის დაქვითვა ბრძანა.

„ხოსე არ იყო მართალი. „ტვიტერზე“ ის კომენტარები არ უნდა გამოექვეყნებინა და მე მას ამის შესახებ ვუთხარი. „ნიუკასლი“ მას ძალიან კარგ წინადადებას სთავაზობდა და ვინ იცის, მოვლენებისთვის მშვიდად რომ შეეხედა, მოგებულიც დარჩენილიყო. პირადად მე მინდა, რომ ენრიკე დარჩეს. ის კარგი ბიჭია, თუმცა „ტვიტერის“ ისტორია მის მომავალს, ალბათ, კვალს დაარჩენს. დარწმუნებული ვარ, თავადაც კარგად ხვდება, რომ შეცდა“.

როგორც მოგახსენეთ, ხოსე ენრიკეს „ნიუკასლის“ დატოვება უნდა. ის „სენტ ჯეიმსი'ზ“ პარკზე 2007 წელს „ვილიარეალიდან 6,3 მილიონ ფუნტად გადავიდა და კვირაში 50 ათას ფუნტს იღებდა. სეზონი, რომელიც ახლა დაიწყება, მოქმედი კონტრაქტის თანახმად, მისთვის ბოლო უნდა იყოს „ნიუკასლის“ შემადგენლობაში. ენრიკემ „კაჭკაჭებთან“ ახალი ხელშეკრულების გაფორმება იუარა, არადა, ისეთი მყიდველი, ნიუკასლელებს რომ დააკმაყოფილებდათ, არ ჩანს. ერთი ხანობა, „ლივერპულმა“ გამოიჩინა ინტერესი, მაგრამ „ნიუკასლმა“ მერსისაიდელების პირობები დაინუნა და სხვა ვარიანტებს ეძებს.

რაც შეეხება „ტვიტერსა“ და „ფეისბუქს“, ეს ორი სოციალური ქსელი პრემიერლიგის კლუბებისთვის თავსატეხად იქცა. გაზეთებისთვის ცნობილი გახდა, რომ უმაღლესი ინგლისური დივიზიონის ოცივე წარმომადგენელი შეხვედრას და ამ პრობლემაზე მსჯელობას აპირებს. სოციალურ ქსელებთან დაკავშირებით პერდიუს მოსაზრება ასეთია:

„ტვიტერი სახიფათოა. აქ, აღელვებულმა ადამიანმა შეიძლება ისეთი რამ დაწეროს, რასაც მერე ინანებს. მინდა სიფრთხილისკენ მოვუწოდო ყველა ადამიანს, ვინც თავისი გრძნობების გამოხატვას არ ერიდება“.

„ეულვერჰემპტონის“ თავკაცი **მიკ მაკარტი** კიდევ უფრო შორს წავიდა და თავის ფეხბურთელებს „ტვიტერით“ სარგებლობა აუკრძალა. ის ხალხს ვერ აჯარიმებს, მაგრამ ყველას, ვისაც სოციალურ ქსელში წაასწრებს, აფრთხილებს, რომ ეს სახიფათოა. სწორედ „ტვიტერმა“ დააკარგინა მაკარტის გასულ სეზონში „ასტონ ვილას“ ნახევარმცველი **სტივ სიდუელი**.

„ვიღაც იდიოტმა „ტვიტერში“ დაწერა, რომ სტივი ჩვენთან ერთად „ჩელსის“ თამაშზე იყო წამოსული. ეს ამბავი ყველამ გაიგო, რასაც ის მოჰყვა, რომ „ფულჰემის“ მაშინდელმა მწვრთნელმა, მარკ ჰიუზმა სასწრაფოდ დარა ზმა თავისი კლუბის შეფები და კაცი, რომელსაც მეორე დღეს ჩვენთან სამედიცინო შემოწმება უნდა გაევლო, ლონდონის გუნდის ფეხბურთელი გახდა. ხშირად, ფეხბურთელები არასასურველ ინფორმაციას გასცემენ, მაგალითად, რა შემადგენლობით ითამაშებს გუნდი მეორე დღეს“ - ამბობს პერდიუ.

გვერდი მოამზადა
ილია ბაბუნაშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

● პარი სენ-ჟერმენი

საფრანსფერო აფეთქება პარიზში

ჟერემი მენეზი (მარცხნივ) ბლეზ მატუიდი

"პარიზიენმა" კულუარულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ჯერ კიდევ პარასკევს დაწერა, "პარი სენ-ჟერმენმა" "რომადან" **ჟერემი მენეზის** ტრანსფერი სრულყოო, თუმცა ამ ინფორმაციას ოფიციალურად არავინ ადასტურებდა. ეტყობა, პარიზელები მომენტს ელოდნენ, რათა რამდენიმე ახალწვეულის ნარდგენა ერთბაშად მოეწყოთ. და აი, ეს მომენტიც დადგა. კლუბმა ჟერემი მენეზი, **ბლეზ მატუიდი** და **მილან ბიშევაცი** წარადგინა. სამივე ფეხბურთელმა კლუბთან 3-წლიანი კონტრაქტები გააფორმა.

ფეხბურთელებმა უკვე მოასწრეს კომენტარის გაკეთება სამომავლო გეგმებთან დაკავშირებით. აი, რას აცხადებენ ისინი "ეკიპთან" ინტერვიუსას. *"მე აქ იმიტომ მოვედი, რომ ძალიან მაინტერესებს ეს ამბიციური პროექტი და მასში მონაწილეობა. ველოდები, რომ ჩემი, როგორც ფეხბურთელის, ზრდა სწორედ აქ გაგრძელდება. იმედია, "პარი სენ-ჟერმენის" ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი გავხდები. ჩემი და ჟერემი მენეზის გამოცდილება ნამდვილად საკმარისი საფუძველია იმისთვის, რომ გუნდმა თამაში ახალ, აბსოლუტურად განსხვავებულ დონეზე დაიწყოს. კლუბში ყველას სჯერა ჩვენი შესაძლებლობების, სხვა შემთხვევაში ჩვენთან კონტრაქტები არ გაფორმდებოდა. იმის იმედიც მაქვს, რომ ამ კლუბის ფეხბურთელის რანგში უფრო ადვილად მოვახერხებ ნაკრებში დამკვიდრებას და ევრო 2012-ზე საფრანგეთის ნაკრებთან ერთად გამგზავრებას,"* – განაცხადა ბლეზ მატუიდიმ.

რაც შეეხება მენეზს... დედაქალაქური კლუბის 24 წლის ახალწვეულმა დაადასტურა, რომ მისი არჩევანი ყველაზე მეტად იმ ამბიციურმა გეგმებმა განაპირობა, რაც პსჟ-ს აქვს: *"პარი სენ-ჟერმენი" იმიტომ ავირჩიე, რომ ამ კლუბის ამბიციებმა მომხიბლა და იმ მოტივაციამ, როგორც უდგებიან აქ საქმეს. მქონდა სხვა შემოთავაზებებიც, მაგრამ აქაური ყველაზე საინტერესო აღმოჩნდა. როცა კი კონტრაქტის პირობები წავიკითხე, წამითაც კი არ დავფიქრებულვარ, ისე მივეცი თანხმობა.* მადლობა მინდა გადავუხადო ორივე კლუბს, "რომასაც" და "პარი სენ-ჟერმენსაც", რადგან მათ ტრანსფერის საქმე მაქსიმალურად მოკლე დროში მოაგვარეს.

მესმის, რომ ეს კლუბი ბოლო წლებში საკმაოდ რთულ ვითარებაში იყო, მაგრამ ახლა ხელახალი აღორძინების ფაზა დგება. ჩვენ ნამდვილად მზად უნდა ვიყოთ წამყვან ევროპულ კლუბებთან საბრძოლველად. მე და მატუიდი "პარკ დე პრენს ზე" იმიტომ მოვედით, რომ გუნდს დავეხმაროთ მაქსიმალური შედეგების მიღწევაში. "პარი სენ-ჟერმენის" თამაშებს ბავშვობიდან ვუყურებდი. მახსოვს ის დრო, როცა აქ რონალდინიო თამაშობდა. ამ გუნდში თამაში დიდი პატივია, რადგან ის მთელ მსოფლიოშია სახელგანთქმული. ვიცი თუ არა ზუსტად რა პოზიცია ზე ვითამაშებ? ჯერჯერობით არა. მართალია ანტუან კომბუარეს ტელეფონით ველაპარაკე, მაგრამ ასეთ დეტალებს არ შევხებივართ. ბუნებრივია, მთავარი მწვრთნელი გადაწყვეტილებას გუნდის საჭიროებებიდან გამომდინარე მიიღებს".

ამ ორმა მნიშვნელოვანმა ტრანსფერმა გარკვეულწილად ჩრდილში მოაქცია "ვალანსიენის" სერბი ცენტრალური მცველის მილან ბიშევაცის გადაბირების ამბავი. არადა, კომბუარეს გუნდი ამ პოზიციაზე გაძლიერებას აშკარად საჭიროებდა. გაზეთების ცნობით, პსჟ-ს 27 წლის ფეხბურთელის შეძენა საკმაოდ იაფი, 3,2 მილიონი ევრო დაუჯდა. მილანს საფრანგეთში თამაშის სერიოზული გამოცდილება აქვს. სამშობლოში "ჟელეზნიკსა" და "ცრვენა ზვეზდაში" თამაშის შემდეგ 2006 წელს ის სათამაშოდ ამ ქვეყანაში გადავიდა. 2006/08 წლები მან "ლანსში" გაატარა, 2008-დან კი "ვალანსიენში" ირიცხებოდა.

გარდა მატებისა, "პარი სენ-ჟერმენს" ერთი უმნიშვნელო დანაკარგიც აქვს. მატუიდის ნაცვლად, გარდა კონკრეტული თანხისა, რაც არ სახელდება, დედაქალაქელებმა **ჟერემი კლემანის** სატრანსფერო უფლებებიც დათმეს. 26 წლის ფეხბურთელი თითქმის 3 წლის განმავლობაში მიიჩნეოდა გუნდის წამყვან მოთამაშედ, თუმცა მოულოდნელად შარშან პოზიციები დათმო და სათადარიგოთა სკამზე გადაინაცვლა. *"კლუბის ისტორიაში ერთი ფეხბურთელის წასვლა და მეორის მოსვლა ჩვეულებრივი ამბავია. ეს ნიშნავს, რომ ისტორიის ერთი ფურცელი იხურება და მეორე იხსნება. „სენტ ეტიენის" მაისურით ოთხი წლის განმავლობაში თამაშის შემდეგ ბლეზ მატუიდიმ კარიერის პსჟ-ში გაგრძელება გადაწყვიტა. კლუბს უნდა, რომ მას გულწრფელი მადლობა გადაუხადოს გაწეული სამუშაოსთვის და წარმატებები უსურვოს კარიერის განმავლობაში.*

დღეს კი მოხარულები ვართ გაცნობოთ, რომ კლუბმა 3-წლიანი ხელშეკრულება გაუფორმა ჟერემი კლემანს, ფეხბურთელს, ვინც ძალზე მოტივირებულია ჩვენთან თამაშის იდეით. მან თითქმის 200-მდე თამაში ჩაატარა ლიგა 1-ში და ჩემპიონატს კარგად იცნობს. ასე რომ, ჩვენ მას ზე უკეთესი კანდიდატურა არც გვყავდა," – ნათქვამია „სენტ ეტიენის" ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებაში.

● სპორტინგი

სკანდალი ლისაბონში

პორტუგალიის პროფესიული ფეხბურთის ლიგის სადისციპლინო კომიტეტმა ლისაბონის "სპორტინგის" 24 წლის მეკარე **რიკარდუ ბატიშტა** 2-წლიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა. მიზეზი ბანალურია: ახალგაზრდა ფეხბურთელი დოპინგის გამოყენებაში ამხილეს. წინა სეზონი ბატიშტამ "ოლიანენშეში" სწორედ "სპორტინგიდან" იჯარის წესით გაატარა. რიკარდუს სისხლის ანალიზი 2011 წლის იანვარში სწორედ ამ კლუბისა და "აკადემიკა კოიმბრას" მატჩის შემდეგ ჩაუტარეს. პირველადი დადებითი პასუხი ანტისადოპინგო სააგენტომ ამა წლის მარტის ბოლოს მიიღო, 8 აპრილიდან კი მას უკვე აკრძალული ჰქონდა ჩემპიონატის მატჩებში მონაწილეობა. ბუნებრივია, კომისიამ განმეორებითი ანალიზიც ჩაატარა, რამაც პირველი პასუხი დაადასტურა. ბატიშტას დისკვალიფიკაციის ვადის ათვლა სწორედ 8 აპრილიდან დაიწყება და ვადა 2013 წლის აპრილში გაუვა.

გარდა აღნიშნული უსიამოვნო ინციდენტისა, კლუბში დადებითი ძვრები მიდის. წინა კვირას ტორონტოში "სპორტინგი" "იუვენტუსს" შეხვდა და 2:1 დაამარცხა (აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ **ალესანდრო დელ პიეროს** მიერ საჯარიმოს გარედან გატანილი ულამაზესი გოლი მეტოქის კარში). მატჩის შედეგების შეფასებას პორტუგალიურმა პრესამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო. "თეთრ-მწვანეების" შემადგენლობაში განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ **რიკი ვან ვოლფსვინკელი** და **სტინ სხაარსი**. პირველს "ჰოლანდიური სენსაცია" უწოდეს, მეორეს "გუნდის ახალი გული". პრესამ განსაკუთრებით აღნიშნა, რომ "ბებერ ქალბატონთან" მინდვრის ცენტრში განსაკუთრებულად ეფექტურად გამოიყურებოდა სხაარსისა და არგენტინელი **ფაბიო რინაუდოს** ახალი ტანდემი. მოკლედ, პრეზიდენტ **ლუიშ გოდინიო ლოპეშის** მიერ ტრანსფერებში გაღებული თანხები ჯერჯერობით ამართლებს.

"სპორტინგში" გადაბარგების შემდეგ ესპანურ პრესას პირველი ინტერვიუ მისცა "სევილიის" ყოფილმა ნახევარმცველმა **დიეგო კაპელმა**. ის კლუბში შექმნილი საქმიანი ატმოსფეროთი კმაყოფილია, თუმცა იქვე აცხადებს, რომ არასდროს დაივიწყებს ანდალუსიაში გატარებულ ბედნიერ წლებს.

იანიკ ჯალო

● არგენტინის ნაკრები



ბატისტა მაინც გაუშვეს

არგენტინის ნაკრებს მთავარი მწვრთნელი აღარ ჰყავს. ამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ კოპა ამერიკაზე არადამაკმაყოფილებელი შედეგების გამო **სერხიო ბატისტას** კონტრაქტი ვადაზე ადრე გაუწყვიტა. როგორც არგენტინული პრესა წერს, ახალი მთავარი მწვრთნელის ვინაობას ფედერაცია უახლოესი ერთი კვირის განმავლობაში დაასახელებს.

გადაწყდა ასევე, რომ 10 აგვიტოს რუმინეთთან დაგეგმილი ამხანაგური მატჩი აღარ გაიმართება.

● ამბები

გურკუფს ოპერაცია ელის

დღეს, 27 ივლისს, "ლიონის" ლიდერს, 25 წლის **იოან გურკუფს** ოპერაციას ვაკეთებენ. ფეხბურთელს კოჭის ტრავმა შარშანაც ანუხებდა და როგორც ჩანს, ექიმებმა სხვა გამოსავალი უბრალოდ ვეღარ ნახეს. რამდენი ხანი დასჭირდება იოანს აღდგენითი პროცესისთვის, ჯერჯერობით გაურკვეველია. სავარაუდო ვადას ქირურგები ოპერაციის შემდეგ იტყვიან. აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ გურკუფმა ისედაც მტკივანი კოჭი ვარჯიშზე თანაგუნდელთან შეჯახების დროს დაიშავა.

არსადაც არ მიდის

ტიერი ანრის ევროპაში სათამაშოდ დაბრუნებაზე ფრანგულ და ამერიკულ პრესაში ბოლო ხანს ძალიან ბევრს წერენ, თუმცა როგორც ჩანს, თავად ფეხბურთელს მსგავსი პერსპექტივა არ ხიბლავს: *"ნიუ იორკში ძალიან ბედნიერი ვარ. ბედნიერი ვიყავი ევროპაშიც, რადგან საკლუბო დონე ზე ყველაფერი მოვიგე, რისი მოგებაც კი საერთოდ შეიძლებოდა. ახლა ერთადერთი მიზანი მაქვს, ჩემს ახლანდელ კლუბთან ერთად რაიმე მოვიგო, რაც საკმაოდ რთული ამოცანაა. ასე რომ, ბექჰემის მაგალითი მე არ გამომადგება,"* – აცხადებს ის.

შეგახსენებთ, რომ "ლოს ანჯელეს გელექსიდან" **დევიდ ბექჰემი** იჯარის წესით ორჯერ გადავიდა "მილანში".

ტრეზეგეს სახლი მოენატრა

თუკი **ტიერი ანრი** სათამაშოდ საფრანგეთში დაბრუნებას გამორიცხავს, მისი ძველის ძველი მეგობარი, 33 წლის **დავიდ ტრეზეგე** პირიქით, მოწადინებულია, რომ პროფესიული კარიერის ბოლო წლები შინ გაატაროს. ფეხბურთელი აცხადებს, რომ მან ეს გადაწყვეტილება ოჯახთან თათბირის შემდეგ მიიღო. *"ჩემს ოჯახთან ერთად განვიხილე შექმნილი სიტუაცია და მივედი დასკვნამდე, რომ აშკარად დადგა ის დრო, როცა საცხოვრებლად საფრანგეთში უნდა დავბრუნდე. მე უკვე ძალიან მინდა ეს. დიახ, ვიცი, რომ ფინანსური თვალსაზრისით საფრანგეთის ჩემპიონატი არც ისე მომხიბლავია, როგორც ვთქვათ, ესპანეთი, ინგლისი და იტალია, მაგრამ მე მხოლოდ ისეთ გუნდს ვეძებ, რომელსაც სერიოზული სპორტული ამბიციები აქვს. ასეთი მიზნებისთვის ბრძოლის საფასურად მზად ვარ, ხელფასის სოლიდურ ნაწილზე ვთქვა უარი,"* – განუცხადა ფეხბურთელმა "ეკიპს".

ივნისის დასაწყისში წერდნენ "მარსელისა" და ტრეზეგეს შესაძლო თანამშრომლობაზე, თუმცა ეს ხმები შემდეგ არავინ დაადასტურა.

ესპანეთში ლიგის რეორგანიზაციას შეუდგნენ

სამხრეთი კორეის საფეხბურთო ასოციაციამ ამ ქვეყანაში გაჩაღებული საფეხბურთო სკანდალების შემდეგ პროფესიული ფეხბურთის ლიგის დაშლა და ახალი ორგანიზაციის ჩამოყალიბება გადაწყვიტა, - გვამცნობს "როიტერი". ლიგის გენერალური მდივნის **ან გი სეონის** თქმით, სერიოზული ცვლილებების აუცილებლობა შეუიარაღებელი თვალითაც კი ჩანს. შეგახსენებთ, რომ ბოლო 1 თვის განმავლობაში კორეის პროკურატურამ 46 ადამიანი დააკავა (მათ შორის ფეხბურთელები, მწვრთნელები, კლუბების ადმინისტრაციული თანამდებობის პირები) და მათგან უმეტესობას ბრალიც კი წაუყენა ჩანყობილ თამაშებში მონაწილეობის გამო. *"მართალია ამ სკანდალმა ჩვენს ფეხბურთსაც და ზოგადად ქვეყანასაც იმიჯი სერიოზულად შეულახა, მაგრამ ჩვენ ყველაფერს ვიზამთ, რათა სირთულეები მაქსიმალურად მალე დავძლიოთ, ამისთვის ჩვენ არც მოტივაცია გვაკლია და არც მონდომება,"* – განაცხადა სეონმა.

გვერდი მოამზადა
ლევან გიგილაშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაიერნი

იუპ ჰაინკესს ბევრი საქმე აქვს

დაცვა, დაცვა, გამოდი!

იუპ ჰაინკესის რთული მისია მიუნხენში

მიუნხენის „ბაიერნმა“ სატრანსფერო აქტივობები ოფიციალურად დაასრულა – რეკორდმაისტერმა ახალ ფეხბურთელებში 44 მილიონი დახარჯა და შანსი იმისა, რომ ბავარიელებმა კიდევ ვინმე შეიძინონ, ძალიან მცირეა. ეს ყველაფერი კი იმას ნიშნავს, რომ „ბაიერნის“ ახალმა თავკაცმა, იუპ ჰაინკესმა სწორედ არსებული შემადგენლობით უნდა მოახერხოს იმდენი, რომ გუნდმა თავი გაცილებით უკეთესად დაიცვას, ვიდრე ლუის ვან გაალის დროს იცავდა. მაინცში ჩატარებულ ამხანაგურ ტურნირზე, „ლიგა ტოტალის“ თასზე გამოჩნდა, რომ რაფინიასა და ჟერომ ბოატენგის ყიდვა ამისათვის საკმარისი არ ყოფილა – ყოველ შემთხვევაში არც ერთი არ არის საუკეთესო ფორმაში. გუშინ კი, მიუნხენში მორიგმა ამხანაგურმა ტურნირმა, „აუდის“ თასმა აიღო სტარტი, რაც „ბაიერნისთვის“ ახალი სეზონის ბოლო რეპეტიციაა.

თუკი „ლიგა ტოტალის“ თასზე „ჰამბურგთან“ მარცხი მეტწილად მანუელ ნოიერის შეცდომას დაბრალდა, „მაინცთან“ შეხვედრაში გაშვებული ორივე გოლი მცველების სინდისზე იყო. ეს განსაკუთრებით მაინცელთა მეორე გოლზე ითქმის: „ბაიერნი“ 2:1-ს იგებდა, უკანა ხაზი შეცდა და კარნავალელებმა წონასწორობა აღადგინეს. რეჟისორებმა სწორედ ამ მომენტში გვიჩვენეს ჰაინკესი, რომელიც მაინცელი ფეხბურთელების ზეიმს ნირწამხდარი უყურებდა. ლოგიკურია, რომ ორ მატჩში ოთხი გოლის გაშვებას მიუნხენში განგაში მოჰყვა. ერთადერთი მიზეზი, რის გამოც „დონ იუპს“ მატჩის შემდეგ სიმშვიდე შერჩა, ის იყო, რომ „ლიგა ტოტალის“ თასი მხოლოდ და მხოლოდ ამხანაგური ტურნირი, სეზონისთვის მოსამზადებელი პერიოდის ნაწილი გახლდათ. „ბაიერნის“ ფანები კი სხვადასხვა ფორუმზე მოთქვამდნენ, ჯერჯერობით გასული სეზონის შემდეგ არაფერი შეცვლილაო.

ჰაინკესი: დრო ჯერ კიდევ გვაქვს

„მაინცთან“ მატჩი რეკორდმაისტერმა მაინც მოიგო (პენალტების სერიაში) და საფინალო სასტვენის შემდეგ ჰაინკესმა ძალით მიიღო მშვიდი სახე და თქვა – ეს ჯერ კიდევ მოსამზადებელი პერიოდია, დრო ჯერ კიდევ გვაქვსო.

იმ დღეს სეზონის დაწყებამდე 18 დღე იყო დარჩენილი, რაც ლოგიკურად საკმარისი დროა იმისათვის, რომ „ბაიერნს“ დაცვაში თამაში გაეუმჯობესებინა. „აუდის“ თასი კი უფრო სერიოზული ტურნირი და შესაბამისად, უფრო სერიოზული გამოცდაა, რომელსაც „დონ იუპი“ და მისი შეგირდები, განსაკუთრებით კი მცველები გუშინდელი დღის შემდეგ აბარებენ.

ჰაინკესი **არტურო ვიდალის** ყიდვაზე ოცნებობდა და ამბობდა, ჩილელი ნახევარდაცვის ცენტრს **ბასტიან შვაინშტაიგერთან** ერთად იდეალურად გამიმაგრებს, მაგრი ცენტრი კი დაცვის ხაზის სტაბილურობის გარანტიაა. მაგრამ როგორც იცით, ვიდალმა „ბაიერნს“ ზურგი აქცია და ტურინის „იუვენტუსს“ მიაშურა. და ახლა მიუნხენური გრანდის პრეზიდენტმა **ული ჰაინესმა** და ვიცე-პრეზიდენტმა **კარლ-ჰაინც რუმენიგემ** რამდენიც არ უნდა იძახონ, ეგ ვიდალი არაკაცი ყოფილა და არაკაცები „ბაიერნში“ არ გვჭირდებაო, ფაქტია, რომ „ზებენერშტრასეზე“ ასეთი ფეხბურთელის მიყვანა აუცილებელი იყო და დღემდე აუცილებელია, რადგან **მარკ ვან ბომელის** წასვლის შემდეგ, შვაინშტაიგერის გვერდით ადგილი ჯერ კიდევ ვაკანტურია – ვერც **ანატოლი ტიმოშჩუკი** და ვერც „ჰოფენჰაიმიდან“ დიდი ზარ-ზეიმით ნაყიდი **ლუის გუსტავო** ვან ბომელის წასვლით შექმნილ სიცარიელეს ვერ ავსებენ. თუმცა რუმენიგე იხტიბარს არ იტეხს – ნახევარდაცვის ცენტრისთვის არაერთი მოთამაშე გვყავს, ტრანსფერები კი უკვე დავასრულეთ, მეტს აღარავის ვიყიდითო.

მაგრამ იქნება კი საკმარისი „ბაიერნის“ აქტუალური შემადგენლობა იმისათვის, რომ ჰაინკესმა დაცვა დაასტაბილუროს? ზოგადად, ვან გაალის პერიოდის შემდეგ, მიუნხენი მაღალი ანგარიშებით გამარჯვებასაც მიეჩვია – ჰოლანდიელი რეკორდმაისტერს ხომ ძალიან შემტევ ფეხბურთს ათამაშებდა. ამიტომაც თქვა იუპმა რამდენიმე დღის წინ „ზუდდოიჩე ცაითუნგისთვის“ მიცემულ ინტერვიუში: *„ცხადია, მეც მინდა, რომ ყოველთვის დიდი ანგარიშით ვიგებდეთ და ულამაზეს ფეხბურთს ვთამაშობდეთ, მაგრამ 1:0 და 2:1-იც ძალიან კარგი, რაც მთავარია, სამი ქულის მომტანი გამარჯვებებია. ჩვენ ასეთი ანგარიშები ისევ უნდა დავაფასოთ, რადგან რაში გვჭირდება ზედიზედ ორი 4:0, თუ მერე ზედიზედ ორ თამაშს ვერ მოვიგებთ? პირველ რიგში, დაცვის ხაზი უნდა თამაშობდეს კარგად. ნებისმიერი ტაქტიკა და სტრატეგია დაცვიდან იწყება.“*

ჰაინკესი ბოლო დროს ხშირად ციტირებს ცნობილ გამოთქმას იმის შესახებ, რომ შეტევა იგებს თამაშებს, დაცვა - ჩემპიონატებს. მართალია, ამხანაგურ ტურნირზე 120 წუთში 4 გოლის გაშვება სავსებით სამართლიანად არ შეფასდა სრულ კატასტროფად, მაგრამ იმ ტურნირმა კარგად გამოაჩინა ბავარიელთა ყველაზე ზუსტი ადგილი და შესაბამისად, ჰაინკესს გაუჩინა საქმე – იუპმა დაცვას უფრო დიდი გულისყურით უნდა მიხედოს.

„ეს დროული გაფრთხილება იყო. დაცვის ხაზი ჯერ კიდევ დასალაგებელია,“ - განაცხადა „ბაიერნის“ სპორტულმა დირექტორმა **კრისტიან ნერლინგერმა** „მაინცთან“ და „ჰამბურგთან“ თამაშების შემდეგ.

ვან ბუიტენი, ბადშტუბერი, ბოატენგი: ერთ-ერთი ზედმეტია

დღესდღეობით „ბაიერნში“ მხოლოდ ორ პოზიციაზეა გაურკვევლობა: დაცვისა და ნახევარდაცვის ცენტრებში. ჩვენი გერმანელი კოლეგები არ გამორიცხავენ, რომ იუპი თავიდან ისევ **დანიელ ვან ბუიტენისა** და **ჰოლგერ ბადშტუბერის** დუეტს ენდოს, ახალწვეული ჟერომ ბოატენგი კი იქაურობას ნელ-ნელა, სათადარიგოთა სკამიდან შეაჩვიოს. თუმცა მიუნხენურ კლუბში ახალი, ძვირადღირებული ფეხბურთელების სათადარიგოთა სკამზე დასმა არ სჩვევიათ. მოსამზადებელ შეკრებაზე ვან ბუიტენმა ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა და სხვათა შორის, ცუდად არც ბადშტუბერი გამოიყუებოდა. თუმცა მიუნხენელებმა მაინც იყიდეს ბოატენგი და ახლა „ბაიერნის“ დაცვის ცენტრში სერიოზული კონკურენციაა.

რაც შეეხება ნახევარდაცვას: იქ ყველაფერი მარტივადაა. 4-2-3-1 ტაქტიკურ სქემაში, ხუთი ნახევარმცველიდან, ოთხის ვინაობას წყალი არ გაუვა: მარჯვნივ **არიენ რობენი**, ცენტრში, შემტევად **თომას მიულერი**, მარცხნივ **ფრანკ რიბერი**, ორი საყრდენიდან ერთ-ერთი კი აუცილებლად შვაინშტაიგერი უნდა იყოს. ვინ იქნება მეორე? რეალური კანდიდატი სულ ორია: ტიმოშჩუკი ან ლუის გუსტავო. არის **დავიდ ალაბას** ვარიანტიც, მაგრამ ის ძალიან ახალგაზრდაა.

გერმანიის ნაკრები

შიურლეს სჯერა: ლიოვი წამიყვანს!

ანდრე შიურლე

გერმანიის ნაკრებისა და „ლევერკუზენის“ შემტევი ნახევარმცველი **ანდრე შიურლე** თითქმის დარწმუნებულია იმაში, რომ ერთი წლის შემდეგ ბუნდესგუნდის მთავარი მწვრთნელი **იოახიმ ლიოვი** მას უკრაინასა და პოლონეთში გასამართ ევროპის ჩემპიონატზე წაიყვანს. 20 წლის გარემარბი, რომელსაც ცენტრალური თავდამსხმელის პოზიციაზეც შეუძლია თამაში, ამბობს, ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ ევრო 2012-ზე ვითამაშო და დარწმუნებული ვარ, ლიოვი სახლში არ დამტოვებსო.

„მჯერა, რომ ევროპის ჩემპიონატზე აუცილებლად წამიყვანენ, დამუქრებით კი არც ერთ ფეხბურთელს არ დავემუქრები – მით უმეტეს, ჩემს უშუალო კონკურენტ ლუკას პოდოლსკის, რომელსაც უმაღლეს დონეზე თამაშის ჩემზე გაცილებით დიდი გამოცდილება აქვს. ჩემი აზრით, კონკურენცია მხოლოდ კარგია და ჩვენ ყველას ხომ მხოლოდ ერთი რამ გვინდა – ის, რომ გერმანია ევროპის ჩემპიონი გახდეს. ვფიქრობ, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი მიზანი მხოლოდ ევროპის ჩემპიონობა იქნება,“ - აცხადებს შიურლე „ველტისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

შეგახსენებთ, რომ 20 წლის შიურლე გასული სეზონის დასრულების შემდეგ „მაინციდან“ „ლევერკუზენში“ გადავიდა – „ფარმაცევტებს“ მისი ტრანსფერი დაახლოებით 8 მილიონი ევრო დაუჯდათ. შიურლემ „ლევერკუზენთან“ ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

ამბები

ლივერპული და ესპანელი თინეიჯერი

„ლივერპული“ ახლოსაა კიდევ ერთი ფეხბურთელის შეძენასთან - საქმე ეხება 18 წლის ნიჭიერ ესპანელს, **ნაჩოს**, რომელიც აქამდე „ალბასეტეში“ თამაშობდა. ნაჩომ სინჯები „ლივერპულის“ 18-წლამდელთა გუნდთან გაიარა და სპეციალისტთა დიდი მოწონება დაიმსახურა. ორშაბათს კლუბები შეთანხმდნენ, ინგლისელები „ალბასეტეს“ 115 ათას ევროს გადაუხდიან, რომელსაც ავტომატურად 170 ათასი ავტომატურად დაემატება როგორც კი ფეხბურთელს მთავარ გუნდში დებიუტი ექნება. პირველ გუნდში მე-10 მატჩის თამაშის შემდეგ „ლივერპული“ ესპანეთში დამატებით 340 ათას ევროს გადარიცხავს. ამის გარდა, „ალბასეტეს“ ნაჩოს მომავალი ტრანსფერიდან კიდევ 15% ერგება.

ლუიშ ფაბიანოს საშველი არ არის

„სან პაულუს“ ახალწვეულის, **ლუიშ ფაბიანოს** საქმე კარგად ვერ აქვს - მაისში ამ ფეხბურთელმა მუხლის ოპერაცია გაიკეთა, მაგრამ სამკურნალო პროცესი ცუდად მიმდინარეობს და ფორვარდს სხვა პროცედურების ჩატარება მოუნევს. შესაბამისად, გადაიდო მისი დაბრუნება მოედანზე. კლუბის ექიმი **ჟოზე სანჩესი** არ გამორიცხავს, რომ 30 წლის ლუიშ ფაბიანოს კიდევ ერთი ოპერაციის გაკეთება დასჭირდეს. ბრაზილიურმა კლუბმა „სევილიას“ ლუიშ ფაბიანოს სანაცვლოდ 7,6 მილიონი ევრო გადაიხადა და ფეხბურთელს 4-წლიანი კონტრაქტი გაუფორმა, თუმცა ჯერჯერობით ლუიშ ფაბიანო ვერ ახერხებს, დაეხმაროს თავის გუნდს.

მოხეტიალე ჯენი უელსში წავიდა

„კარდიფ სიტი“ თურქული „ბურსასპორიდან“ „სელტიკისა“ და „რეინჯერის“ ყოფილი ფორვარდი **კენი მილერი** გადაიბირა. უელსური გუნდი კენი მილერის პროფესიულ კარიერაში რიგით მერვეა. ახლა, ეს კონტრაქტი რომ ძალაში შევიდეს, საფეხბურთო ლიგამ უნდა დაამტკიცოს. 31 წლის ფორვარდის სანაცვლოდ „კარდიფ სიტი“ 1 მილიონ ფუნტ სტერლინგს იხდის. „კარდიფის“ ახალმა თავკაცმა **მელკი მაკეიმ** მილერამდე ფრანგი შემტევი **რუდი ჟესტედი** აიყვანა, რომელიც სეზონის ბოლოს „მეცმა“ თავისუფალი აგენტის სტატუსით გაუშვა.

ჰერეირა იუვეს და არსენალს უნდათ

ურუგვაის ნაკრების ნახევარმცველმა **ალვარო პერეირამ** კოპა ამერიკაზე დიდებულად ითამაშა, ის goal.com-ის ვერსიით, კოპას სიმბოლურ ნაკრებშიც მოხვდა. ასეთი თამაში კი შეუმჩნეველი არ დარჩენიათ ევროპულ გრანდებს. „პორტუს“ მარცხენაფლანგელის დამატება განსაკუთრებით „არსენალი“ და „იუვენტუსი“ აქტიურობენ. 25 წლის პერეირა პორტუგალიაში 2009 წელს რუმინული „კლუჟიდან“ გადავიდა. პორტუგალიელებმა მაშინ მის სანაცვლოდ 4,5 მილიონი ევრო გადაიხადეს.

გულიტი ქსამაქსში?

შვეიცარიაში მოთამაშე ერთადერთ ქართველ ლეგიონერ **ირაკლი ჩირიკაშვილს** სულ მალე, შესაძლოა, მწვრთნელად **რუუდ გულიტი** დაუნიშნონ. ეს ხმები მას შემდეგ გავრცელდა, რაც კლუბის რუსმა მეპატრონეებმა სამწვრთნელო შტაბი სრული შემადგენლობით გაათავისუფლეს. 48 წლის ჰოლანდიელი ახლახან გროზნოს „ტერეკის“ მწვრთნელობიდან დაითხოვეს.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი. ლა ლიგა

ბარსამ პენალტების სერიაში იმარჯვა

ბარსელონა

ფინალში პენალტების სერიით

გუშინ „ბარსელონა“ მიუნხენში „აუდის თასის“ გათამაშებაში ჩაება, სადაც კატალონიური გრანდის პირველი მეტოქე პორტუ ალეგრეს „ინტერნასიონალი“ გახლდათ. **ხოსეპ გვარდიოლამ** ამ თამაშზე ასეთი სასტარტო შემადგენლობა დააყენა: **ვალდესი, რივეროლა, ფონტასი, ბუსკეტსი, მაქსველი, ტიაგო, ინიესტა, კეიტა, აფელაი, სორიანო, კუენსა.** როგორც ხედავთ, მეტად ექსპერიმენტული შემადგენლობაა. ეს „ბარსას“ მეორე წინასასეზონო მატჩი იყო. ბრაზილიელთა შორის ყველაზე ცნობილი ფეხბურთელი მათი არგენტინელი ათიანი **ანდრეს დ'ალესანდრო** იყო. მეორე ტაიმში პეპმა ეს შემადგენლობა ათამაშა: **პინტო, ბალიუ, პიკე, აბიდალი, მასიპი, მუნიესა, ჩავი, ესპინოსა, ვილია, პედრო, ხეფრენი.**

ანგარიში პირველ ტაიმში ტიაგო ალკანტარამ გახსნა, მეორე ტაიმში ბრაზილიელმა **ნეიმ** გაათანაბრა, 63-ე წუთზე ისევ „ბარსა“ გავიდა წინ, ამჯერად ჯონათან დოს სანტოსმა გაიტანა, მაგრამ **დამიაომ** მატჩის დასრულებამდე 5 წუთით ადრე დალაშქრა პინტოს კარი - 2:2. თუმცა დამიაომ იმავე პენალტის სერიაში ვეღარ გაიმეორა. საბოლოოდ, ესპანელებმა პენალტების სერიაში 4:2 მოიგეს და „აუდის თასის“ ფინალში გავიდნენ. პენალტები გაიტანეს: ვილიამ, დოს სანტოსმა, კარმონამ და მუნიესამ. „აუდის თასის“ ფინალი დღეს გაიმართება, „ბარსელონას“ მეტოქე მიუნხენის „ბაიერნი“ იქნება.

ამერიკული ტურნე

ხოსეპ გვარდიოლამ გამოაცხადა იმ ფეხბურთელთა სია, რომელთაც 28 ივლისს ამერიკულ ტურნეზე წაიყვანს. როგორც კი „აუდის თასი“ მორჩება, „ბარსელონა“ 25-კაციანი შემადგენლობით გერმანიიდან ამერიკაში გაემგზავრება. გვარდიოლა შანსს B გუნდის 9 ფეხბურთელს მისცემს. ესენია: **მასიპი, მუნიესა, ბალიუ, როსელი, რივეროლა, კარმონა, დოს სანტოსი, კუენსა** და **სორიანო.** გვარდიოლა ასვენებს იმ სახმრეთამერიკელებს, რომელთაც კოპა ამერიკაზე მიიღეს მონაწილეობა. ასე რომ, ბარსას ამერიკულ ტურნეზე არ იქნებიან **ლეო მესი, ალექსის სანჩესი, ხავიერ მასკერანო, გაბი მილიტო, დანი ალვეში** და **ადრიანო კორეია.** მოკლედ, პეპმა მიუნხენურ 28 კაცს სამი მოაკლო: **გუსტავო ლედესი, არმანდო ლოსანო** და ხავი ესპინოსა. 31 ივლისს „ფედექსის“ სტადიონზე „ბარსელონას“ მეტოქე „მანჩესტერ იუნაიტედი“ იქნება.

პუიოლი სუპერთასზე არ იქნება

ხოსეპ გვარდიოლა გუნდის კაპიტან **კარლეს პუიოლს** ერთობ უფრთხილდება, მწვრთნელის გადაწყვეტილებით ოპერაციაგადატანილი ვეტერანი მცველი ესპანური ჩემპიონატის დაწყებამდე მოედანზე სათამაშოდ არ გავა. მიზეზი კი ისაა, რომ პუიოლს ჯერ ბოლომდე არ მოურჩენია ტრავმა და ასეც რომ იყოს, მისი დაყენება ამხანაგურ მატჩებში პეპს არ უღირს.

თუმცა კარლესი მხოლოდ ამხანაგურ მატჩებს არ გამოტოვებს - ჩემპიონატის დაწყებამდე ესპანეთში სუპერთასის გათამაშება მოეწყობა, ორრაუნდიან დაპირისპირებაში „ბარსელონა“ მადრიდის „რეალს“ შეხვდება - გადაწყვეტილია, რომ პუიოლი სუპერთასსაც გამოტოვებს.

მას რაღაცა აქვსო...

„ბარსელონას“ ჩილელი ახალწვეული ალექსის სანჩესი აცხადებს, რომ ის შეეცდება კლუბს მეტი ტიტულის მოპოვებაში დაეხმაროს. 22 წლის სამხრეთ ამერიკელმა თქვა: *„მე მოვედი მსოფლიოს საუკეთესო კლუბში. გვერდით, ჩავი, მესი და სხვები ითამაშებენ, ეს კი ჩემთვის დიდი პატივია. ჩემი მიზანია გუნდს კიდევ უფრო მეტი ტიტულის მოხვეჭაში დავეხმარო“.* სანჩესმა იუკადრისა კრიშტიანო რონალდოსთან შედარება: *„რონალდოს დიდ პატივს ვცემ, ის დიდი ფეხბურთელია, მაგრამ არ მსურს, ვინმეს შემადარონ“*, - განაცხადა მან. სხვათა შორის, ალექსისმა აღნიშნა, რომ თავიდანვე **რონალდოს**, ოღონდ ბრაზილიელის, ფანი იყო და ფეხბურთის ბევრ ასპექტში ცდილობდა მისთვის მიებაძა.

ალექსისი „ბარსას“ სპორტულმა დირექტორმა ანდონი სუბისარეტამ ერთობ შეაქო. მან განაცხადა, რომ სანჩესს ისეთი რამ აქვს, რაც „ბარსელონას“ არ გააჩნია, თუმცა კონკრეტულად რას გულისხმობდა, დიდ გოლკიპერს არ დაუკონკრეტებია: „ალექსისი ძალიან კარგი ფეხბურთელია, ელეგანტური. მას შეუძლია თამაში სხვადასხვა პოზიციაზე, აგრესიულია. ვფიქრობ, მას ისეთი თვისებები გააჩნია, რომელიც ჩვენს გუნდს ახლა აკლია“.

ჩავი არსენალს არ ეშვება

მოგეხსენებათ, **ჩავის** ამასწინდელმა კომენტარებმა **სესკ ფაბრეგასის** ტრანსფერთან დაკავშირებით ლამის „ომი“ გამოიწვია „ბარსელონასა“ და „არსენალს“ შორის. მაშინ „არსენალის“ ფრანგი თავკაცი **არსენ ვენგერი** აღაშფოთა ჩავის გამონათქვამმა - სესკი ლონდონში იტანჯებაო. მოგვიანებით ჩავიმ ამ სიტყვებისთვის ბოდიში მოიხადა, თუმცა იქვე დაამატა, რომ სესკისთვის კარგი იქნებოდა „ბარსელონაში“ თამაშიო.

როგორც ჩანს, ჩავი არ ისვენებს. მან ახლა ესპანურ „სპორტს“ მისცა ინტერვიუ, სადაც თქვა, რომ სესკ ფაბრეგასი ის ნაწილია, რომელიც „ბარსას“ სრულყოფილებას აკლია: *„მინდა, რომ ეს საგა კარგად*

ალექსის სანჩესი

დასრულდეს და სესკი „ბარსაში“ ვიხილო. ის „პაზლის“ უკანასკნელი ნაწილია, რომელიც გუნდს აკლია - ამის შემდეგ კი „ბარსელონა“ იქნება სრულად დაკომპლექტებული. სესკი სულ რაღაც 24 წლისაა და მისი დაბრუნება იმის ნიშანი იქნება, რომ თაობათა ცვლა გრძელდება. მე კონკურენციის არ მეშინია - 13 წელიწადია, რაც მუდმივად კონკურენციის ქვეშ ვარ. მეტი კარგი ფეხბურთელი ნახევარდაცვაში ისევ ჩვენთვის არის სასარგებლო. ასე რომ, ყველანი მოხარული ვიქნებით თუ ფაბრეგასი ჩვენთან გადმოვა“.

რეალი

იოზილი: გუნდი გაიზარდა და გიგულისთვის იბრძოლებს

გუშინ „რეალის“ გერმანელი ნახევარმცველი **მესუთ იოზილი** მედიას შეხვდა. შეხვედრაზე ვარსკვლავმა იმედი გამოთქვა, რომ ახალ სეზონში მისი გუნდი ჩემპიონის ტიტულს მოიპოვებს. *„ახლა ჯერჯერობით სუპერთასის მატჩებზე არ ვფიქრობთ. ახლა დროა, ვიმუშაოთ, ხოლო ტრავმირებულები ბოლომდე გამოჯანმრთელდნენ. ჩვენ გვაქვს პოტენციალი მოვიგოთ ყველაფერი. ამიტომ მხოლოდ სუპერთასისთვის კი არა ყველა ჯილდოსთვის ვიბრძოლებთ“.*

იოზილი ახალწვეულთა თემას შეეხო: *„ახალგაზრდა ფეხბურთელები კარგად ჩაებნენ მზადების პროცესში. ჩვენ მათ თბილად დავხვდით და ვხედავთ, რომ ისინი ახალ გარემოს მალე შეეგუენ,* - თქვა იოზილმა - *მე და კაკა ერთმანეთს კარგად ვუგებთ მოედანზეც და მის გარეთაც. ჩვენ შორის ნამდვილი მეგობრული ურთიერთობაა, ჩვენ ერთმანეთს ვავსებთ და არ ვუშლით ხელს. დიდი სურვილი მაქვს კაკა „რეალში“ დარჩეს და იმედია, ასეც იქნება. ნური და სამი მნიშვნელოვანი ფიგურები არიან გუნდში და კარგი იქნება, თუკი 14 აგვისტოსთვის ორივე მწყობრში იქნება“.*

პირველი ვარჯიში მშობლიურ ბაზაზე

რეალი ივსება და იცლება

ამერიკული ტურნედან დაბრუნებულმა „რეალმა“ „ვალდებებასის“ ბაზაზე პირველი ვარჯიში გამართა, რომელმაც უდიდესი ინტერესი გამოიწვია ესპანურ მედიაში. პირველად გუნდთან ერთად ივარჯიშა 19 ივლისს ამერიკაში დამტვრეულმა სამი ხედირამ. **ჟოზე მოურინიომ** გუნდი ორად გაყო და ტაქტიკური სქემები ამუშავებინა ფეხბურთელებს.

დღეს „რეალი“ ბერლინის „ჰერტას“ ამხანაგურ მატჩში შეხვდება. ამ მატჩისთვის მან 20 ფეხბურთელი შეარჩია, რომელთა შორის არ არიან **სერხიო რამოსი, ნური შაჰინი** და **ჰამით ალთინთოპი.** არ იქნება არც **ესტებან გრანერო,** რომელსაც მცირე ტრავმა აქვს. 20 ფეხბურთელში მოხვდნენ B გუნდის („რეალ კასტილია“) წევრები: **კასადო, ნაჩო, ხესე** და **ხოსელუ.**

სხვათა შორის, „რეალის“ ვარჯიშზე არსად გამოჩენილა **ლასანა დიარა.** ვფიქრობთ, ფრანგ ნახევარმცველს „სამეფო კლუბში“ ამიერიდან აღარ ვიხილავთ. ასევე მალე დატოვებს „რეალს“ არგენტინელი **ფერნანდო გაგოც** - ის „ბოკა ხუნიორსში“ ბრუნდება.

მარსელო ესპანელია

მადრიდის „რეალის“ ბრაზილიელმა მცველმა **მარსელომ** ესპანეთის მოქალაქეობა მიიღო. ამიერიდან ის აღარ

მარსელო ბედნიერია

ითვლება გუნდის არაევროკავშირელ ფეხბურთელად და ლიმიტი მას აღარ შეეხება: *„ესპანეთის მოქალაქეობის მიღება ჩემთვის მნიშვნელოვანი ამბავია. ამ დღეს კარგა ხანი ველოდი“*, - განუცხადა მარსელომ „რეალის“ ოფიციალურ საიტს.

პედრო ლეონი ბრუნდება

პედრო ლეონი და სერხიო კანალესი მიდიან?

„რეალის“ ნახევარმცველმა **პედრო ლეონმა** რადიო „კადენა კოპეს“ განუცხადა, რომ შეთანხმება მისი „ხეტაფეში“ დაბრუნების შესახებ არსებობს. „ხეტაფეს“ პრეზიდენტი **ანხელ ტორესი** თავად ეწვია „სანტიაგო ბერნაბეუს“ ამ ტრანსფერის გასაჩარხავად. აქვე აღვნიშნავთ, რომ კიდევ ერთი ახალგაზრდა ნახევარმცველი შეიძლება წავიდეს „რეალიდან“ - **სერხიო კანალესს** „ვილიარეალი“ ეპატიჟება.

გრანადა

პამარო და სგაღიონი

ფრანგი მცველი **ნოე პამარო** „გრანადას“ წევრია. 32 წლის ფეხბურთელი პრიმერადივიზიონში დაბრუნებული გუნდის მესამე ახალწვეულია. შეგახსენებთ, რომ პამარო ბოლო სეზონში „ერკულესში“ თამაშობდა, რომელიც სეგუნდადივიზიონში გავარდა. გუშინ ის კლუბმა ოფიციალურად წარადგინა.

„გრანადა“ მთელი შემადგენლობით ემზადება ახალი სეზონისთვის. თუ არ

პამარო პრეზენტაციაზე

» მე-9 გვერდზე

ბარსას ვარჯიშზე ახალგაზრდები ჩანან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაციო

რეიას ამბიციური გეგმები



ედუარდო რეია

მიმდინარე სატრანსფერო პერიოდში „ლაციო“ საგრძნობლად გაძლიერდა და ისეთი პირი უჩანს, რომ პროცესი კიდევ გაგრძელდება. მას შემდეგ, რაც მირჩილავ კლოზესა და ჯიბრილ სისეს ტრანსფერების ამბავი გადაწყდა, რომაული გუნდის მიმართ ინტერესი ერთი-ორად გაიზარდა. ბოლო ინფორმაციით, „ბიანკოჩელესტეს“ მესვეურები დეიან სტანკოვიჩის მიმართულებით გააქტიურდნენ და დიდი სურვილი აქვთ, რომ სერბი ფეხბურთელი რომში დააბრუნონ. ალბათ გახსოვთ, რომ საუკეთესო წლები დეიანს სწორედ „ბიანკოჩელესტეში“ აქვს გატარებული - ამ ყველაფერმა კი გამოიწვია ის, რომ „ლაციოს“ საშინაო შეხვედრების აბონიმენტებზე ტაციაობაა და ამ კუთხით, ბოლო ათწლეულის საუკეთესო მაჩვენებლის გაუმჯობესებას ელოდებიან. „კორიერე დელო სპორტი“ ედუარდო რეიას გაესაუბრა და რამდენიმე საინტერესო საკითხზე ჩამოუგდო სიტყვა.

სატრანსფერო გეგმები

ხარისხზე გავაკეთეთ არჩევანი და არა რაოდენობაზე, ასე რომ, „ლაციო“ მხოლოდ მაღალი კლასის ფეხბურთელებს დაიმატებს. **მიროსლავ კლოზე** და **ჯიბრილ სისე** თავდასხმას საგრძნობლად გააძლიერებენ, ამ რგოლში კი გასულ სეზონში ძალიან გვიჭირდა. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოსაპოვებლად ერთი კარგი, გამტანი ფორვარდი დაგვაკლდა. დიდი იმედი მაქვს, რომ მომდევნო სეზონში მსგავსი პრობლემა აღარ შეგვექმნება.

რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, აქცენტს დაცვის გაძლიერებაზე გავაკეთებთ, რადგან ნახევარდაცვით მთლიანობაში მაინც კმაყოფილი ვარ. დიდი სურვილი მაქვს, რომ ერთი ცენტრალური და ერთი მარჯვენა მცველი დავიმატოთ, რათა ყველა პოზიციაზე კონკურენცია შეიქმნას. უკვე მონიშნული მაქვს რამდენიმე ფეხბურთელის გვარი და უახლოეს დღეებში ამ მიმართულებით მუშაობა დაიწყება. ფეხბურთელთა გვარების დასახელებისგან ამ შემთხვევაში თავს შევიკავებ, თუმცა დიდხანს მაინც არაფერი დაიმალება.

საბოლოო ჯამში ჩვენი მიზანია, რომ ისეთი გუნდი ჩამოვაყალიბოთ, რომელიც ყველა ტურნირზე მხოლოდ უმაღლესი მიზნებისთვის იბრძოლებს და ეს ამბავი ისე აღარ გაუკვირდებათ, როგორც ეს გასულ სეზონში იყო. ჩვენ უნდა დავამტკიცოთ, რომ წინა სეზონის პროგრესი არა შემთხვევითობა, არამედ მიზანმიმართული შრომის შედეგი გახლდათ და ეს პროცესი აუცილებლად გაგრძელდება.

მიზანი

მიზნად იმას დავისახავთ, რასაც გასულ სეზონში ვერ მივაღწიეთ, არადა, ძალიან ციტა დაგვაკლდა. ჩემპიონთა ლიგაში ასპარეზობას ჩვენი გულშემატკივრები დიდი ხანია ელოდებიან და დროა, რომ მათი სურვილი ავასრულოთ. არადა, მომდევნო სეზონში კონკურენცია ძალიან დიდი იქნება, მიზნის მიღწევა კი ურთულესი. „ინტერი“ და „მილანი“ ტრადიციულად ძლიერები არიან, „იუვენტუსი“ და „რომა“ კი უკვე საგრძნობლად გაძლიერდნენ და როგორც ჩანს, კიდევ უფრო გაძლიერდებიან. ამას ისიც ემატება, რომ მომდევნო სეზონიდან ჩემპიონთა ლიგაში მხოლოდ სამი იტალიური კლუბი გავა და არა ოთხი. ეს ის თემაა, რომელიც თითოეული ჩვენგანის პრობლემად უნდა განვიხილოთ და ვეცადოთ, რომ დაკარგული პოზიცია დროულად დავიბრუნოთ. მართლაც გასაკვირია, როდესაც შიდა ჩემპიონატში ასეთი კონკურენციაა, ასეთი გუნდები ასპარეზობენ და ევროარენაზე წარმატებებს გადავეჩვიეთ. ასე რომ, ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებასთან ერთად, ევროპის ლიგაზეც უნდა ვიზრუნოთ და ამ ტურნირზეც აუცილებლად წარმატებით უნდა გამოვიდეთ. სწორედ ამიტომ ვაქტიურობთ სატრანსფერო ბაზარზე და ისეთ შემადგენლობას ვკრებთ, რომელსაც ნებისმიერი ამოცანის გადაჭრა შეუძლია.

ცვლილებები

რა შეიცვლება გუნდში? - გარდა იმისა, რომ შემადგენლობა გვეყოლება ბევრად უფრო ძლიერი, ვიდრე გასულ სეზონში, ცვლილებები ტაქტიკა-სტრატეგიის კუთხითაც იქნება. ფეხბურთელთა დიდი არჩევანი იმის საშუალებას გაძლევს, რომ უფრო მეტი სქემა გამოსცადო და სასურველ მომენტში თამაშის რიტმი სწორედ ამის საშუალებით შეცვალო. დღეს, ყველაზე აქტუალური 4-3-2-1 და 4-4-2 ტაქტიკებია და ბუნებრივია, რომ ამ სქემებს მეც აქტიურად გამოვიყენებ. გამომდინარე იქიდან, არაერთი მაღალი კლასის თავდამსხმელი გვყავს, საბაზო ტაქტიკა მაინც 4-4-2 იქნება და ამის დამალვის აზრს ვერ ვხედავ. მე იმ მწვრთნელთა კატეგორიას მივეკუთვნები, რომლებიც არაფერს მალავენ, რადგან ვფიქრობ, რომ თუ შენ საქმეს კარგად შეასრულებ, შედეგი არ დაახანებს. ერთს ნამდვილად ვპირდები გულშემატკივრებს, გუნდის თუთოეული ფეხბურთელი მაქსიმუმს გაიღებს იმისთვის, რომ სასურველ მიზნებს მივაღწიოთ.

ლაშა წიკლაური

ნაპოლი

ესეკილ ლავეცი

ლავეცი არსად მიდის

ესეკილ ლავეცის „ნაპოლიდან“ შესაძლო აბარგების შესახებ ბევრი ითქვა და კიდევ უფრო მეტი დაიწერა, მაგრამ, როგორც ჩანს, ჟურნალისტთა მონადინება ამაო გამოდგა - 26 წლის არგენტინელი შემტევის პირადი აგენტის თქმით, ესეკილი სამხრეთში თავს შესანიშნავად გრძნობს და მომდევნო სეზონსაც „ნაპოლიში“ გაატარებს:

„ლავეცის გადაბირება ევროპული ფეხბურთის არაერთ გრანდს სურს, მათ შორის ტურინის „იუვენტუსს“, „მილანს“ და „მანჩესტერ სიტის“, მაგრამ თავად ფეხბურთელის სურვილია, რომ კარიერა „ნაპოლიში“ გააგრძელოს. ნეაპოლურ გუნდთან ერთად ესეკილმა ჩემპიონთა ლიგის საგზური მოიპოვა და სურს, რომ ევროპის უპრესტიჟულეს საკლუბო ტურნირზე სწორედ ცისფერი მაისურით იასპარეზოს. ამის შესახებ მას ვალტერ მაძარისთან ჰქონდა საუბარი და სრული მხარდაჭერა მიიღო, ჩვენი ინფორმაციით კლუბის პრეზიდენტსაც მისი შენარჩუნების სურვილი აქვს და გამომდინარე აქედან, ყველანაირი კითხვის ნიშანი მოხსნილია. ერთი სიტყვით, თუ რაიმე გაუთვალიდსწინებელი არ მოხდა, ლავეცი „ნაპოლიში“ გააგრძელებს ასპარეზობას“.

ლაშა წიკლაური

ესპანეთი. ლა ლიგა

« მე-8 გვერდიდან

ჩავთვლით ტრავმირებულ ფორვარდ **ალექს გეიხოს**. გუნდის კაპიტანი **მანოლო ლუსენა** ინდივიდუალურად ემზადება, რადგან მას ბოლომდე არ მოურჩენია მტკივანი მუხლი. გრანადაში დიდი გეგმები აქვთ. ქალაქის მერმა **ურტადო ტორესმა** განაცხადა, რომ გეგმაშია ახალი, 40-ათასიანი სტადიონის მშენებლობა.

მალაგა

სანტი მალაგელი

„ვილიარეალი“ ნაწილებად დაიტაცეს - გუნდს ერთმანეთის მიყოლებით ტოვებენ ლიდერები - წუხელ დადასტურდა, რომ „ელ სუბმარინო“ და „მალაგა“ **სანტი კასორლას** ტრანსფერზე შეთახმდნენ. ესპანეთის ნაკრების ფეხბურთელი ანდალუსიური კლუბის ნახევარდაცვას გააძლიერებს. ახლა ტრანსფერის ხელმოწერამდე მხოლოდ ერთი ფორმალობაა დარჩენილი - სამედიცინო შემოწმება. კლუბები თანხას არ ასახელებენ, თუმცა ესპანური მედია ვარაუდობს, რომ კასორლას სანაცვლოდ „მალაგამ“ 19 მილიონი გადაიხადა, რასაც კიდევ 2 მილიონი შეიძლება დაემატოს ბონუსის სახით.

„მე აქ 7 წელინადი გავატარე და განშორება მიმძიმს. ცვლილება აუცილებელი იყო და მე მოხარული ვარ, რომ „მალაგაში“ გადავდივარ, თუმცა აქაურობაზე გული ძალიან მწყდება“, - განაცხადა კასორლამ „ვილიარეალის“ ოფიციალურ საიტთან საუბარში.

კასორლა 26 წლისაა, ის 2002 წელს 18 წლის ასაკში გადავიდა „ვილიარეალში“, თუმცა პირველ გუნდში წელინად-ნახევრის შემდეგ მოხვდა. მანამდე კი სანტი „ოვიედოს“ ღირსებას იცავდა.

აგლეტიკო

კუნი მანჩესტერში

კუნ აგუეროს წარმომადგენელი ინგლისში გაფრინდა „მანჩესტერ სიტის“ ხელმძღვანელობასთან მოსალაპარაკებლად. დღეს უკვე, შესაძლოა, აგუერო კარლოს ტევესის შემცვლელი გახდეს ამ კლუბში. თავად არგენტინელი ფორვარდი სამშობლოში ისვენებს. როგორც თავად ამბობს, სერიოზულად მხოლოდ ორი გუნდის „იუვენტუსისა“ და „სიტის“ წინადადებას იხილავდა. გუშინ კი მან აგენტ ერნან რეგერას უბრძანა, მოლაპარაკება „სიტისთან“ გააგრძელოს. მოკლედ, აგუერომ პრინციპული გადაწყვეტილება მიიღო - ის ესპანურ პრიმერადივიზიონს ტოვებს.

მოამზადა

ნიკოლოზ ნეფარიძემ

კუნი ესპანეთს დატოვებს

ტრაბზონი 2011

დღე მეორე, ისევ იმედგაცრუება

კახა ბერიძე
ტრაბზონიდან
სპეციალურად ლელოსთვის

პირველ რეპორტაჟში დაგპირდით, რომ ფესტივალის ოგანიზაციულ ნაკლოვანებებზე მაშინ ვისაუბრებდით, როდესაც თამაშები ძალას მოიკრებდა, თუმცა ეს აქ იმდენად მტკივნეული თემაა, რომ ვეჭვობ, რამე გამოსწორდეს. ერთადერთი, რაც მეტ-ნაკლებად გამართულად მუშაობს, ეს ტრანსპორტია. ოლიმპიური სოფლიდან ავტობუსები სპორტულ ბაზებზე და პირიქით 30 წუთის ინტერვალით მოძრაობენ, მაგრამ აქ უკვე სხვა პრობლემებმა იჩინა თავი. მძღოლების უმეტესობამ გზა არ იცის და მათ მოხალისეების დახმარება სჭირდებათ. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სოფლიდან ყველა არენა საკმაოდ მოშორებითაა და მინიმუმ 30-40 წუთის სავალზეა. ახალგაზრდულ ფესტივალს ტრაბზონში 1300-ზე მეტი მოხალისე ემსახურება, მაგრამ რად გინდა – გარდა იმისა, რომ ენობრივი ბარიერია და ინგლისური არ იციან, თუ გაგიმართლა და რაიმე გააგებინე, მაინც ვერაფრით დაგეხმარება იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ წარმოდგენა არ აქვს. მოკლედ, „ვოლონტიორებში" ფრაზა I Don,t Know საკმაოდ პოპულარულია. კვების მხრივ შედარებით უკეთესი ვითარებაა. თურქული სამზარეული ხომ მსოფლიოში ერთ-ერთი გამორჩეულია. სოფლის სასადილო ერთდროულად 700 კაცს იტევს.

ზემოთ სპორტული ბაზების სიშორეს გავუსვით ხაზი და ამ მხრივ ძიუდოს დარბაზი ნამდვილად გამორჩეულია. რატომ გადაწყვიტეს მასპინძლებმა ძიუდოს ტურნირის სოფელ ოფში ჩატარება, რომელიც ტრაბზონიდან ზუსტად საათის სავალზეა, ყველასათვის გამოცანად რჩება. იხუმრეს კიდეც ჩვენმა ძიუდოისტებმა, პირველი დღის ასპარეზობის შემდეგ - აქედან ბათუმში უფრო მალე ჩავალთ, ვიდრე უკან ტრაბზონშიო.

შეჯიბრებებზე ხშირად ოქმები იგვიანებს, ძიუდოს ტაბლო რამდენჯერმე მწყობრიდან გამოვიდა, ინტერნეტის პრობლემაც არის, მთავარ პრესცენტრში ბევრი მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიუწვდომელია, ჩოგბურთში კი სულაც ტურნირის მთავარმა დელეგატმა კენჭისყრის ჩატარებას ვერ მოაბა თავი და მოთამაშეებმა უშუალოდ კორტზე გასვლამდე შეიტყვეს მეტოქეთა ვინაობა. მისიის ხელმძღვანელთა ოფიციალურ შეხვედრებზე დელეგაციებს ვერც ერთ საკითხზე კონკრეტულ პასუხს ვერ აძლევენ. მოკლედ, სრული ქაოსია.

საქართველოს დელეგაციის წევრები სოფელ ოფისკენ იმ იმედით გავემგზავრეთ, რომ მიმდინარე ფესტივალზე ჩვენი ქვეყნის ჰიმნი აჟღერდებოდა. ამის რეალური საფუძველიც გვქონდა, რადგან **ვანო მამისაშვილი** (55კგ) ტრაბზონში ევროპის ჩემპიონის რანგში ჩამოვიდა და ფავორიტადაც სამართლიანად ითვლებოდა. თუმცა ოქროს ვინ ჩივის, საერთოდ უმედლოდ დავრჩით. პირველად გულმა რეჩხი მაშინ გვიყო, როდესაც მამისაშვილმა I წრეში იტალიელ **დუარდო ბუჩისთან** დამატებით დროში გაჭირვებით მოიგო. თითქოს აგრესია აკლდაო და გამოფიტული იყო. ეტყობოდა ფიზიკურ კონდიციებშიც მოისუსტებდა. ყველაფერი იქითკენ მიდიოდა, რომ ვანო ასეთი ჭიდაობით შორს ვერ წავიდოდა. სამწუხაროდ, ასეც მოხდა. იგი 1/4 ფინალში ბელარუს **დიმიტრი მინკოვთან** შეხვედრის დამთავრებამდე სამი წამით ადრე ვაზარზე დაეცა. დამამშვიდებელში მამისაშვილმა ბულგარელ **ვალინტინ ალიპიევს** და პოლონელ **პაველ ვავრიჩეკს** მოუგო და რეპეშაჟის ფინალში ასპარეზობის უფლება მოიპოვა, სადაც უკრაინელ **პავლო სკოპენკოსთან** დამარცხდა. წაგებით ვის არ წაუგია, მაგრამ ევროპის ჩემპიონისგან ასეთ უსუსურ ჭიდაობას არავინ მოელოდა.

ვანო მამისაშვილი

უმჩატეს წონაში **ზვიად ხუბულურმა** პირველ წრეში სერბი **ფილიპ ნურკიჩი** კი დაამარცხა, მაგრამ შემდეგ აზერბაიჯანელ **სადიკ მაჰარმადოვთან** ველარაფერს გახდა. სამწუხაროდ, მან ვერც რეპეშაჟში იყოჩაღა. თავდაპირველად ესპანელ **დანიელ სანტიაგოს** მტკივნეული ილეთი გაუკეთა, მაგრამ შემდეგ ბელგიელ **ქარიმ მაეკელბერგთან** ბოლო წამზე შებოჭვაზე მოჭყვა და ბრინჯაოს მედლის შანსიც გადაეწურა.

ერთადერთი გუშინ ძიუდოზე სასიამოვნო რაც მოხდა, ეს ქართველი რეფერის ვლადიმერ ნუცუბიძის კარგი მსაჯობა იყო. ორგანიზატორებმა მას 50 კილოგრამ წონით კატეგორიაში ფინალის გაძღოლა დაავალეს, რასაც ნუცუბიძემ თავი იდეალურად გაართვა.

ველოსიპედისტებმა 9 კილომეტრზე ინდივიდუალურ რბოლაში იასპარეზეს. **ბექა ნარეკლიშვილი** 81-ე, ხოლო **დიმიტრი ხოსიაური** 55-ე იყო 96 მონაწილეს შორის.

ცურვაში **თეიმურაზ კობახიძე** საკუთარ შედეგებს დღითი დღე აუმჯობესებს. გუშინ მან 100 მეტრ ბატერფლაიში მოსინჯა ძალები და ფინალში ასპარეზობის უფლებაც მოიპოვა. საბოლოოდ 58,80 შედეგით მე-16 ადგილზე გავიდა. ნიშანდობლივია, რომ კობახიძე პირველია, ვინც ქართველთაგან ახალგაზრდულ ფესტივალებზე ცურვაში ფინალში ასპარეზობის უფლება მოიპოვა.

ბოლოს დავძენთ, რომ გუშინ ძიუდოს დარბაზში სეოკ-ის პრეზიდენტი **გია ნაცვლიშვილი** ევროპის ოლიმპიური კომიტეტების პრეზიდენტს **პატრიკ ჰიკს** შეხვდა და არაერთ მნიშვნელოვან საკითხზე ისაუბრეს. როგორც იცით, ჰიკი საქართველოს დიდი მეგობარია და ჩვენი ძიუდოისტების წარუმატებლობაც გულწრფელად ეწყინა.

ძიუდო

ცირეკიძე ნაკრებს დაუბრუნდა

ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონი ძიუდოში **ირაკლი ცირეკიძე** (100) ნაკრებს დაუბრუნდა და თვის ბოლოს გუნდთან ერთად იტალიაშიც მიემგზავრება შეკრებაზე.

ცირეკიძე დისციპლინის დარღვევისთვის ნაკრების ავსტრიელმა თავკაცმა **პეტერ ზაიზენბახერმა** ჩამოაშორა გუნდს. მიზეზი შეკრების გაცდენა იყო, როცა ოლიმპიურმა ჩემპიონმა მშობლიურ ქუთაისში ორი დღით ითხოვა წასვლა, მაგრამ იქ ჩასულმა ტელეფონი გამორთო (ყოველ შემთხვევაში - ის, რომელიც ფედერაციამ იცოდა) და დუშეთში მოწყობილი შეკრება საერთოდ გამოტოვა. დისციპლინის განუხრელი დაცვის მომხრე ავსტრიელმა მისი არგუმენტები არ მიიღო და გუნდიდან მოკვეთა. ეტყობა, ამაში თავისი როლი სხვა რამემაც ითამაშა - ზაიზენბახერმა განაცხადა, ცირეკიძეს თუ ჩემი ვარჯიშები არ მოსწონს, შეუძლია, დამოუკიდებლად მოემზადოსო! მწვრთნელის თქმით, სპორტსმენი ძალიან ბევრ კითხვას უსვამდა ლამის ყველა სავარჯიშო ნიუანსთან დაკავშირებით და თითქმის ყველაფერზე მოითხოვდა ახსნა-განმარტებას. ავსტრიელმა მაშინვე დასძინა, რომ ცირეკიძეს მსოფლიოს პირველობაზე წასვლის შანსი მაინც რჩებოდა და მას ბოლო შეკრებაზე თან გაიყოლებდა. გუნდი კვირას დაბრუნდა იაპონიიდან, სადაც ხანგრძლივი შეკრება გაიარა და ზაიზენბახერმაც სიტყვა შეასრულა - ქართული ძიუდოს ყველაზე ტიტულოვანი სპორტსმენი კვლავაც ძირითად შემადგენლობასთან ვარჯიშობს და თვის ბოლოს ნაკრებს იტალიაშიც გაჰყვება ერთობლივ შეკრებაზე. *„ორი შეკრების განმავლობაში ცირეკიძე ცალკე ვარჯიშობდა თავისი გეგმით, თუმცა, ვფიქრობ, ეს ის გრაფიკია, რამაც მას ამხელა ტიტულები მოაპოვებინა. ის ძალიან გამოცდილი სპორტსმენია, კარგად გრძნობს საკუთარ თავს და მჯერა, კარგად მოემზადებოდა"* - განაცხადა ზაიზენბახერმა. ნაკრები გუშინ შტანგებზე ვარჯიშობდა - სხვადასხვა სახის სპეციფიკურ მოძრაობებს ასრულებდა სისწრაფე-კოორდინაციის გასაძლიერებლად. მათ შორის ცირეკიძეც იყო, რომელმაც ასეთი კომენტარი გააკეთა: *„იმ ხნის განმავლობაში, ვიდრე ნაკრები იაპონიაში ემზადებოდა, მე თბილისში ვვარჯიშობდი აქ დარჩენილ გუნდთან ერთად, აქაური მწვრთნელების მეთვალყურეობით. იაპონიაში წასვლის წინ ზაიზენბახერმა მათ მოსამზადებელი გეგმა დაუტოვა და წვრთნებიც იმის მიხედვით მიდიოდა. ამიტომ არა მგონია, დიდი განსხვავება იყოს ჩემსა და იაპონიაში ნამზადებ ხალხს შორის. გუნდი სულ ორი დღის დაბრუნებულია თბილისში და მწვრთნელს ჯერ არაფერი უთქვამს ჩემს მომზადებაზე, კმაყოფილია თუ არა, თუმცა მე კი მთელი დატვირთვით ვვარჯიშობ. ვნახოთ, წინ კიდევაა დარჩენილი იტალიის შეკრება, სადაც უფრო მოვუმატებ. რაც შეეხება პირად ურთიერთობას, ამ მხრივ ყველაფერი მოგვარდა, ჩვეულებრივი დამოკიდებულება გვაქვს"*.

ამით ცირეკიძეს მართლაც მიეცა მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოსვლის შანსი, რომელიც 23-27 აგვისტოს პარიზში გაიმართება.

ირაკლი თავაძე

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა
მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი

წარმატებული, მაგრამ უჩემპიონო დასაწყისი

ბუქარესტში დაწყებულ ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე ახალგაზრდების მსოფლიოს ჩემპიონატში ჩვენი ნაკრების პირველი დღის გამოსვლა გულდასაწყვეტია, მაგრამ მაინც ნარმატებული. გულდასაწყვეტია იმიტომ, რომ ფინალში ორმა ქართველმა იჭიდავა, მაგრამ მაინც ოქროს გარეშე დავრჩით, თუმცა 4 კაციდან 3-მა მედალი მოიპოვა, რაც ნამდვილად არაა ურიგო შედეგი. ერთი ეგაა, იქმნება საშიშროება, რომ ახლაც ისე გამოვიდეთ, როგორც ევროპაზე - წარმატებით, მაგრამ უჩემპიონოდ. არადა, ჩვენი ნაკრების ლიდერებმა გუშინ იჭიდავეს, დღეს კი, გამორიცხული არაფერია, მაგრამ შანსები უფრო შეგვიმცირდა.

გუშინდელი დღის მონაგარი 2 ვერცხლი და 1 ბრინჯაოა. მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონები **ზურაბ დათუნაშვილი** (74) და **სანდრო დიხამინჯია** (96) გახდნენ, **ქემალ ხარაბაძე** (60) კი მესამეზე გავიდა. ვიცე-ჩემპიონთა გამოსვლამ კიდევ ერთხელ დაადასტურა ახალგაზრდულის თავკაც **ვლადიმერ ადეიშვილის** ალღო, თუმცა ამან ძველი ამბავიც გამახსენა - 1998 წელს, მსოფლიოს ჩემპიონატზე წასვლის წინ მწვრთნელი **ბადრი ხასაიას** (84) მისამართით ამბობდა, მართალია, ევროპაზე მედალი ვერ მოიპოვა (მეოთხეზე გავიდა), მაგრამ მსოფლიოზე აუცილებლად შევა სამეულშიო. ქაიროში გამართულ იმ ტურნირზე ხასაია მართლაც მესამეზე გავიდა, ადეიშვილმა კი ახლა ასეთი უტყუარი დასკვნა დათუნაშვილსა და დიხამინჯიაზე გააკეთა. მათ ევროპის წლევანდელ ახალგაზრდულ პირველობაზე ბრინჯაო მოიპოვეს, მწვრთნელი კი დათუნაშვილზე გვარწმუნებდა, ბუქარესტში უკეთესად გამოვაო. დიხამინჯიაზე არ მალავდა, რომ მისგან მეტს ელოდა და რუმინეთში მდგომარეობის გამოსწორებას იმედოვნებდა. ბრინჯაოზე უკეთესი შედეგი ფინალში გასვლა იქნებოდა და ორივემ შეასრულა დასახული ამოცანა, თუმცა საწყენია, რომ გადამწყვეტი შეხვედრები დათმეს.

ფინალის მოგების უკეთესი შანსი დათუნაშვილს ჰქონდა, რადგან დიხამინჯია მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონს, რუს **ისლამ მაგომედოვს** ხვდებოდა. ის ძლიერი მოჭიდავეცაა (მან წინა შეხვედრებში უნგრელი ევროპის ნლევანდელი ჩემპიონი **გეორგი რიზმაიერი** და თურქი პრიზიორი **მეტეჰან ბასარი** დაამარცხა), მაგრამ ჩვენებურის მდგომარეობას ისიც ამძიმებდა, რომ გუშინ რუსებისთვის ეს ოქროს მოპოვების ბოლო შანსი იყო. ფინალამდე უფრო იოლად დათუნაშვილი მივიდა, რომელმაც ოთხი შეხვედრა გამართა და ყველა ძირითად დროში მოიგო, დიხამინჯია კი სამჯერ გავიდა ხალიჩაზე და აქედან ერთი დამატებითი დრო დასჭირდა. თან დათუნაშვილის მეტოქეთა შორის რუსი და აზერბაიჯანელი ფალავნებიც იყვნენ, შესაბამისად, **მიხაილ კორნილოვი** და **ტოგრულ იუნისლი**, ამათ გარდა მასპინძელი **სორინ ალექსანდრუ იანტოცი** და ყაზახი **მახატ ბაიარისტანოვიც** გააგდო. დიხამინჯიამ ირანელი **მეჰრდად მოჰამად ბაიანდორი** დამატებითში დაჯაბნა, ჩინელ **დი ჰაოს** ერთი პერიოდი სულაც სუფთად მოუგო და დიდი ჯაფა არც გერმანელ **პეტერ ოელერთან** დადგომია. სამწუხაროდ, ჩვენებური მაგომედოვთან ორ პერიოდში დამარცხდა. პირველი 0:1 წაგო, რადგან ჩოქბჯენიდან ვერ დაატრიალა. მეორეშიც მთავარი ამბები ჩოქბჯენში მოხდა, ოღონდ ამჯერად რუსი უტევდა. დიხამინჯიამ გდება დაუბურა და იქით დაგდო მეტოქე, მაგრამ მსაჯებმა ორი ქულა მაინც რუსს მისცეს. ეს შედეგი ჩვენებმა გააპროტესტეს, თუმცა არ დაკმაყოფილეს და მაგომედოვს მესამეც დაუმატეს - 0:3 მის სასარგებლოდ. დათუნაშვილმა სომეხ **რაფიკ მანუკიანს** პირველი პერიოდი 2:0 მოუგო, მაგრამ როცა ჩემპიონობა ასე ახლოს იყო, უპირატესობა ვერ შეინარჩუნა, ჯერ მეორე სეტი წააგო - 0:3, მერე კი დამატებითიც დათმო - 2:4.

ხარაბაძე ნახევარფინალში დამარცხდა მომავალ ჩემპიონთან, უზბეკ **ბობირბეკ ზაილობიდინოვთან**. მანამ ჩვენებური უკრაინელ **დმიტრო ციმბალიუკს**, ყაზახ **იბრაგიმ მაგომედოვს**, თურქ ევროპის პრიზიორ **ემრე არსლანს** და ბრინჯაოსთვის შვედ **ნიკლას ამნემოს** ძირითად დროში გაუსწორდა.

გუშინ ქართული კვარტეტიდან უმედლოდ მხოლოდ ევროპის წლევანდელი ვიცე-ჩემპიონი **ნიკა ცეცხლაძე** (50) დარჩა, რომელიც ამჯერადაც აზერბაიჯანელ **ვილაიატ გარამანლისთან** დამარცხდა, ვისთანაც ევროპის ფინალი წააგო. გარამანლი ჩემპიონი გახდა ანუ დუბლი შეასრულ;ა. საინტერესოა, ბოლო წლებში აზერბაიჯანელები ამას მუდმივად ახერხებენ - შარშანწინ ეს **ჰასან ალიევმა** (60) გააკეთა, შარშან - **ელდანის აზიზლიმ**, რომელიც მაშინ 50-ში ჭიდაობდა, წლეულს კი 55-ში გადავიდა და ახალგაზრდებში უკვე მოიგო ევროპა და დუბლის შანსი ისევ რჩება, დიდებში კი ასევე კონტინენტის პირველობაზე მესამეზე გავიდა.

დღეს ჩემპიონატში დარჩენილი ოთხი წონითი კატეგორიის ფალავნები ჩაებმებიან. ამირან შავაძე (55) მასპინძელ **რობერტ დანიელ ანდრეცას** ხვდება. ბადის ამავე ნახევარშია ზემოხსენებული აზიზლი, თუმცა ის ჩვენებურამდე კიდევ ერთ ძლიერ ფალავანს, ირანელ მსოფლიოს პრიზიორ **სამან მორად აბდოულის** ეჭიდავება. ევროპის წლევანდელ ვიცე-ჩემპიონ **საჩინო დავითაიას** (66) პირველ მეტოქედ მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი ხორვატი **დომინიკ ეტლინგერი** ერგო. ამ წყვილში მოგებულის სავარაუდო მეტოქეთა შორის ამერიკელი მსოფლიოს პრიზიორი **ელის კოლემანიცაა**, ცოტა იქით კი - თურქი ევროპის წლევანდელი ბრინჯაოს მედალოსანი **დოგან გოქტასი**. ამდენად, ჩვენებური საკმაოდ ძნელ ჯგუფში მოხვდა. პირველ წრეში ხორვატულ-ქართული დაპირისპირებაა 84-შიც - **რევაზ ნადარეიშვილი კრასიმირ ფრანიჩს** ხვდება. არც შოთა გოგისვანიძეს (120) გაუმართლა - შეჯიბრებას უკრაინელ მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონსა და ნლევანდელი ევროპირველობის მესამე პრიზიორ **იგორ დიდუკთან** შეხვედრით იწყებს, წარმატების შემთხვევაში კი, შესაძლოა, გერმანელ მსოფლიოს მედალოსან **გეორგ პოპთან** მოუწიოს ჭიდაობამ.

ქვარცხლბეკი. ბიჭები

50 კგ. 1. ვილაიატ გარამანლი (აზერბაიჯანი; 2. ზანსერიკ სარსენბიევი (ყაზახეთი); 3. ტოლგაჰან კარატასი (თურქეთი), რუდიკ მკრტიჩიანი (სომხეთი), **8. ნიკა ცეცხლაძე (საქართველო).**

60 კგ. 1. ბობირბეკ ზაილობიდინოვი (უზბეკეთი); 2. დავიდ კარეცინსკი (პოლონეთი); **3. ქემალ ხარაბაძე (საქართველო),** ნასერ მოჰამად ნოურბაკში (ირანი).

74 კგ. 1. რაფიკ მანუკიანი (სომხეთი); **2. ზურაბ დათუნაშვილი (საქართველო);** 3. მიხაილ კორნილოვი (რუსეთი), მარცინ არკადიუზც კულინიცზი (პოლონეთი).

96 კგ. 1. ისლამ მაგომედოვი (რუსეთი); **2. სანდრო დიხამინჯია (საქართველო);** 3. დი ჰაოო (ჩინეთი), მეტეჰან ბასარი (თურქეთი).

ირაკლი თავაძე

სანდრო დიხამინჯია (მარცხნივ)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბათუმი. ბაზაც ვნახეთ, ბაზიერნიც...

მოჭიდავეთა სამჭედლო

თამამად შეიძლება ითქვას, ბათუმში, ფიროსმანის ქუჩაზე მდებარე საჭიდაო დარბაზი ქართული ჭიდაობის ერთ-ერთი მთავარი ცენტრია. ალბათ, ჭიდაობის ნებისმიერი ქომაგი დამეთანხმება, რომ ბოლო წლებში აჭარის წარმომადგენელთა წვლილი სამივე ასაკის ნაკრებში განუზომლად გაიზარდა, განსაკუთრებით - ბერძნულ-რომაულში, რაც ამ ბაზის დამსახურებაა. აქ ორი დარბაზია. უფრო მოზრდილში ბერძენ-რომაელები ვარჯიშობენ, რადგან მათთან კონტინგენტიც მეტია - 200-მდე ბავშვი ვარჯიშობს და სამი ლეიბი ეტევა, „თავისუფლებთან" კი ორი ლეიბი იშლება და იქ დაახლოებით 100-120 მოზარდი ეუფლება ჭიდაობას. იმის მიუხედავად, რომ ფართი არც ისე დიდია, აქ სპორტის სხვა სახეობების სექციებიც მუშაობს.

რეალობა და მიუჯდომელი ფუფუნება

ზემოხსენებული დარბაზის მნიშვნელობა არა მხოლოდ იქ აღზრდილთა სიმრავლით განისაზღვრება, არამედ იმითაც, რომ ხშირად უმასპინძლია საქართველოს ჩემპიონატებისთვის - უფროსებშიც და უმცროს ასაკობრივ ჯგუფებშიც, თუმცა, სამწუხაროდ, საერთაშორისო რანგის პირველხარისხოვანი ტურნირებისთვის მზად არაა. ჩვენი საზომებით, ის საკმაოდ კეთილმოწყობილია, ოღონდ საერთაშორისო სტანდარტებს კვლავაც მნიშვნელოვნად ჩამორჩება. საბედნიეროდ, მოჭიდავეებს ცხელი შხაპი აღარ ენატრებათ, არც გასახდელში შესვლა დაგეზარება კაცს - იქაურობა საკმაოდ მოწესრიგებულია, დარბაზი ზამთარში თბება, ტრენაჟორებიც არის, მაგრამ თანამედროვე ბაზისთვის ისეთი აუცილებელი ატრიბუტი, როგორიცაა გამაჯანსაღებელი ცენტრი, აუზი, სამედიცინო და დოპინგის ოთახები თუ სხვა, ჯერაც წარმოუდგენელი ფუფუნებაა. თუმცა ეს არა მხოლოდ აქაურობის, ზოგადად ქართული სპორტის პრობლემაა - სამწუხაროდ, ჩვენთან სპორტული ბაზა გადახურულ შენობასთან ასოცირდება, ვინძლო სპორტსმენს თავზე არ აწვიმდეს და დანარჩენზე არ ფიქრობენ. ცხადია, ასეთი მიდგომა საბოლოო ჯამში ვალის მოხდას ემსგავსება, თუმცა მოცემულ პირობებში ესეც დიდი მიღწევაა და იქაური მწვრთნელები - **გელა ჯანელიძე, ლევან შავაძე, ჯემალ კილაძე** თუ სხვები ყველაფერს აკეთებენ წარმატების მისაღწევად და მშვენივრად გამოსდით კიდეც. დარბაზს დიდი შეჯიბრებების სამასპინძლოდ არც ტრიბუნები უწყობს ხელს და არენაზე არც პრესლოჟისა და პრესცენტრის ადგილებია გათვალისწინებული.

იმეცადინე უფასოდ...

ეს საჭიდაო დარბაზი სასპორტო სკოლის კუთვნილებაა ანუ ბათუმის ადგილობრივ თვითმმართველობის ბალანსზეა. ჯგუფებში მეცადინეობა დღემდე უფასოა - ფასიან მომსახურებაზე გადასვლა არც მწვრთნელებს სურთ და არც სპორტსკოლის დირექტორს - მსოფლიოს ჩემპიონსა და ოლიმპიურ პრიზიორ **მუხრან ვახტანგაძეს**. ვინ-ვინ და ვახტანგაძემ ძალიან კარგად იცის დამწყები მოჭიდავის პრობლემები და ისიც, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ამ დროს გაწვდილი დახმარების ხელი. ამიტომ ცდილობს, გამოძებნოს გზები უფასო ჯგუფების შესანარჩუნებლად, რასაც ბათუმის მერიის დახმარებით ახერხებს - ისინი იხდიან კომუნალურ თუ სხვა ხარჯებს, რაც საჭიროა დარბაზის შენახვისთვის. თუმცა შეგირდებისთვის ფულის გადახდის იდეა არც მწვრთნელებს ხიბლავთ. ბავშვების დიდი ნაწილი ისედაც სოფლებიდან დადის, ძლივს ახერხებენ დარბაზში მოსვლას და ფული როგორ გადავახდევინოთო, მითხრეს მწვრთნელებმა. თან დასძინეს, ჭიდაობაზე ისედაც ხელმოკლე ოჯახების შვილები დადიან, თორემ შეძლებულ ხალხს ჩოგბურთზე დაჰყავთ ბავშვებიო. ხშირად ისეც ხდება, რომ ფინანსურად მწვრთნელები იქით ეხმარებიან შეგირდებს.

გავიხსენოთ ცენტრის სიკეთე

ბათუმის საჭიდაო დარბაზი ერთგვარი შემკრები ცენტრია მთელი ავტონომიური რესპუბლიკისთვის - ბათუმის გარდა, ჭიდაობის დარბაზები რაიონულ ცენტრებშიც მოქმედებს (მათ შორის - მაღალმთიან ზონაშიც), რამდენიმე სოფელშიცაა, თუმცა ვინც კი ნიჭიერი გამოჩნდება, აქ გადმოჰყავთ, რადგან განვითარების უკეთესი პირობებია. თუმცა ეს უფრო სპარინგპარტნიორებს ეხება, თორემ ფინანსურად ოჯახებს მოშორებულ მოზარდებს ნამდვილად არ ულხინთ. ერთადერთი სანუხარ-სათხოვარი, რაც ჩემთან საუბარში იქაურებმა აღნიშნეს იქნებ ბათუმშიც გაიხსნას რაღაც ცენტრი (თანამედროვე ტერმინოლოგიით, ოლიმპიური მზადების ცენტრის ანალოგი), სადაც შესაძლებელი იქნება ამ ბავშვების განთავსება, კვება და ცხოვრება, რაც უფრო მეტად შეუწყობს ხელს მათ დაოსტატებას. ადრე ასეთი ტიპის სპორტსკოლა არა მხოლოდ ბათუმში, ხულოშიც არსებობდა, დღეს კი, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ავტონომიის ტერიტორიაზე ის არსადაა. იქნებ ვინმემ თქვას, ეს ადგილობრივი ხელისუფლების გასაკეთებელიაო, მაგრამ, როცა რეგიონი მსგავს მასშტაბურ საქმეს ვერ ერევა, ცენტრიც თუ დაეხმარება, არაფერი დაშავდება. პირიქით - ამით საერთო საქმეს ძალიან დიდი ბიძგი მიეცემა და ბევრადაც წასწევენ წინ. არადა, მსგავსი ცენტრის არსებობის საჭიროება ნამდვილად არის. როგორც გითხარით, ჭიდაობაში საკმაოდ ბევრი მოზარდია ჩაბმული, მათი დიდი ნაწილი კი ხულოს, შუახევის, ქედისა თუ ზღვისპირეთის სოფლებიდანაა. თან შედეგებიც რომ არ ჰქონდეთ, კიდევ არ გავამახვილებდით ყურადღებას. შიდა ტურნირებში, განსაკუთრებით - ასაკობრივ ნაკრებებში მედლების უმეტესობა მათზე მოდის და გუნდურ პირველობასაც ხშირად იგებენ. ევროპა-მსოფლიოზე მიდგება საქმე და იქაც მედლების დიდი წილი მათზე მოდის. ერთხელ, ჭაბუკთა ევროპის პირველობაზე მხოლოდ იქაურებმა მოიპოვეს ჯილდოები და, რაც ყველაზე საინტერესოა, ოთხივე მედალოსანი ხულოს რაიონის ერთი სოფლიდან იყო - დიდაჭრიდან! ასეთი წარმატებით იშვიათად დაიკვეხნის რომელიმე სოფელი, იქ კი იმდენად მომცრო დარბაზია, ორი ლეიბიც ვერ ეტევა. იმ დარბაზის პრობლემაც გასათვალისწინებელია - ალბათ, იქაური მოზარდები უფრო უკეთეს პირობებს იმსახურებენ, მაგრამ ამ ფაქტის მიღმა სხვა მნიშვნელოვანი პრობლემაც იმალება - ასეთი დარბაზი ყველგან რომ იყოს, სავსებით შესაძლებელია ყველამ მოგვცეს მედალოსანი, რაც ჭიდაობისთვის დიდი სამსახური იქნება. ამას მწვრთნელებიც საშურად მიიჩნევენ, რადგან სოფლის პირობებში აღზრდილი, თავიდანვე მძიმე შრომას შეჩვეული, მაგრამ სუფთა ჰაერითა და საკვებით ნასაზრდოები ბავშვი აღნაგობით, სხეულის კონფიგურაციით განსხვავდება ქალაქელი თანატოლისგან. აქაც ბევრი შემთხვევა გაიხსენეს, როცა სოფლიდან ჩამოყვანილმა დაკუნთულმა ბიჭებმა რამდენიმე თვეში ჩამოართვეს ლიდერობა წლობით ნამზადებ ფალავნებს.

ბოიბგეგ? ბიიდ ფულადი ჯილდოც...

საბედნიეროდ, ჭიდაობისადმი ინტერესი აჭარაში კვლავაც დიდია, შედეგად კი დარბაზი დილიდან საღამომდე დატვირთულია. გელა ჯანელიძემ ამ ინტერესის მიზეზად ფინანსური მოტივი დაასახელა - აჭარის ხელისუფლება პრემიებით აჯილდოებს უკლებლივ ყველა მედალოსანს, ვინც კი თავს გამოიჩენს შინ თუ გარეთ. ამასთან, ნაკრებში წარმატებული მოჭიდავეები ცენტრალური ბიუჯეტიდანაც იღებენ ანაზღაურებას, რაც ბავშვებს სტიმულს აძლევს. ადგილობრივ ხელისუფლებას ანაზღაურების სისტემის მოწესრიგებისთვის თვითონ მწვრთნელებიც ემადლიერებიან.

ირაკლი თავაძე



ქადრაკი

გურამიშვილს ორი კონკურენტი ჰყავს

პალეოხორას (საბერძნეთი) მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირის მე-7 ტურში **სოფიკო გურამიშვილს** ძლიერი მეტოქე ჰყავდა - **ალექსანდრ ხარიტონოვი** (2539), რომელიც რეიტინგში ჩვენებურზე 210 პუნქტით მაღლა დგას. ამის მიუხედავად, სოფიკომ შავი ფიგურებით ყაიმს მიაღწია და 5 ქულა მოაგროვა. იგი ქალთა შორის პირველი ადგილის ერთ-ერთი კანდიდატია. მას კონკურენციას უწევენ ბულგარელები - ელიზა რაევა და ივა ვიდენოვა, რომლებმაც 7 ტურის შემდეგ ასევე 5-5 ქულას მოუყარეს თავი.

წარმატებას მიაღწია **ბესარიონ ხეცურიანმა.** ქართველმა საერთაშორისო ოსტატმა ბერძენ დიდოსტატ **სპირიდონ სკემბრისს** მოუგო. რაც შეეხებათ ლიდერებს, დაზავდნენ ხრისტოს ბანიკასი (საბერძნეთი) და იური კრივორუჩკო (უკრაინა), მუსტაფა ილმაზი (თურქეთი)-დმიტრი სვეტუშკინი (მოლდოვა), ჯაიარამ აშვინი (ინდოეთი)-ანდრეი რიჩაგოვი (რუსეთი), პეტერ პროჰაზკა (უნგრეთი)-ტიგრან სიმონიანი (სომხეთი). იყოჩაღეს ალბერტო დავიდმა (ლუქსემბური), ნიკიტა მაიოროვმა (ბელარუსი) და ალექსანდრ იპატოვმა (ესპანეთი), რომლებმაც იაროსლავ ზინჩენკოს (უკრაინა), ალექსანდრ ზუბარევისა (უკრაინა) და მისა პაპის (სერბეთი) ძლევით მონაგარს თითო ქულა შესძინეს. 7 ტურის შემდეგ 5-მა დიდოსტატმა (კრივორუჩკო, მაიოროვი, იპატოვი, დავიდი და ბანიკასი) 6-6 ქულა მოაგროვა. 12 მონაწილეს, მათ შორის - ხეცურიანს, 5,5-5,5 ქულა აქვს.

ვაჟა დანელია

ჯობავამ პირველი მოგება ჩაინერა

სომხეთში მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირზე („სევანის ტბა-2011") სამი ყაიმისა და ერთი წაგების შემდეგ პირველი გამარჯვება იზეიმა ასპარეზობის რეიტინგფავორიტმა **ბაადურ ჯობავამ.** გუშინ მან შავი ფიგურებით 82-ე სვლაზე **სამველ ტერ-სააკიანი** (სომხეთი) დაამარცხა. ჩინელმა **ჩჟოუ ძიანჩაომ** ასევე მასპინძელ **ავეტიკ გრიგორიანს** აჯობა. **ილდარ ხაირულინი** (რუსეთი) გუშინაც არ გამოცხადებულა ტურნირზე, ამჯერად **ზავენ ანდრიასიანთან** (სომხეთი) სათამაშოდ. დანარჩენი ორი პარტია - **არმან პაშიკიანი** (სომხეთი)-**სერგეი ჟიგალკო** (ბელარუსი), **ტიგრან პეტროსიანი-ჰრანტ მელქუმიანი** (ორივე-სომხეთი) - ყაიმით დამთავრდა.

ხუთი ტურის შემდეგ: ძიანჩაო, პეტროსიანი, მელქუმიანი-3-3, გრიგორიანი, ჯობავა-2,5-2,5, ჟიგალკო, ანდრიასიანი (ორივეს-4-4 შეხვედრიდან), პაშიკიანი-2-2, ხაირულინი (3-დან), ტერ-სააკიანი-1,5-1,5 ქულა.

დღეს მე-6 ტურში ითამაშებენ: ანდრიასიანი-მელქუმიანი, ჯობავა-პეტროსიანი, გრიგორიანი-ტერ-სააკიანი, ჟიგალკო-ძიანჩაო, ხაირულინი-პაშიკიანი.

ვაჟა დანელია

ჩოგბურთი

შაფათავა ასტანაში დამარცხდა

ბაქოური წარუმატებლობის შემდეგ 22 წლის **სოფიო შაფათავა** (243), რომელიც თითქმის გაუტოლდა თავის საუკეთესო მაჩვენებელს რეიტინგში (2009 წლის დასაწყისში 238-ე იყო), ყაზახეთში გადაბარგდა, სადაც ასტანის საერთაშორისო ტურნირში (100 ათასი დოლარი) ითამაშა. ჩვენებურის მეტოქე საკვალიფიკაციო ბადის გამარჯვებული, ბელარუსი **პოლინა პეხოვა** (475) იყო, მაგრამ ფავორიტმა მატჩი იოლად დათმო - 1:6, 2:6. ჩვენი თანამემულე ასტანაში, წყვილთა ბადეში აგრძელებს ბრძოლას, სადაც ბელარუს **სვიატლანა პირაჟენკასთან** ერთად გამოდის. მათ მასპინძელთა დუეტი (**არგინბაევა, საგიტოვა**) დაამარცხეს - 7:5, 6:0. შაფათავა ამ კვირაში ერთადერთი აქტიური ქართველი ჩოგბურთელია, სხვები ისვენებენ.



სოფიო შაფათავა

ნიკოლოზ ნეფარიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ 16-ᲬᲚᲐᲛᲓᲔᲚᲗᲐ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ

ᲛᲐᲙᲔᲓᲝᲜᲘᲘᲡᲙᲔᲜ



ᲓᲦᲔᲡ საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრები მაკედონიაში გაემგზავრება, სადაც ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში იასპარეზებს. პირველ ჯგუფურ ეტაპზე ჩვენი კადეტების მეტოქეები არიან ინგლისი, მაკედონია, რუმინეთი და ლუქსემბურგი. მომდევნო წრეში საუკეთესო ორი გუნდი გავა. წინასწარ შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს კადეტთა ნაკრების მთავარი კონკურენტები ინგლისელები და მასპინძელი მაკედონელები არიან, თუმცა მწვრთნელის, **გია კაზანჯიანის** თქმით, რუმინელებსაც კარგი გუნდი ჰყავთ და არც ლუქსემბურგის წინააღმდეგ შეიძლება მოდუნება.

B დივიზიონში მთლიანობაში 22 გუნდი მონაწილეობს. მათგან ელიტარული, A დივიზიონის საგზურს 2 საუკეთესო, ანუ ფინალში გასული გუნდები მიიღებენ.

■ ■ ■

გუშინ "დინამოს" დიღმის საწვრთნელ ბაზაზე ვარჯიშის შემდეგ გავესაუბრეთ მთავარ მწვრთნელ გია კაზანჯიანს.

- გუნდი რამდენად კარგად მომზადებული მიემგზავრება მაკედონიაში?

- 16-წლამდელთა ნაკრები საქართველოს ჭაბუკთა ჩემპიონატში ასპარეზობდა, რაც გუნდის შეთამაშებისთვის მეტად სასარგებლო იყო. B დივიზიონისთვის დასკვნითი შეკრება ივლისის დასაწყისში დავიწყეთ. გვსურდა უფრო ადრე შევკრებილიყავით, მაგრამ 16-წლამდელთა საქართველოს ჩემპიონატი გვიან დასრულდა. საერთო ჯამში გუნდის მომზადებით კმაყოფილი ვარ.

- ესტონეთსა და ფინეთში ოთხი საკონტროლო მატჩი ჩაატარეთ.

- 5 დღეში ოთხჯერ ვითამაშეთ. ფინეთთან ორჯერვე დავმარცხდით, ესტონეთს ერთი მოვუგეთ. ფინელებს ტანმაღალი და ძლიერი გუნდი ჰყავთ, ევროპის ჩემპიონატის საგზურისთვის ბრძოლაში ისინი დივიზიონის ერთ-ერთი ფავორიტები იქნებიან.

- ფიზმომზადებით რამდენად კმაყოფილი ბრძანდებით?

- ვთვლი, რომ გუნდი ფიზიკურადაც სათანადო კონდიციებშია. როგორც აღვნიშნე, კადეტთა ნაკრები 18-წლამდელთა ჩემპიონატში ასპარეზობდნენ და უფროსებს ტოლს არ უდებდნენ - ნახევარფინალში ვითამაშეთ.

- გუნდი რამდენად თანაბრადაა დაბალანსებული?

- სხვა თაობებთან შედარებით, 16-წლამდელთა ნაკრებში შეკრებილი თაობა სიმაღლით არ გამოირჩევა. მეტოქეებს 210 სმ სიმაღლის კალათბურთელები ეყოლებათ, ჩვენ ასეთი ფუფუნება არ გვაქვს. სიმაღლეში ჩამოვრჩებით ჩვენი ჯგუფის ფავორიტებს - მაკედონიასა და ინგლისს.

- რუსული კრასნოდარიდან დაიმატეთ უჩა გამრეკლიძე, რომელიც ესტონეთ-ფინეთშიც გამოსცადეთ. საინტერესოა თქვენი მოსაზრება მის შესახებ.

- უჩა ქუთაისელი ბიჭია, 2-3 წელია კრასნოდარში ცხოვრობს და იქაურ გუნდში თამაშობს. იგი წინა ხაზში ჩვენი გუნდის შეტევით პოტენციალს გააძლიერებს.

- თქვენი აზრით, რის ხარჯზე შეიძლება მიაღწიოს წარმატებას საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრებმა?

- რადგანაც დაბალი გუნდი გვყავს, ჩვენი კოზირი სისწრაფეა. ასევე ბევრს ვმუშაობთ დაცვაზე, შესაძლოა, მოხსნებში ვინმემ გვაჯობოს, მაგრამ მწყობრი დაცვის ხარჯზე გამარჯვება არ უნდა დავანებოთ.

- მეტოქეთა შესახებ რა ინფორმაციას ფლობთ?

- ზამთარში, თურქეთის საერთაშორისო ტურნირზე რუმინეთის ნაკრების თამაში ვნახეთ. კარგი გუნდია. შარშანდელი სეზონის შემდეგ 4-4 კალათბურთელი იგივე ჰყავთ ინგლისსა და ლუქსემბურგს. მაკედონიის ნაკრებზეც გვაქვს ინფორმაცია, თუმცა ყველაზე რთული სწორედ ამ გუნდთან თამაში იქნება, რადგან მაკედონელები მასპინძლები არიან.

- კარგია, რომ პირველი მატჩი ლუქსემბურგთან გაქვთ.

- საწყის შეხვედრას სატურნირო თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ექნება. ვერ ვიტყვი, რომ ლუქსემბურგი ხელწამოსაკრავი გუნდია, თუმცა აუცილებელია შეჯიბრების გამარჯვებით დაწყება.

29 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ	
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ-ᲚᲣᲥᲡᲔᲛᲑᲣᲠᲒᲘ	16:30
30 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ	
ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ-ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ	16:00
31 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ	
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ-ᲛᲐᲙᲔᲓᲝᲜᲘᲐ	21:00
1 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ	
ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘ-ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ	21:00

უკანახაზელები: ზეზვა ლილუაშვილი (აკადემია), გიორგი დვალი (რუსთავი), ნუგზარ აბულაძე (ზაზა), თორნიკე ქიტოშვილი (რუსთავი).

ფორვარდები: საბა ჯაყელი (აკადემია), ნიკა ამირხანაშვილი (აკადემია), კახაბერ ტომარაძე (ჰიუნდაი), ალექსანდრე ბოლქვაძე (ჰიუნდაი), ნიკოლოზ ცქიტიშვილი (აკადემია), ბექა დარახველიძე (აკადემია),

ცენტრები: არჩილ პულუზაშვილი (ზაზა), უჩა გამრეკლიძე (კრასნოდარი)

● U18

IX-XVIII

საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები დღეს B დივიზიონის მეორე ჯგუფურ ეტაპზე ითამაშებს. თუმცა, საწყისი სამიდან ორი მატჩის წაგების გამო ჩვენი ჭაბუკები ევროპის ჩემპიონატის საგზურს ვეღარ შეეჭიდებიან.

საქართველო IX-XVIII ადგილებისთვის იბრძოლებს, სადაც მისი მეტოქეები ბელგიის, ინგლისის, პორტუგალიისა და ლუქსემბურგის ნაკრებები იქნებიან. რადგან ლუქსემბურგი ჩვენს ჯგუფში იყო, ამ გუნდთან მოგება საქართველოს მეორე ჯგუფურ ეტაპზეც გადაჰყვა.

გთავაზობთ მომავალი მატჩების განრიგსა და წინასწარ სატურნირო მდგომარეობას.

27 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ	
20:15	ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ-ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ
28 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ	
20:15	�პᲝᲠᲢᲣᲒᲐᲚᲘᲐ-ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ
29. ᲘᲕᲚᲘᲡᲘ	
20:15	ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ-ᲑᲔᲚᲒᲘᲐ

ᲒᲣᲜᲓᲘ	Თ	Მ	Წ	ᲡᲮ	Ქ
1. ᲑᲔᲚᲒᲘᲐ	2	2	0	127/113	4
2. ᲞᲝᲠᲢᲣᲒᲐᲚᲘᲐ	2	1	1	131/125	3
3. ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ	1	1	0	105/98	2
4. ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ	2	0	2	122/142	2
5. ᲚᲣᲥᲡᲔᲛᲑᲣᲠᲒᲘ	1	0	1	98/105	1

● U20

ᲗᲐᲡᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘᲐ

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები სამშობლოში დაბრუნდა. თბილისის აეროპორტში ქართველ კალათბურთელთა გამოჩენას აპლოდისმენტები მოჰყვა, რაც ლოგიკურიც იყო - გუნდმა B დივიზიონში წარმატებით იასპარეზა და ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის საგზური მოიპოვა. ...და რაც მთავარია, ქართველი 20-წლამდელები თბილისში საპატიო თასითა და ოქროს მედლებით დაბრუნდნენ.

გუნდს არ ჩამოჰყოლიან მთავარი მწვრთნელი **დავით უსტიაშვილი** და ტურნირის საუკეთესო კალათბურთელი **თორნიკე შენგელია**. ისინი ბოსნიიდან პირდაპირ ავსტრიაში გადაფრინდნენ და ეროვნულ ნაკრებს შეუერთდნენ.

მკითხველს შევახსენებთ, რომ B დივიზიონის ჩემპიონისთვის განკუთვნილი თასი ქართველებმა ერთხელ უკვე ჩამოიტანეს - 2006 წელს **ვიქტორ სანიკიძის** კაპიტნობით 20-წლამდელებმა დივიზიონიც მოიგეს და ევროპის ჩემპიონატის საგზურიც მოიპოვეს.

● ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲢᲝᲥᲔ

ᲡᲚᲝᲕᲔᲜᲘᲐᲨᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲐᲐ: ᲜᲐᲮᲑᲐᲠᲘ OUT, ᲚᲝᲠᲑᲔᲙᲘ IN

ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრების მეტოქეს სლოვენიას მნიშვნელოვანი ფიგურა დააკლდა - **ბოსტიან ნახბარი**. ეს კალათბურთელი NBA-შიც თამაშობდა და ევროპის დონეზე გამორჩეული ფორვარდიცაა, თუმცა საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენას ლიტვაში ვერ შეძლებს, რადგან კოჭი აქვს ნატკენი და სექტემბრამდე მის მოშუშებას ვერ მოასწრებს.

- სლოვენიელ ქომაგს ბოდიშს მოვუხდი, ევროპის ჩემპიონატზე ვერ ვითამაშებ. ექიმებმა კოჭი გამოიკვლიეს და გადაწყვიტეს, რომ ოპერაციას თავიდან ვერ ავიცილებ, - განაცხადა ნახბარმა, რომელიც „გოლდენ სტეიტში" **ნიკა ცქიტიშვილის** თანაგუნდელი იყო.

ერთი ვარსკვლავის წასვლას მეორის მისვლა დაემთხვა - „ბარსელონას" თავდამსხმელმა **ერაზემ ლორბეკმა** სლოვენიის ნაკრებში თამაში გადაწყვიტა. მან თავდაპირველად უარით გაისტუმრა ნაკრების ხელმძღვანელები, თუმცა ბოლო მომენტში გადაიფიქრა და გუნდს შეუერთდა. ერაზემი ევროპის 2009 წლის ჩემპიონატზე მსუყე მონაგარით გამოირჩა - საშუალოდ 16.4 ქულასა და 7.4 მოხსნას აგროვებდა.

ᲒᲘᲠᲓᲘ ᲛᲝᲐᲛᲖᲐᲓᲐ
ᲕᲐᲟᲐ ᲡᲘᲛᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ

ეროვნული ბიბლიოთეკა

● მსოფლიოს თასი

რუსები ოლიმპიურ ჩემპიონებს ებრძვიან

ახალ ზელანდიაში გასამართ მსოფლიოს თასზე ოცი ქვეყნის ნაკრებს შორის ერთი დებიუტანტია. რუსეთის ეროვნულმა ნაკრებმა მსოფლიო რაგბის უდიდეს ფორუმში თამაშის უფლება პირველად მოიპოვა.

ჩვენი ჩრდილოელი მეზობლები ორ კვირაზე მეტია ქვეყნის სამხრეთში, სოჭში ემზადებიან და როგორც ყველა გუნდი, ისინიც ფიზიკური კონდიციების ამაღლებაზე ზრუნავენ. რუსთა მთავარმა მწვრთნელმა **ნიკოლაი ნერუშმა** საწვრთნელ შეკრებაზე 34 მორაგბე იახლა. გუნდში არ არიან ინგლისურ კლუბებში გადაბარგებული **ანდრეი ოსტრიკოვი** და **ვალერი არტემევი,** რომლებიც ნაკრებს მოგვიანებით შეუერთდებიან.

ნერუშმა იმ სამი ქართველიდან, რომლებმაც მსოფლიოს თასის შესარჩევში ითამაშეს რუსეთის ნაკრებში, სოჭში მხოლოდ **ვალერი ცნობილაძე** გამოიძახა, თუმცა ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ მას ახალ ზელანდიაში გამგზავრება გარანტირებული აქვს.

ახლახან რუსეთის ნაკრების ბანაკს სოჭში რუსეთის მოჭიდავეთა ეროვნული ნაკრების წევრები, ოლიმპიური ჩემპიონი **ხაჯიმურატ გაცალოვი,** მსოფლიოს ჩემპიონი **დენის ცარგუში** და ნაკრების მწვრთნელი, ოლიმპიური ჩემპიონი **ხაჯიმურატ მაგომედოვი** ეწვივნენ. მოჭიდავეებმა მორაგბეებთან ერთად ივარჯიშეს.

აგვისტოს დასაწყისში რუსეთის ნაკრები სავარჯიშოდ ბრიტანეთში გაემგზავრება. სადაც იქაურ კლუბებთან რამდენიმე საწვრთნელ მატჩს გამართავს. 12 აგვისტოს „დათვები“ „ნორსჰემთონს“ დაუპირისპირდებიან, ერთი კვირის მერე „ნიუპორტს“ ეთამაშებიან. 26 აგვისტოს კი მეტოქე „გლოსტერი“ იქნება.

რუსეთის ნაკრები

შერკინება: ვალერი ცნობილაძე, ალექსანდრ ხროკინი, არტიომ ფატახოვი, ალექსეი ტრავკინი, ანდრეი ტემნოვი, ეგენი პრონენკო, ივან პრიშეპენკო, სერგეი პოპოვი, ალექსეი პანასენკო, ვლადისლავ კორშუნოვი, ვიქტორ გრესევი, ვიაჩესლავ გრაჩოვი, ანდრეი გარბუზოვი, ალექსანდრ ვოიტოვი, ვლადიმირ ბოტვინნიკოვი.

უკანა ხაზი: დენის ანტონოვი, მიხაილ ბაბაევი, ვლადმირ ბოლტენკოვი, ანდრეი ბიკანოვი, ალექსეი ვოლკოვი, იგორ გალინოვსკი, იგორ კლუჩნიკოვი, ვლადიმირ კონდრაშოვი, ანდრეი კუზინი, კირილ კუშნარიოვი, იური კუშნარიოვი, ალექსეი მაკოვეცკი, ევგენი მატვეევი, ნიკიტა მედკოვი, კონსტანტინ რაჩკოვი, მიხაილ სიდოროვი, ალექსანდრ შაკიროვი, რუშან იაგუდინი.

ჯეკ ვაითი ისევ დე ფილიერსს ლანძღავს

სამხრეთ აფრიკის ყოფილი მთავარი მწვრთნელი **ჯეკ ვაითი**, რომელმაც 2007 წელს „ბოკეს“ მსოფლიოს თასი მოაგებინა, დიდი ხანია განგაშის ზარს სცემს. ჯერ კიდევ შარშან, როცა აბსოლუტურად ყველაფრის მომგებმა სამხრეთაფრიკელთა ეროვნულმა გუნდმა, სამი ერის გათამაშებაში სრულიად უსახურად იასპარეზა, ვაითი „ბოკეს“ მთავარი მწვრთნელის პიტერ დე ფილიერსის სასწრაფოდ გადაყენებას ითხოვდა.

არადა, ვაითმა დააგვიანა. დე ფილიერსის თანამდებობიდან მოხსნის საკითხი გაცილებით ადრე, ჯერ კიდევ გაზაფხულზე დადგა, როცა მის თანაშემწესთან კონფლიქტი რადიკალურად გამწვავდა. საქმეში სამხრეთ აფრიკის ნაკრების წამყვანი მოთამაშეებიც ჩაერთნენ. ბოროტი ენები იმასაც კი ამბობდნენ, რომ ეროვნულ გუნდს მწვრთნელი კი არა, კაპიტანი **ჯონ სმიტი** და ვიცე-კაპიტანი **ვიქტორ მეტფილდი** მართავენო, რაც რეალობისგან შორს ნამდვილად არ უნდა იყოს.

ერთი სიტყვით, მაშინ მოთამაშეებმა უკან დაიხიეს, მწვრთნელს და ფედერაციის ხელმძღვანელებს დაუთმეს და თქვეს, ჰა ბურთი და მოედანიო. დე ფილიერსმა თანამდებობა კი შეინარჩუნა, მაგრამ სამხრეთ აფრიკამ ეროვნული ნაკრები დაკარგა.

უკვე ვთქვით, რომ ჯეკ ვაითის განრისხება შარშან დაგვიანებული იყო, რადგან დე ფილიერსისთვის კარტ ბლანში ჰქონდათ მიცემული და ამ გადაწყვეტილებამ რომ არ გაამართლა, დიდი ხანია ყველასთვის ნათელია.

ამიტომ ვაითი ისევ აყვირდა. რა ქნას, მისი ნაშენებ-ნაწვალები თვალსა და ხელსა შუა ინგრევა, გული უკვდება და შველა უნდა.

„წარმოუდგენელია, რომ სამხრეთ აფრიკის ნაკრებმა ავსტრალიელთაგან ხუთი ლელო მიიღო. ეს იმ გუნდისგან, რომელმაც ერთი კვირით ადრე თავის ისტორიაში ყველაზე ცუდი მატჩი გამართა და სამოას ნაკრებთან სამარცხვინოდ წააგო. არადა, ამ ფაქტის გამოყენება საჩვენოდ ძალიან კარგად შეიძლებოდა.

მოდი ვიყოთ გულახდილი, ავსტრალიის ნაკრები ჩვენთან თამაშის წინ უდიდესი წნეხის ქვეშ იმყოფებოდა. სამოას ნაკრებთან მარცხის შემდეგ „ბოკესთან“ წაგება მათ საბოლოოდ დაასამარებდა და სამსოფლიოთასო ამბიციები საპნის ბუშტივით გაქრებოდა. ჩვენ კი ამ თამაშის წინ არანაირი ფსიქოლოგიური ტვირთი არ გვაწუხებდა. დე ფილიერსს ისეთი შემადგენლობა უნდა შეერჩია, რომელიც „ვოლაბებს“ ცუდ დღეში ჩააგდებდა.

ახლა კი რა გამოვიდა. ავსტრალიასთან წავაგეთ, მერე ახალ ზელანდიასთანაც გარანტიას გაძლევთ, რომ წავაგებთ და შეიძლება ისე მოხდეს, ოთხი თამაშიდან ვერც ერთი მოვიგოთ და სამი ერის გათამაშება ბოლო ადგილზე დავამთავროთ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ახალ ზელანდიაში მსოფლიოს თასის გათამაშებაში ემოციურად დათრგუნულ, განადგურებულ გუნდს გავაგზავნით, რომელიც წარუმატებლობისთვის იქნება განწირული.

2007 წლის მსოფლიოს თასის წინ ყველაფერი გავაკეთე, რათა ჩვენი ნაკრები საფრანგეთში ფსიქოლოგიურად გამარჯვებულის განწყობით გამგზავრებულიყო. ყველაფერი ვიღონე სამი ერის მოსაგებად. ამჟამად გული ძალიან ცუდს მიგრძნობს. არადა, ყოველივე ამის გამოსწორება თავის დროზე რეალურად შეიძლებოდა“ - თქვა ჯეკ ვაითმა.

პიტერ დე ფილიერსი და ჯეკ ვაითი

● ისტორია

დევიდ კირკი

მსოფლიოს თასი-1987 წელი

ახალ ზელანდიაში გასამართი მსოფლიოს თასის გათამაშება რიგით მეშვიდეა. ვფიქრობთ, საინტერესო იქნება თვალი გადავავლოთ მსოფლიო რაგბის განვლილ უდიდეს ფორუმებს და მათი გმირები (ანტიგმირებიც) გავიხსენოთ.

პირველი მსოფლიოს თასის გათამაშება 1987 წელს ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში გაიმართა, რომელიც სრულიად ლოგიკურად, პლანეტის საუკეთესო გუნდის, „ოლ ბლექსის“ გამარჯვებით დასრულდა. შეგახსენებთ, რომ მაშინ შეჯიბრებაში 16 ქვეყნის ნაკრები ასპარეზობდა.

ტურნირის აღმოჩენა: ფიჯის ნაკრები

ფიჯის ნაკრებმა ახალი ზელანდიის ეროვნული გუნდის შემდეგ ტურნირზე ყველაზე მეტი ქულა დააგროვა. ფიჯელებმა C ჯგუფში, სადაც ახალი ზელანდიის ნაკრებმა პირველობა არავის დაუთმო, იტალიისა და არგენტინის ნაკრებებს აჯობეს და მეოთხედფინალში გააღწიეს. აქ კი დიდი მცდელობის მიუხედავად მომავალ ფინალისტთან, საფრანგეთის ეროვნულ გუნდთან დამარცხდნენ - 16:31. მიუხედავად ამისა, კუნძულელებმა მსოფლიოს თასის გათამაშება ამაყად თავაწეულებმა დატოვეს.

ტურნირის იმედგაცრუება: ინგლისის ნაკრები

მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფური ტურნირი დასძლია, ცხადია, „ჰომების“ გამოსვლას ამ მსოფლიოს თასზე აქტივში ვერ ჩავთვლით. მეოთხედფინალში ინგლისელებმა ისტორიულ მეტოქესთან, უელსის ეროვნულ გუნდთან წააგეს - 3:16.

მანამდე, ჯგუფურ ეტაპზე, მართალია, ინგლისის ნაკრებმა საკმაოდ შთამბეჭდავი ანგარიშით დაამარცხა იაპონია (60:7) და აშშ (34:6), მაგრამ ეს „ჰომების“ მხოლოდ ეპიზოდური გაელვება გამოდგა.

ტურნირის გუნდი: ახალი ზელანდიის ნაკრები

ახალი ზელანდიის ნაკრებმა მსოფლიოს თასის პირველივე გათამაშებაზე დაამტკიცა პლანეტის საუკეთესო გუნდის სტატუსი. „ოლ ბლექსმა“, რომლის ღირსებასაც ისეთი უმაღლესი დონის ვარსკვლავები იცავდნენ, **ჯონ ქირვანი, მაიკ ჯოუნზი, შონ ფიცპატრიკი, დევიდ კირკი** და **გრანტ ფოქსი** რომ იყვნენ, ყველა შეხვედრა აშკარა უპირატესობით მოიგო. შედეგად ახალზელანდიელთა გუნდის კაპიტანი დევიდ კირკი პირველი იყო მსოფლიო რაგბის ისტორიაში, ვინც ვებ ელისის თასი აღმართა.

შთამბეჭდავია, „ოლ ბლექსის“ სტატისტიკა. თავად განსაჯეთ, 50 ქულა საშუალოდ მატჩში. მგეზავი გრანტ ფოქსი კი საუკეთესო მექულე გახდა, მან „ოლ ბლექსს“ 126 ქულა შესძინა.

ტურნირის მატჩი: საფრანგ.-ავსტრალ.

ეს შეხვედრა წარმოუდგენელი სცენარით განვითარდა. დაუვიწყარი, ძალიან ლამაზი და დაძაბული მატჩი გამოდგა. თამაში სიდნეიში, კონკორ ოვალზე გაიმართა და, როგორც მოსალოდნელი იყო, ფავორიტად მიჩნეული ავსტრალიის ნაკრების უპირატესობით დაიწყო. „ვოლაბები“ მთელი მატჩის განმავლობაში ანგარიშში წინ იყვნენ. ჯერ 9:0 დაწინაურდნენ, თუმცა პირველი ტაიმი მხოლოდ სამი ქულის სხვაობით 15:12 მოიგეს.

მეორე ნახევარი დასასრულს უახლოვდებოდა. ავსტრალია 24:21 იგებდა. ფრანგების დამრტყმელმა **დიდიე კამბერაბერომ** საჯარიმოდან ანგარიში გაათანაბრა. ყველა მოელოდა, რომ დამატებითი დრო დაინიშნებოდა, თუმცა ფრანგები სრულიად სხვანაირად ფიქრობდნენ. მათ საკუთარი მოედნის სიღრმიდან შესანიშნავი შეტევა წამოიწყეს. ხელდახელ ბურთაობაში ფრანგთა თერთმეტმა მორაგბემ მიიღო მონანილეობა. გამარჯვების მომტანი ლელო კი ფრანგული რაგბის ლეგენდამ **სერჟ ბლანკომ** გაიტანა და „ლე ბლე“ ფინალში გაიყვანა.

ტურნირის საუკეთესო მოთამაშე: სერჟ ბლანკო

ვისაც არ უნახავს მისი თამაში, ძალიან ბევრი დაკარგა. ელასტიური, უაღრესად სწრაფი და მახვილგონიერი ბლანკო მსოფლიოს ნებისმიერი უძლიერესი გუნდის მშვენება იქნებოდა. ავსტრალიის ნაკრებთან მატჩში გატანილი მისი ლელო კი, უდავოდ უნდა მივიჩნიოთ შედევრად.

გვერდი მოამზადა
ბესიკ ჯანგავაძემ

საქართველოს რაგბის კავშირი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ვეტერანი მორაგბე, ქუთაისის „აიასა“ და თბილისის „ლოკომოტივის“ ყოფილი მოთამაშე

ემზარ გეგუჩაძე

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

msy-gov-ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

● კრივი

ძმები კლიჩკოები

აბსოლუტურ ჩემპიონს ვერ ვნახავთ

ამერიკაში მყოფ ძმებ **კლიჩკოებს** ხშირად აქვთ ჟურნალისტებთან შეხვედრა და ერთ-ერთი ინტერვიუს დროს მათ ისევ მოუწიათ კომენტარის გაკეთებამ ერთმანეთის წინააღმდეგ სავარაუდო ბრძოლის შემდეგ. როგორც იცით, ვიტალი და ვლადიმერ კლიჩკოები სუპერმძიმე წონით კატეგორიაში ყველა ძირითადი ვერსიით ფლობენ მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულს, მაგრამ ჟურნალისტები ხშირად ახსენებენ უკრაინელებს, რომ მხოლოდ ერთ-ერთი მათგანი შეიძლება იყოს აბსოლუტური ჩემპიონი.

მაგრამ ძმები ამ საკითხთან დაკავშირებით კვლავაც კატეგორიულები არიან:

„პრომოუტერმა დონ კინგმა ერთმანეთის წინააღმდეგ რინგზე გასვლისთვის 100 მილიონი დოლარი შემოგვთავაზა. ჩემი რეაქცია? მე მას ვკითხე, რა ღირს დედამისი?“ - ამბობს ვლადიმერი.

„ბოლოს ერთმანეთის წინააღმდეგ სპარინგი დიდი ხნის წინ გავმართეთ. მაშინ ფეხი მოვიტეხე და მას შემდეგ ვთქვით, რომ ასეთი რამ აღარასოდეს განმეორდება“, - განაცხადა უმცროსმა კლიჩკომ.

■ ■ ■

კლიჩკოები დიდი ხანია დომინირებენ სუპერმძიმე წონით კატეგორიაში და მათთვის ღირსეული მოწინააღმდეგის მონახვა სულ უფრო რთული ხდება. ერთ-ერთი პოტენციური მეტოქე გასულ უქმეებზე გამოჩნდა, როცა ბრიტანულ დაპირისპირებაში 23 წლის **ტაისონ ფიურიმ დერეკ ჩისორა** დაამარცხა და ბრიტანეთის ჩემპიონის ტიტულთან ერთად ვლადიმერ კლიჩკოსთან შეხვედრის უფლებაც მიიღო. მაგრამ ახლა ირკვევა, რომ ახალგაზრდა მძიმეწონოსანი არ ჩქარობს IBF-ის, WBA-სა და WBO-ის ტიტულებზე პრეტენზიის გამოცხადებას, არადა, ვლადიმერს დიდი სურვილი ჰქონდა, ამ ბრძოლაში გამარჯვებულს შეხვედროდა.

ფიურის სხვა გეგმები აქვს. ის ირლანდიის ჩემპიონის ვაკანტურ ტიტულს უმიზნებს და ამისთვის **მარტინ როგანთან** შეხვედრას აპირებს. შემდეგ მას სურს სუპერმძიმე წონაში ევროპის ჩემპიონის ტიტული ჩამოართვას **ალექსანდრ დმიტრენკოს**.

„მინდა ჩემი კარიერა მშვიდად განვითარდეს, - ამბობს ფიური BBC-სთვის მიცემულ ინტერვიუში. - *ჩავატარებ ბრძოლას ირლანდიის ჩემპიონის ტიტულისთვის, შემდეგ ბრიტანულ ქამრებს დავიცავ და მოგვიანებით შევეცდები მოველაპარაკო ალექსანდრ დმიტრენკოს, რომელიც ევროპულ ტიტულს ფლობს. მე მხოლოდ ახლა ვიწყებ მწვერვალისკენ გზას“.*

● ამბები

პოკერი

კიდევ ერთი ვეგერანი წავიდა

ჰოკეის ეროვნული ლიგის ვეტერანმა, 40 წლის **კრის დრეპიერმა**, რომელიც ამჟამად თავისუფალი აგენტის სტატუსით სარგებლობს, კარიერის დასრულება გადაწყვიტა, - წელს NHL-ის ოფიციალური ვებგვერდი. დღეს დაგეგმილია პრეს-კონფერენცია, რომელზეც ჰოკეისტი ოფიციალურად გამოაცხადებს თავისი გადაწყვეტილების შესახებ.

დრეიპერი 1989 წლიდან თამაშობდა ჰოკეის ეროვნულ ლიგაში და „დეტროიტ რედ უინგზის“ შემადგენლობაში ოთხჯერ მოიგო სტენლის თასი. რეგულარული ჩემპიონატის 1157 მატჩში მის ანგარიშზე 364 (161 გოლი+203 პასი) ქულა მოდის. შეგახსენებთ, რომ ფორვარდი „რედ უინგზთან“ ერთი წლით კონტრაქტის გახანგრძლივებას აპირებდა, მაგრამ ბოლო მომენტში გადაიფიქრა.

ამერიკული ფეხბურთი

ლოკაუტი დამთავრდა

კარგი ამბავი შეიტყვეს ამერიკული ფეხბურთის გულშემატკივრებმა. ამერიკის ეროვნულმა საფეხბურთო ლიგამ (NFL) მოთამაშეთა პროფკავშირთან ახალი კოლექტიური ხელშეკრულების შესახებ შეთანხმებას მიაღწია. ასე რომ, ლოკაუტი, რომელიც წესით ოთხი თვე უნდა გაგრძელებულიყო, მისი გამოცხადებიდან ორ კვირაში დასრულდა. ფორმალურად ფეხბურთელებს ამ საკითხზე კენჭისყრა ელით, მაგრამ მრავალმილიონიანი 10-წლიანი კონტრაქტი ლიგასა და მოთამაშეთა ასოციაციას შორის უკვე გაფორმებულია.

ამ კვირიდან კლუბები ვარჯიშს დაიწყებენ და გაიხსნება თავისუფალი აგენტების ბაზარი. შეგახსენებთ, რომ ლოკაუტის გამოცხადების მიზეზი იყო ახალბედების ხელფასი და იმ მოთამაშეების სტატუსი, რომლებიც თავისუფალი აგენტები არიან.

ავტოსპორტი

ვილნევი ბრაზილიაში ირბოლებს

ფორმულა 1-ის ყოფილი ჩემპიონი **ჟაკ ვილნევი** სარბოლო სერიის - Stock Car Brazil-ის ერთ-ერთი ეტაპის სტარტზე გავა.

ეს რბოლა, სახელწოდებით - Race of Millions 7 აგვისტოს „ინტერლაგუშზე“ გაიმართება. გამარჯვებული პრიზის სახით ერთ მილიონ რეალს მიიღებს. ვილნევს „ინტერლაგუშზე“ 1997 წელს ფორმულა 1-ის ეტაპი აქვს მოგებული და ახლა სხვა სერიაში სცდის ძალებს.

შეგახსენებთ, რომ ფორმულა 1-დან წასვლის შემდეგ კანადელი პილოტი პერიოდულად ნასკარის დივიზიონებში გამოდიოდა, მაგრამ ვერ იპოვა სპონსორი ამ სერიაში სრული სეზონის ჩასატარებლად.

● კალათბურთი

თურქეთი ვარსკვლავებს აგროვებს

ერსან ილიასოვა

„ჩიკაგო ბულზის“ ცენტრმა **ჟოაკიმ ნოამ** კიდევ ერთხელ დაადასტურა ლიტვაში ევრობასკეტზე თამაში. ეს ფრანგ ვარსკვლავს იმის გამო დასჭირდა, რომ გასულ კვირას ექიმებმა ნოას დასვენება და ფეხის ტრავმის შემდეგ სრულად გამოჯანმრთელება ურჩიეს.

„ეს ტრავმა სერიოზული არ იყო და ამიტომაც მზად ვარ გუნდთან ერთად დავიწყო მზადება ევრობასკეტისთვის. აუცილებლად ვითამაშებ ამ ტურნირზე“, - ამბობს ნოა NBC-სთვის მიცემულ ინტერვიუში.

ასეთივე განწყობა აქვს „პორტლენდ თრეილ ბლეიზერსის“ ფრანგ ლეგიონერს **ნიკოლა ბატუმს**, რომელიც კონკრეტული მიზნით მიემგზავრება ლიტვაში.

„პირადად მე ევრობასკეტის მოგება მინდა და ლიტვაში მხოლოდ ოქროს მედლისთვის მივემგზავრები. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები, მაგრამ მე ყოველთვის ერთი მიზნით ვთამაშობ - მოვიგო და ტიტულს დავეუფლო. რა თქმა უნდა, ოლიმპიადაზე მოხვედრა ძალიან მნიშვნელოვანია. სიმართლე გითხრათ, ვოცნებობ გახსნის ცერემონიაში მონაწილეობაზე. ჩემი ყველაზე დიდი სურვილია, გავხდე საფრანგეთის ნაკრების მედროშე.

ვიცი, რომ ჩვენს გუნდში ვარსკვლავი არ ვიქნები. უნდა დავეხმარო ტონი პარკერს, ჟოაკიმ ნოასა და ბორის დიაოს. ევროპის ჩემპიონატის მოსაგებად საჭიროა გუნდში ორი მაღალი კლასის ცენტრი გყავდეს. ჩვენთან ასეთები ნოა და რონი ტურიაფი არიან. ეს მოთამაშეები ნაკრებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ფიგურები არიან“, - განაცხადა ბატუმმა „ეკიპისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

■ ■ ■

ევრობასკეტის პარალელურად გაიმართება ამერიკის ჩემპიონატი, სადაც ასევე ოლიმპიადის საგზურები გათამაშდება. მნიშვნელოვანი შევსება ექნება არგენტინის ნაკრებს - კარიერის განახლება გადაწყვიტა ცენტრმა **ფაბრისიო ობერტომ**, რომელმაც ამ სეზონის შემდეგ დაანება თავი აქტიურ სპორტს. „სან ანტონიოსა“ და „პორტლენდის“ ყოფილმა მოთამაშემ ასეთი გადაწყვეტილება სწორედ ნაკრების დასახმარებლად მიიღო.

„დიდი ხანი ვმკურნალობდი და ხანგრძლივი რეაბილიტაციის შემდეგ შემიძლია განვაცხადო, რომ მზად ვარ მოედანზე დასაბრუნებლად, რათა არგენტინის ნაკრებს ამერიკის ჩემპიონატზე წარმატებით გამოსვლასა და ლონდონის ოლიმპიადის საგზურის მოპოვებაში დავეხმარო“, - განაცხადა ობერტომ.

■ ■ ■

ლოკაუტის პერიოდში კიდევ ერთი ვარსკვლავი შეემატება თურქეთის ჩემპიონატს. „მილუოკი ბაქსის“ თურქმა ფორვარდმა **ერსან ილიასოვამ** სტამბოლის „ფენერბაჰჩესთან“ კონტრაქტზე ხელის მოწერა გადაწყვიტა.

აღსანიშნავია, რომ 24 წლის ილიასოვას მხოლოდ კარიერის დასაწყისში აქვს ნათამაშები სამშობლოში - 2004-05 წლების სეზონში ის „ულქერის“ ღირსებას იცავდა. როგორც თურქული პრესა წერს, ილიასოვა ერთწლიანი კონტრაქტის სანაცვლოდ 3.5 მილიონ ევროს მიიღებს.

■ ■ ■

„ნიუ იორკ ნიქსის“ ფორვარდი **ამარე სტაუდმაიერი** ჟურნალისტებს შეხვდა და გამოუცხადა მათ, რომ ბევრი უცხოური კლუბი გამოთქვამს მასთან კონტრაქტის გაფორმების სურვილს.

„ჩვენი გუნდის ოფისში უამრავი ზარი ისმის სხვადასხვა კლუბის წარმომადგენლებისგან და ისინი მუდმივად ჩემს გვარს ახსენებენ. დაინტერესებული გუნდები ისრაელის, თურქეთის, ესპანეთისა და ჩინეთის ჩემპიონატებში თამაშობენ. სხვა ქვეყნებიდანაც იყო ზარები.

შანსი იმისა, რომ საზღვარგარეთ წავალ სათამაშოდ, საკმაოდ მაღალია. მაგრამ მინდა ასი პროცენტით ვიყო მზად, სანამ რომელიმე გუნდს კონტრაქტს დავპირდები. შესაბამისად, ამ მომენტისთვის არც ერთ ვარიანტს არ განვიხილავთ, რადგან ზურგის ტრავმას ვმკურნალობ. თუმცა ამას მკურნალობას ვერ დავარქმევ - არანაირ პროცედურებს არ ვიტარებ, უბრალოდ, ექიმებმა სამი კვირა სრული სიმშვიდე და დასვენება გამომიწერეს“, - ამბობს სტაუდმაიერი ESPN-თან კომენტარში.

● ფორმულა 1

რედ ბულში მცირე პანიკაა

მსოფლიოს ნლევანდელი ჩემპიონატის აშკარა ლიდერმა „რედ ბულმა“ ზედიზედ ორი რბოლის მოგება ვერ შეძლო - ბრიტანეთში მან „ფერარისთან“ წააგო, გასულ კვირას გერმანიაში კი ავსტრიულ საჯინიბოზე სწრაფი „მაკლარენი“ აღმოჩნდა. სულ კი ბოლო ოთხ რბოლაში „რედ ბული“ სამჯერ ვერ მივიდა პირველი ფინიშთან.

ამის გამო სეზონის ლიდერის რიგებში მცირე შეშფოთება შეინიშნება. საჯინიბოს შეფი **კრისტინ ჰორნერი** არასასიამოვნო ნიშანს ხედავს იმაში, რომ ნიურბურგრინგზე ვერც **სებასტიან ფეტელმა** და ვერც **მარკ უებერმა** ვერ შეძლეს **ლუის ჰემილტონისა** და **ფერნანდო ალონსოს** ტემპისთვის წინააღმდეგობის გაწევა. ჰორნერი არ გამორიცხავს, რომ ჩემპიონატის ტრიუმფალური პირველი ნახევრის შემდეგ „რედ ბული“ თანდათან კარგავს სისწრაფეში უპირატესობას. შესაბამისად, სეზონის მეორე ნახევარში უფრო დაძაბული ბრძოლის მოწმენი გავხდებით. ეს კარგია გულშემატკივრებისთვის, მაგრამ სულაც არ აწყობს ავსტრიული გუნდის ხელმძღვანელობას.

„ჩვენ ნებისმიერი ტიპის ტრასაზე კონკურენტუნარიანები ვართ, აქამდე ჩატარებულ ათივე რბოლაში პოული მოვიპოვეთ და ექვსჯერ მივედით პირველი ფინიშთან. გარდა ამისა, ათივე რბოლაში პოდიუმიდან არ ჩამოვსულვართ. ასე რომ, სიტუაცია შორს არის კატასტროფულისგან, - ამბობს ჰორნერი. - *მაგრამ გერმანიის გრანპრი ერთგვარი სიგნალი გახდა ჩვენთვის: უფლება არ გვაქვს ერთი წამით მოვდუნდეთ. ეს ეხება გუნდის ნებისმიერ წევრს. მეტოქეები ფხიზლად არიან, მათ ყოველი რბოლისას პროგრესი აქვთ და უნდა გამოვნახოთ გზა იმისთვის, რომ ძალიან წინ არ გავუშვათ ისინი. წინა რბოლებში ხან „მაკლარენი“ და ხან „ფერარი“ ძალიან გვირთულებდნენ ცხოვრებას, ახლა ისე გამოვიდა, რომ ორივე გუნდმა ერთ რბოლაში ჩვენზე მაღალი ადგილი დაიკავა. იმედი მაქვს, ეს შემთხვევითობა იყო და კანონზომიერებად არ ჩამოყალიბდება“.*



რედ ბულმა წაგება დაიწყო

● ველოსპორტი

ტური უდაბნოში

უცნაური სურვილი გაუჩნდათ კატარში - ადგილობრივ ორგანიზატორებს სურთ 2016 წელს ტურ დე ფრანსის სასტარტო ეტაპს უმასპინძლონ. ისინი დარწმუნებული არიან, რომ ზაფხულის შუაში აუტანელი სიცხე პრობლემებს არ შეუქმნის ველომრბოლეებს. თუ ტურის ორგანიზატორები კატარის წინადადებას დათანხმდებიან, ეს იქნება პირველი შემთხვევა ფრანგული ველომარათონის ისტორიაში, როცა ტური ევროპის ფარგლებს დატოვებს.

როგორც ირკვევა, ეს იდეა ქვეყნის უმაღლეს პირს - კატარის ემირს ეკუთვნის. ეს შემთხვევით არ მომხდარა. საქმე ისაა, რომ 2011 წლის ტურ დე ფრანსის ერთ-ერთი ავიაგადამყვანი გახლდათ ავიაკომპანია Qatar Airways, რომელიც სახელმწიფოს საკუთრებაა.

ცნობილია, რომ მომდევნო წელს ტური სტარტს ბელგიის ქალაქ ლიეჟიდან აიღებს, 2013 წელს ფრანგულ კუნძულ კორსიკადან, 2015 წელს კი ფლორენცია გახდება პირველი იტალიური ქალაქი ტურის ისტორიაში, რომელშიც ველომარათონის სტარტი შედგება. ასევე გამოთქვეს ტურის მასპინძლობის სურვილი ბარსელონამ, ედინბურგმა, ინგლისის რამდენიმე ქალაქმა, ჰოლანდიამ, გერმანიამ და ავსტრიამ.

დღემდე ტური ევროპის ფარგლებს გარეთ არ გასულა. იმ შემთხვევაში, თუ ველომარათონმა სტარტი კატარში აიღო, საკმარისად ბევრი დრო იქნება საჭირო სატრანსპორტო და ლოჯისტიკური პრობლემების მოსაგვარებლად. გაცილებით მეტი პრობლემა შეიძლება შექმნას ამინდმა, რადგან არაბეთის ნახევარკუნძულზე შუა ზაფხულში ტემპერატურა 40 გრადუსს აღწევს.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

● ცურვა. მსოფლიოს ჩემპიონატი

ფელპსი ნაგებას მიეჩვია

ფელპსი, ლოხტე და ბიდერმანი

გუშინდელი დღის მშვენება გახდა გაცურვა 200 მეტრზე თავისუფალი სტილით მამაკაცებს შორის. სწორედ ის ხსნიდა დღის პროგრამას, რომლის მიხედვითაც მედლების ხუთი კომპლექტის გათამაშება იყო გათვალისწინებული. წინა დღეს გამართული ნახევარფინალებიდან აშკარად ჩანდა, რომ ყველაზე უკეთ სტარტისთვის ამერიკელი **რაიან ლოხტე** იყო მომზადებული, თუმცა ფინალში პირველი 100 მეტრის შემდეგ ინიციატივა 14-გზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა **მაიკლ ფელპსმა** მოიპოვა, მაგრამ 50 მეტრის შემდეგ ლოხტე გახდა ლიდერი. როცა მოცურავეები ფინიშს მიუახლოვდნენ, ფელპსმა საფინიშო სპურტით მოგება სცადა, მაგრამ ამისთვის თანამედროვე ცურვის ლეგენდას ძალა არ ეყო. მაიკლი ნაგებას მიჩვეული არ არის, ამიტომაც იმედგაცრუება სახეზე ეტყობოდა. სხვათა შორის, ეს ფელპსისთვის მეორე ნაგებული სტარტია ამ ჩემპიონატზე - მანამდე მან 4x100 მეტრზე თავისუფალი სტილის ესტაფეტაც დათმო თანაგუნდელებთან ერთად. ასევე იმედგაცრუებული იყო ამ დისტანციაზე მსოფლიოს ან უკვე მოქმედი ჩემპიონი და რეკორდსმენი **პაულ ბიდერმანი**, რომელმაც აღიარა, რომ მინიმუმ ვერცხლის მოპოვებას აპირებდა, მაგრამ ბრინჯაოთი დაკმაყოფილებამ მოუწია. საერთოდ მედლის გარეშე დარჩა ნახევარფინალის ლიდერი, ფრანგი **იანიკ ანიელი**, ვინც მეხუთე მივიდა ფინიშთან.

სხვათა შორის, ეს არ იყო ერთადერთი დისციპლინა, რომელშიც მაიკლ ფელპსს ხელი მოეცარა. დილის სესიაში, 200 მეტრზე ბატერფლაიში საკვალიფიკაციო ცურვისას ფელპსმა მხოლოდ მე-11 დრო აჩვენა, მაგრამ მაინც მოახერხა მოკრძალებული დროით (1.56,77) ნახევარფინალში გასვლა. მართალია, საღამოს ნახევარფინალში ფელპსი უკვე მესამე დროით გადავიდა ფინალში, მაგრამ დაღლა და უფორმობა მას აქაც ეტყობოდა.

■ ■ ■

მეორე სტარტი, რომელშიც მედლები გათამაშდა, გულაღმა 100 მეტრი იყო ქალებს შორის. ეს არის, ალბათ, ერთადერთი დისციპლინა, სადაც რუსეთის ნაკრები ოქროს მედლის მოპოვების შანსი ჰქონდა. პირველივე მეტრებიდან ინიციატივა სახელგანთქმულმა **ნატალი კაფლინმა** მოიპოვა, მაგრამ უპირატესობის შენარჩუნება ვერ შეძლო. ბოლო მეტრებზე მას ჩინელმა **ჯინ ჟაომ** გაასწრო. კაფლინმა კი ვერცხლიც დაკარგა, რადგან ასევე კარგი ფინიში გამოუვიდა რუს **ანასტასია ზუევას** - ის მხოლოდ 0,01 წამით ჩამორჩა ჩინელ ჩემპიონს. თუმცა ამერიკელმა ბრინჯაოთიც ძალიან გაიხარა, რადგან სპორტში დაბრუნების შემდეგ ეს მისთვის მაღალი შედეგია.

არაოლიმპიურ დისტანციაზე - ქალებს შორის 1500 მეტრზე არანაირი ინტრიგა არ ყოფილა. დანიელი **ლოტე ფრიისი** სტარტიდანვე დაშორდა კონკურენტებს და ისეთი ტემპი აკრიფა, რომ 600 მეტრის ნიშნულზე **კეიტ ციგლერის** მსოფლიოს რეკორდსაც კი სჯობნიდა, რომელიც 2007 წელს არის დამყარებული. სწორედ მსოფლიოს რეკორდსმენი გახდა აქ ვერცხლის პრიზიორი. სხვათა შორის, მეორე ადგილისთვის ბრძოლაში არც მას ჰყოლია კონკურენტი. სამაგიეროდ, დისტანციის პირველ ნახევარში ბრძოლა იყო ბრინჯაოსთვის, თუმცა ბოლოს **ქსიანქსიუ ლიმ** ეს საკითხიც ფინიშამდე კარგა ხნით ადრე გადაწყვიტა.

დიდი სიურპრიზი ვიხილეთ მამაკაცებს შორის 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში. მართალია, ფავორიტისთვის განკუთვნილ მეოთხე ბილიკზე ფრანგი **ჟერემი სტრავიუსი** ცურავდა, ბევრს გამარჯვების რეალურ კანდიდატად მეორე ფრანგი **კამილ ლაკური** მიაჩნდა. მაგრამ თანამემამულეებმა გადაწყვიტეს, ერთმანეთი არ გაეწბილებინათ - ერთნაირი დრო აჩვენეს და პოდიუმზე ორი გამარჯვებული იდგა.

ბოლო ფინალი საკმაოდ პროგნოზირებადი იყო. ჯერ კიდევ წინა დღეს ნახევარფინალის დროს ჩანდა, რომ **რებეკა სონი** არავის მისცემდა გამარჯვებას 100 მეტრი ბრასით ცურვაში. ასეც მოხდა. ამერიკელი სტარტზევე დაწინაურდა და მის კონკურენტებს ლიდერის დაწევის შანსი აღარ ჰქონიათ. ასევე მოლოდინსამებრ ვერცხლი აიღო **ლიზელ ჯონსმა**, ბრინჯაო ჩინელმა **ლიპინ ჯიმ**.

კაცები

200 მ. თავისუფალი. 1. რაიან ლოხტე (აშშ) - 1:44,44; 2. მაიკლ ფელპსი (აშშ) - +0,35; 3. პაულ ბიდერმანი (გერ) - +0,44...

100 მ. გულაღმა. 1. კამილ ლაკური (საფ) - 52,76; 1. ჟერემი სტრავიუსი (საფ) - 52,76; 3. რუოსუკე ირი (იაპ) - +0,22...

ქალები

100 მ. გულაღმა. 1. ჯინ ჟაო (ჩინ) - 59,05; 2. ანასტასია ზუევა (რუს) - +0,01; 3. ნატალი კაფლინი (აშშ) - +0,10...

1500 მ. თავისუფალი. 1. ლოტე ფრიისი (ლატ) - 15:49,59; 2. კეიტ ციგლერი (აშშ) - +6,01; 3. ქსიანქსიუ ლი (ჩინ) -+8,43...

100 მ. ბრასი. 1. რებეკა სონი (აშშ) - 1:05,05; 2. ლიზელ ჯონსი (ავსტრა) - +1,20; 3. ლიპინ ჯი (ჩინეთი) - +1,47...

● ჰოკეი. NHL

მუდმივი რეკორდები

ბობი ორი

ჰოკეის ეროვნულ ლიგაში რამდენიმე დიად მოთამაშეს აქვს დამყარებული რეკორდი, რომელსაც, სავარაუდოდ, ვერავინ დაამხობს. აი, რამდენიმე მათგანი:

უეინ გრეტცკი

1983-84 წლების სეზონში **უეინ გრეტცკის** ფანტასტიკური შედეგი ჰქონდა - ის ზედიზედ 51 მატჩის განმავლობაში ქულის გარეშე არ ტოვებდა მოედანს! უფრო მეტიც, ამ პერიოდში „უდიადესმა“ 153 ქულა დააგროვა, ანუ საშუალოდ მატჩში 3 ქულას იხვეჭდა. ამ რეკორდთან ყველაზე ახლოს **მარიო ლემიე** მივიდა, რომელიც ზედიზედ 46 შეხვედრაში აგროვებდა მინიმუმ ქულას. თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მარიოს პროგრესში ხელი ტრავმებმა შეუშალა.

საინტერესოა, რომ ამ ნომინაციაში მესამე ადგილი დაიკავა **მატს სუნდინმა**, რომელიც ზედიზედ 30 მატჩი ქულის გარეშე არ ტოვებდა მოედანს. ეს 1992-93 წლების სეზონში მოხდა და ოცი წელი ამ შედეგს ვერავინ უახლოვდებოდა, მხოლოდ შარშანდელ რეგულარულში მოახერხა „პიტსბურგის“ კაპიტანმა **სიდნი კროსბიმ** ზედიზედ 25 მატჩში ქულის აღება.

ტეემუ სელიანე

ერთ სეზონში დებიუტანტებს შორის ყველაზე მეტი გოლის ავტორი გახლავთ ბრწყინვალე ფინელი ფორვარდი **ტეემუ სელიანე** - NHL-ში თავის სადებიუტო სეზონში მან 76-ჯერ აიღო მეტოქეთა კარი, ჯამში კი 132 ქულა დააგროვა. ეს გაცილებით ნაკლებია, ვიდრე იმ სეზონის საუკეთესო ბომბარდირის, მარიო ლემიეს მონაგარი (160 ქულა), მაგრამ დებიუტანტისთვის ეს ფენომენალური შედეგი იყო. უფრო მეტიც, მაშინ ტეემუ რუს **ალექსანდრ მოგილნისთან** ერთად სეზონის საუკეთესო სნაიპერი გახდა.

რა თქმა უნდა, საუკეთესო ახალბედას პრიზი სწორედ ფინელმა ვუნდერკინდმა მოიპოვა. აღსანიშნავია, რომ პირველი დებიუტანტი, ვინც ერთ ჩემპიონატში 50 ან მეტი გოლი გაიტანა, „ნიუ იორკ აილენდერსის“ ლეგენდა **მაიკ ბოსი** იყო - 53 გოლი 1977-78 წლების სეზონში.

გორდი ჰოუ

ეს მართლაც დაუჯერებელი რეკორდია და რთული წარმოსადგენია, ოდესმე მისი გაუმჯობესება ვინმემ შეძლოს. კერძოდ, „დეტროიტის“ ლეგენდარული თავდამსხმელი **გორდი ჰოუ** ზედიზედ 20 სეზონის განმავლობაში ჩემპიონატის საუკეთესო ხუთ ბომბარდირს შორის ხვდებოდა. ეს უნიკალური სერია მაშინ დაიწყო, როცა 21 წლის ასაკში 1949-50 წლების სეზონში აიღო სტარტი და დასრულდა 1969-70 წლების ჩემპიონატში, რომელშიც ჰოუმ 71 ქულა დააგროვა.

დღემდე ჰოუს რეკორდთან ახლოს არავინ მისულა. დიადი გრეტცკის ანალოგიური სერია 13 სეზონის განმავლობაში გრძელდებოდა.

გლენ ჰოლი

„დეტროიტის“ მეკარე **გლენ ჰოლი** 1955-56 წლების სეზონში გახდა კლუბის ძირითადი გოლკიპერი და იმ ჩემპიონატში შეუცვლელად ჩაატარა ზედიზედ 70 მატჩი. იგივე გააკეთა შემდეგ ჩემპიონატში, მომდევნოშიც, როცა „ჩიკაგოში“ გადაბარგდა.

სულ ჰოლმა შვიდი სეზონის განმავლობაში შეუცვლელად ითამაშა და მხოლოდ 1962 წელს მოუწია ზურგის ტრავმის გამო სათადარიგოთა სკამზე დარჩენამ. ზედიზედ ჩატარებული მატჩების რაოდენობამ 502-ს მიაღწია. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ დღეს სეზონში უფრო მეტი მატჩი იმართება და თანამედროვე ჰოკეი მეტ დატვირთვებს მოითხოვს, ჰოლის რეკორდი შეიძლება „სამუდამოდ“ ჩავთვალოთ.

ბობი ორი

მიჩნეულია, რომ სწორედ **ბობი ორმა** შემოიტანა ჰოკეიში მცნება - შეტევითი ტიპის მცველი. ორი ერთადერთი მცველია ჰოკეის ეროვნული ლიგის ისტორიაში, ვინც ერთ სეზონში ასზე მეტი შედეგიანი გადაცემის შესრულება შეძლო - 102 პასი 1970-71 წლების სეზონში. იმავე ჩემპიონატში ბობიმ რეკორდი დაამყარა სარგებლიანობის მაჩვენებლით, რომელმაც „პლუს 124“ შეადგინა. შეგახსენებთ, რომ ამ რეიტინგში არ ითვალისწინებენ გოლებს რიცხობრივი უპირატესობის დროს, შესაბამისად, ორი საოცრად სასარგებლო იყო თანაბარი შემადგენლობებისას და რიცხობრივი უმცირესობის დროს.

ამ რეკორდის შემდეგ ბობი ორის მაჩვენებელს მხოლოდ „მონრეალის“ მცველი ლარი რობინსონი მიუახლოვდა, რომელმაც „პლუს 120“ დააფიქსირა. ბოლო ოცი წლის განმავლობაში საუკეთესო შედეგი ჰქონდა „დეტროიტის“ რუს მცველს **ვლადიმერ კონსტანტინოვს** - „პლუს 60“.

თანამედროვე ლიგაში საუკეთესოდ მიჩნევა „ვაშინგტონის“ მცველი **ჯეფ შულცი**, რომელმაც 2009-10 წლების სეზონში ამ რეიტინგში „პლუს 50“ აჩვენა. გასული სეზონის ლიდერი გახდა „ბოსტონის“ მცველი **ზდენო ხარა** - „პლუს 33“.

ამ რეიტინგში ანტირეკორდსმენია იმავე „ვაშინგტონის“ მცველი **ბილ მიკელსონი**, რომელმაც 1974-75 წლების სეზონში 59 მატჩში „მინუს 82“ დააგროვა, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი მოედანზე ყოფნის დროს დედაქალაქურმა კლუბმა 82 გოლი გაუშვა.

გვერდი ამამზადა
გია თვალაგეიშვილმა

● ცხელი ხაზი

ეროვნული ფუტბალი

ფეხბურთი

ევრო 2011

UNDER 19

ჩეხეთი-საბერძნეთი	1:0
ირლანდია-რუმინეთი	0:0
თურქეთი-ესპანეთი	3:0
ბელგია-სერბეთი	1:1

ჩემპიონთა ლიგა

III საკ. ეტაპი. I მატჩები

ეკრანასი-ბატე	0:0
აპოელ-სლოვანი	0:0
ლიტექსი-ვისლა	1:2
დინამო (კ)-რუბინი	0:2
ტვენტე-ვასლუი	2:0
ბენკი-პარტიზანი	2:1
რეინჯერსი-მალმიო	0:1

ევროპის ლიგა

III საკ. ეტაპი. I მატჩი

ბნეი იეჰუდა-ჰელსინგბორგი	1:0

ამხანაგური მატჩები

ჰელმონდი-ვაალვიკი	0:1
მარიტიმუ-რიუ ავე	0:0
ბარსელონა-ინტერნას.	2:2 პენ. 4:2
დუისბურგი-ზალკე	2:1
აპელდორნი-ვიტესი	0:4
ემენი-ცვოლე	2:2
რაპიდი-ვალენსია	4:1
სანდეფიორდი-ლიდსი	1:1
ვერდერი-ოლიმპიაკოსი	1:1
ბრედა-ლევანტე	გადაიდო
ვენლო-ალემანია	3:1
ვალანსი-დორტმუნდი	0:1
ბარნსლი-უენსდი	2:0
ბაიერნი-მილანი	1:1 პენ. 5:3
კარლაილი-მიდლსბრო	2:0
ძრიუ-დერბი	2:1
კრ. პალასი-ნორვიჩი	1:0
როჩდეილი-ვესტ ბრომვიჩი	3:0
შეფილდი-დონკასტერი	0:1
ბლეკპული-ჰიბერნიანი	2:0
ბრენტფორდი-უოტფორდი	0:0
ჩელტენემი-უოლსოლი	3:2
ქროული-ჰიტერბრო	2:4
დაგენჰემი-ესსექსი	0:1
ფორესტ გრინი-ბრისტოლი	1:3
ჰალი-ფეიეზოორდი	გადაიდო
ოლდჰემი-ბარნლი	0:0
ოქსფორდი-ბირმინგემი	2:0
იეოვილი-კარდიფი	1:1

საბერძნეთი

პლეი ოფი

ოფი-დიაგორასი	3:0
ლევადია-დოქსა	3:0

ლიგა

ტაურასი-ჟალგირისი	1:1

ჩოგბურთი

ATP. გშგაალი

დარციისი-ხიმენო ტრავერო	4:6, 7:5, 5:7
ხირალდო-გარსია ლოპესი	5:7, 6:2, 6:1
ჰანესკუ-ნიემინენი	5:7, 2:6
ჟილი-სოუზა	4:6, 6:3, 6:4
გრანოლერსი-ბოლი	6:1, 6:0
ბენეტო-როსოლი	6:2, 6:7, 6:3
ფ. ლოპესი-ლამერი	6:4, 6:7, 6:3

ATP. უმაგი

ბერლოკი-კავჩიჩი	6:4, 6:7, 6:4
სტარაჩე-დე ბაკერი	6:7, 6:2, 6:1
ჰაასე-ვანოცი	3:6, 6:3, 6:1
ვოლანდრი-პავიჩი	6:4, 6:0
სტახოვსკი-ო. რობუსი	4:6, 4:6
ფონინი-მაშადო	6:4, 6:3
ფერერო-მ. გონსალესი	3:6, 6:3, 6:1
სეპი-ლაიოვიჩი	6:4, 6:2
ნასო-დელიჩი	6:4, 6:2
რობრედო-რამირეს იდალგო	6:3, 6:2

WTA. სტენფორდი

არვიდსონი-ერაკოვიჩი	2:6, 1:6
ლისიცკი-ჰალეპი	6:1, 6:2
ივანოვიჩი-მორიტა	3:6, 5:7

WTA. ვაშინგტონი

ჩინკი-ბრენგლი	6:7, 5:7
მიულერი-პეტროვა	2:6, 2:6
კეოტავონგი-ბრიანტი	3:6, 4:6
გოვორცოვა-ფალკონი	3:6, 4:6

● TV პროგრამა

27 ივლისი. ოთხშაბათი

GMG-ფეხბურთი

10:00 ფეხბურთი. აუდის თასი. 1/2 ფინალი. ბარსელონა-ინტერნასიონალი. მიუხხენი.
12:00 ფეხბურთი. აუდის თასი. 1/2 ფინალი. ბაიერნი-მილანი. მიუნხენი.
14:00 სუპერმატჩი. გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი-შტუტგარტი.
16:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
16:30 ფეხბურთი. სეზონის შეჯამება. გერმანიის ჩემპიონატი. შალკე.
17:50 ფეხბურთი. სეზონის შეჯამება. ჰოლანდიის ჩემპიონატი. ტვენტე.
19:00 ფეხბურთი. სეზონის შეჯამება. ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია.
20:10 ფეხბურთი. აუდის თასი. მე-3 ადგილისთვის. მიუნხენი (LIVE).
22:10 ყოველკვირეული გადაცემა: სპორტის ვარსკვლავი
22:40 ფეხბურთი. აუდის თასი. ფინალი. მიუნხენი (LIVE).
00:45 სუპერმატჩი. გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი-შტუტგარტი.

GMG-სპორტი

10:00 ფეხბურთი. სუპერმატჩი. ინგლისის ჩემპიონატი. ფულჰემი-ლივერპული.
12:00 კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. სუპერმატჩი. მილუოკი-ნიუ იორკი.
14:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - გზა ლონდონისკენ.
14:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. ჰამბურგი. გერმანია.
18:00 ფეხბურთი. სეზონის შეჯამება. იტალიის ჩემპიონატი. რომა.
19:00 მძლეოსნობა. IAAF-ის გრანპრი. ბელგია.
21:30 რაგბი. ექვსი ერის თასი. შოტლანდია-იტალია.
23:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - მსოფლიო მძლეოსნობა.
23:30 კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. სუპერმატჩი. მილუოკი-ნიუ იორკი.

EUROSPORT

14:00 საწყლოსნო სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი. ცურვა. ფინალები. შანხაი. ჩინეთი (LIVE).
05:00 საწყლოსნო სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი. ცურვა. წინასწარი გაცურვები. შანხაი. ჩინეთი (LIVE).

EUROSPORT-2

14:00 ფეხბურთი. იაპონიის თასი. 1/16 ფინალი. საპაპუხო მატჩი (LIVE).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დენის როდმანი: ჯორდანი დმერთი, პიპენი იესო, მე ეშმაკი

● დოსიე

დენის როდმანი

დაიბადა: 1961 წლის 13 მაისს ტრენტონში (ნიუ ჯერსი)
სიმაღლე: 1.98 მ
წონა: 100 კგ
ნომრები: 10, 91, 73, 70
პოზიცია: მსუბუქი ფორვარდი/მძიმე ფორვარდი

კარიერა NBA-ში

დრაფტი - 1986, 27-ე ნომერი, დეტროიტი
1986-93 - დეტროიტი
1993-95 - სან ანტონიო
1995-98 - ჩიკაგო
1999 - ლეიკერსი
2000 - დალასი

კარიერის მინდვრები და რეკორდები

- NBA-ის ხუთგზის ჩემპიონი: ორჯერ „დეტროიტში" (1989, 1990), სამჯერ „ჩიკაგოში" (1996, 1997, 1998)
- საშუალო კარიერული მონაგარი: 7.3 ქულა, 13.1 მოხსნა, 1.8 პასი, 0.67 ჩაჭრა, 0.58 მოხსნა (სულ 911 მატჩი)
- ზედიზედ ვვიდი წელი (1992-98) ლიგის ლიდერი იყო მოხსნების საშუალო რაოდენობით
- შეტევაში 11 მოხსნით გაიმეორა NBA-ის ფინალური სერიის რეკორდი (1996, ორჯერ)
- 169 მატჩი ჩაატარა პლეი ოფში, საშუალოდ 6.4 ქულასა და 9.9 მოხსნას აგროვებდა
- კარიერაში 10 ათასი მოხსნა დააგროვა 1997 წლის 14 იანვარს „ვაშინგტონის" წინააღმდეგ
- 1996 წლის 16 იანვარს „ფილადელფიასთან" მატჩში სამმაგი დუბლი შეასრულა - 10 ქულა, 21 მოხსნა, 10 პასი
- ორჯერ იყო სეზონის საუკეთესო დამცველი (1989-90, 1990-91)
- ვვიდჯერ მოხვდა საუკეთესო დამცველთა პირველ სიმბოლურ ნაკრებში (1988-93, 1995, 1996)
- ორჯერ მოხვდა სეზონის მესამე სიმბოლურ ნაკრებში (1991-92, 1994-95)
- ორჯერ ითამაშა „ყველა ვარსკვლავის მატჩში" (1990, 1992). ჯამში 36 წუთში 17 მოხსნა დააგროვა.
- NBA-ის ლიდერი თამაშიდან ტყორცნების რეალიზაციის პროცენტით - 59.5 (1988-89)

კარიერის რეკორდები

ქულა - 34 (დენვერთან, 02.01.91)
მოხსნა - 34 (ინდიანასთან, 04.03.92)
პასი - 10 (ფილადელფიასთან, 16.01.96
ჩაჭრა - 4 (ხუთჯერ)
დაფარება - 5 (ორჯერ)

დენის როდმანის სახელი უკვე დიდი ხანია ექსტრაორდინალური გამოხდომებისა და კრეატივის სინონიმად იქცა. ის არასოდეს გამოირჩეოდა სანიმუშო ხასიათით და სხვებისთვის მისაბაძიც არასოდეს ყოფილა, მაგრამ ყველა პატივს სცემდა. სიმაღლეში ორი მეტრიც არ ყოფილა, მაგრამ ეს „ნაკლი" ხელს არ უშლიდა ლიგის ლიდერი ყოფილიყო მოხსნების რაოდენობით. ის გულშემატკივრების პროვოცირებას ცდილობდა სიტყვებით, ჟესტებით და რეგულარულად იცვლიდა თმის ფერს. თუმცა ის მაინც უყვარდათ.

2011 წლის 4 აპრილს როდმანი კალათბურთის დიდების დარბაზში შეიყვანეს. ამასთან დაკავშირებით შედგა პრესკონფერენცია, რომელზეც NBA-ის ხუთგზის ჩემპიონი საკუთარ ემოციებს ვერ მალავდა: „თავად დიდების დარბაზში მოხვედრის ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ ხალხმა ჩემს მიმართ ნეგატიური აზრი მოიშორა. ხშირად გვიწევს იმის მოსმენა, რომ რაღაც ახალი შევიტანე კალათბურთში, დაცვითი თამაში უფრო მაღალ დონეზე ავიყვანე. მაგრამ მე ასე არ მგონია. არასოდეს ვყოფილვარ საუკეთესო სნაიპერი, არც დიადი სპორტსმენი და არ ვცდილობდი საყოველთაო ყურადღების მიპყრობას", - განაცხადა როდმანმა, რომელსაც მაისში 50 წელი შეუსრულდა.

რამდენიმე დღის წინ დენის როდმანმა Slamonline.com-ის კითხვებს უპასუხა. ამ ინტერვიუს შემოკლებით გთავაზობთ.

- დიდების დარბაზის წევრობის კანდიდატად დასახელებისას გჯეროდათ, რომ საბოლოოდ კალათბურთის ლეგენდებს შორის მოხვდებოდით?

- მჯეროდა? ახლაც ვერ ვიჯერებ ამას. სინამდვილეში, მთელი კარიერის განმავლობაში მიწევდა იმის მოსმენა, რომ ჩემი საქციელის გამო ვერასოდეს მოვხვდებოდი დიდების დარბაზში. მართალია, ბევრს მივაღწიე, დიად გუნდებში ვითამაშე, ბევრი დიდი გამარჯვება მივიპოვე, მაგრამ სიმართლე გითხრათ, ამ აღიარების არ მჯეროდა.

- როგორ შეიტყვეთ ეს სასიამოვნო ამბავი?

- სახალისო ისტორია იყო. თავიდან აგენტმა დამირეკა და მითხრა, რომ ჩემი კანდიდატურა განიხილებოდა. თავდაპირველად ამას ყურადღება არ მივაქციე, რადგან სხვა ახალი ამბავი გავიგე - „დეტროიტი" აპირებდა ხმარებიდან ჩემი ნომრის ამოღებას. გავიდა გარკვეული დრო და აგენტმა ისევ ახსენა დიდების დარბაზი. მე მხოლოდ გავიცინე და ისევ არ დავიჯერე მისი ნათქვამი. იცით რატომ?

- რატომ?

- იმიტომ, რომ ეს იყო „სულელების დღე" - პირველი აპრილი და დარწმუნებული ვიყავი, რომ მეხუმრებოდნენ. აგენტს ძალიან დიდი მონდომება დასჭირდა იმისთვის, რომ დავერწმუნებინე.

- მოგვიყევით თქვენი გრძნობების შესახებ...

- რთულია ამის სიტყვებით გადმოცემა. მიუხედავად იმისა, რომ NBA-ის ვარსკვლავის სტატუსი მქონდა, ძნელად დასაჯერებელი იყო, რომ ოდესღაც დიდების დარბაზში მოვხვდებოდი. ეს რაღაც მიუღწეველ სიმაღლედ მეჩვენებოდა. მაგრამ მე ეს შევძელი და ახლა მწვერვალზე ვარ. პირველ რიგში ის მინდა, რომ შვილები ამაყობდნენ ჩემით. მათ ცოცხლად არ უნახავთ ჩემი თამაშები, მაგრამ უნდა იცოდნენ, რომ მათი მამა თავის საქმეს ხარისხიანად და გულიანად აკეთებდა. ჩემს ვაჟს ახლა თვალწინ ექნება მაგალითი, ამიტომაც უნდა მოინდომოს და ჩემზე უკეთესი გახდეს.

- ამ გრძნობას უფრო მეტი სიხარული მოაქვს, ვიდრე ჩემპიონატის მოგებას?

- დაახლოებით ერთი და იგივე გრძნობაა. ასეთ მომენტებში, თითქოს თავიდან იწყებ ცხოვრებას. იხსენებ ყველა სირთულეს და ხვდები, რომ მათ გარეშე საბოლოო შედეგი არ იქნებოდა. ეს ყველაფერი დარჩება ჩემს გულში და ამას ვერავინ ნამართმევს.

- და მაინც გვეჩვენება, რომ კალათბურთი თქვენს ცხოვრებაში მეორე პლანზე გადავიდა.

- ადრე მთელი ჩემი ცხოვრება კალათბურთი იყო. ახლა ის უკან უნდა დავტოვო და წინ სხვა გზით წავიდე. ამჟამად ბევრ საქმეს ვუძღვნი საკუთარ თავს. ეს არის ჩემი ოჯახი, რომელსაც მაქსიმალურად ბევრ დროს ვუთმობ; მაქვს საკუთარი ვებგვერდი, რომლის მეშვეობითაც ვცდილობ ბავშვებს ვასწავლო სხვადასხვა საკალათბურთო ელემენტი, ძირითადად დაცვითი ილეთები: მოხსნები, დაცვაში გადაადგილება, დაფარება, ჩაჭრა... გარდა ამისა, მუსიკით ვარ დაკავებული. შეიძლება ითქვას, მსოფლიო დონის დი-ჯეი გახლავართ (იცინის). ჩემს მეგობართან, ცნობილ დი-ჯეისთან **ვიკ ლატინოსთან** ერთად მთელ მსოფლიოში უმსხვილეს კლუბებში გამოვდივართ: იბიცაზე, სენტროპეში, ტოკიოში, მადრიდში... მე მგონი, საქმე მრავლად მაქვს.

- თქვენ დალასის ღარიბ რაიონში დაიბადეთ. როგორ მოახერხეთ მწვერვალზე ასვლა?

- მე თვითონაც არ ვიცი. უკან ვიხედები და შიშით ვაცნობიერებ, რომ უბრალოდ შეიძლებოდა სრულნლოვან ასაკამდე ვერც მიმეღწია. დალასის სამხრეთით თუ ცხოვრობ, იოლად შეიძლება სწორ გზას ასცდე. ჩემი ბევრი მეგობარი მოხვდა ციხეში, რამდენიმე მოკლეს. ეს საშინელებაა. არ მახსოვს როგორ ავირჩიე კალათბურთი, მაგრამ, როგორც კი თავისუფალი დრო მიჩნდებოდა, მაშინვე დარბაზში გავრბოდი. მჯეროდა, რომ წარმატებას მივაღწევდი.

- გახსოვთ ისეთი თამაში, რომელშიც განსაკუთრებულად მაღალი სტატისტიკა გქონდათ?

- არა, სტატისტიკურ ოქმებში არასოდეს ვიხედებოდი. ჩემთვის ყოველთვის მთავარი იყო მეთამაშა ისე, თითქოს ეს ბოლო მატჩი გახლდათ კარიერაში. ვცდილობდი გასაქანი არ მიმეცა მეტოქეებისთვის, ხისტად ვთამაშობდი. ყოველ მატჩში მხოლოდ ერთი რამ მინდოდა - მოგება.

- რას ფიქრობთ ბილ რასელთან შედარებაზე?

- ეს მიუღებელია. რა თქმა უნდა, სასიამოვნოა, როცა NBA-ის ისტორიაში ერთ-ერთ საუკეთესო მოთამაშეს გადარებენ, მაგრამ სიმართლეს თვალი უნდა გავუსწოროთ. ის სეზონში საშუალოდ 30 მოხსნას აკეთებდა. ეს არარეალურია. თანაც უამრავი ტიტული ჰქონდა მოპოვებული.

- „დეტროიტში" თამაშის პერიოდში ხშირად კლოუნს გეძახდნენ. სპეციალურად ახდენდით პუბლიკის პროვოცირებას?

- მაშინ უბრალოდ მომწონდა ის, რასაც ვაკეთებდი. ახლა ვაცნობიერებ, რომ პროფესიონალი მსახიობივით ვიქცეოდი. მაგრამ ხალხმა მაქცია ისეთად, როგორიც ახლა ვარ. საერთო ჯამში, გულშემატკივრების წყალობით ვიგრძენი თავდაჯერებულობა და შევინარჩუნე ადგილი შემადგენლობაში. ბომბარდირი არასოდეს ვყოფილვარ, ლიდერსაც ვერ დამარქმევდით. ვიღაც ვერ მიტანდა, ვიღაც მაღმერთებდა... გულგრილი არავინ რჩებოდა და ეს მომწონდა.

- იმ დროს ძალიან დაუახლოვდით „დეტროიტის" მაშინდელ მწვრთნელს ჩაკ დეილის.

- ის ფანტასტიკური ადამიანი იყო, რომელმაც საკუთარი გული გამიღო. მეხმარებოდა რჩევებით, მოთმინებით მისმენდა, როცა მე ეს ძალიან მჭირდებოდა. ერთხელ მითხრა: „დენის, მართალია, შენ ჩემთვის არ თამაშობ, მაგრამ მაინც საკუთარი შვილივით მეყვარები. ეს ქველმოქმედება არ არის, უბრალოდ, შენ ჩემს გულში განსაკუთრებული ადგილი დაიკავე. ვფიქრობ, შეგვიძლია ერთმანეთისთვის ახლობელი ადამიანები გავხდეთ".

- ის თქვენთვის მამასავით იყო?

- მე მამის გარეშე ვიზრდებოდი და არ ვიცოდი, რას ნიშნავდა ვინმესთვის „მამის" დაძახება. შესაძლოა, ის ჩემი მშობელი იყო. ყოველთვის ბაშვივით მიხაროდა მისი დანახვა. მამხნევებდა მისი ღიმილი.

- ალბათ, გაგიჭირდათ მას შემდეგ, რაც ის გუნდიდან წავიდა?

- კიდევ ერთი წელი დავრჩი „დეტროიტში" და შემდეგ „სან ანტონიოში" გადავედი. ვერ ვეგუებოდი მის არყოფნას. ჩვეულებრივ, ის ყოველთვის ჩემს გვერდით იყო - ვგრძნობდი მას. იმ პერიოდში საკუთარ თავთან და მარტოობასთან ბრძოლა მიწევდა. გამოსავალი ვიპოვე. საკუთარ თავს ვუთხარი: დაისახე მიზანი და მიაღწიეს მას! ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო, რაც შეიძლება კარგი თამაში მეჩვენებინა. უფრო მეტი მუშაობა დავიწყე, ვიდრე წინა წლებში. მაშინაც კი, როცა მთელი სხეული მტკიოდა, მაინც მივდიოდი დარბაზში და თავს მუშაობას ვაიძულებდი. და ეს სწორი ნაბიჯი იყო. ახლა მე დიდების დარბაზში ვარ და დიად კალათბურთელებს მადარებენ.

- „ჩიკაგოში" გადასვლის შემდეგ ეს გუნდი, უბრალოდ, დაუმარცხებელი გახდა. ბევრი მას ყველა დროის საუკეთესო კლუბს უწოდებს...

- როცა „ხარების" შესახებ მეკითხებიან, ყოველთვის ვპასუხობ, რომ ჩვენს გუნდში იყო ღმერთი - მაიკლ ჯორდანი. ერომნიშვნელოვნად ყველაზე დიადი მოთამაშე მთელ ისტორიაში. სკოტი პიპენი - იესო, მე კი რაღაც ეშმაკის მაგვარი. და ყველაფერი ეს ერთ გუნდში. მაშინ ყველა მოთამაშეს სჯეროდა, რომ ჩვენი დამარცხება შეუძლებელი იყო. გამიმართლა, რადგან მოედანზე ჩემს გვერდით დიდების დარბაზის ორი პოტენციური წევრი იმყოფებოდა, ხოლო გუნდს ავარჯიშებდა უდიადესი მწვრთნელი კალათბურთის ისტორიაში - ფილ ჯექსონი.

- რა ისტორია შეგემთხვათ თქვენ და მაიკლ ჯორდანს სასტუმროში?

- სასაცილო ეპიზოდი იყო. გასვლაზე გვქონდა თამაში და სასტუმროში ვცხოვრობდით. მაიკლმა ჩემს ნომერში შემოსვლა გადაწყვიტა, მე კი ამ დროს კარმენ ელექტრასთან ერთად საწოლში ვიყავი. ერთად რომ დაგვინახა, მაიკლს გაეცინა, უკან გაბრუნდა და როცა კარს ხურავდა, მითხრა: „დენის, მხოლოდ შენ შეძლებდი ამის გაკეთებას".

- გაქვთ კავშირი ჯორდანთან და პიპენთან?

- ყველა ჩვენგანს საკუთარი ცხოვრება აქვს. არ გვიწევს ურთიერთობა. თუმცა რამდენიმე წლის წინ ერთ ღამის კლუბში მივედი, სადაც მითხრეს, რომ ჯორდანიც და პიპენიც იქ იმყოფებოდნენ. სწრაფად ვიპოვეთ ერთმანეთი, უცხოებს დავემალეთ, ბევრი ვილაპარაკეთ და კარგი დრო გავატარეთ. „ბითლზივით" ვართ - ხალხს მაინც მუდამ ერთად წარმოვუდგენივართ. ჩვენ შორის მაინც მუდმივი კავშირი იქნება.

- მომავალში რა მიზნები გაქვთ?

- ჩემი ზღვარია - ცა. მადლობა ღმერთს, მუშაობა არ მჭირდება და რაღაცის შექმნა შემიძლია. ამით ვიყავი დაკავებული ბოლო 20 წელი. ამ ცხოვრებაში ყველაფერი მოვსინჯე და ვნახე. მკითხეთ, რა არ გამიკეთებია და გიპასუხებთ, რომ მე ყველაფერი მქონდა. გამიმართლა, რომ ცოცხალი ვარ. ბრწყინვალე კარიერა მქონდა და რაც მთავარია, ყოველთვის ჩემს გვერდით ორი შესანიშნავი ბავშვი იყო.

გია თვალაბეიშვილი

დენის როდმანი ოჯახთან